1916 წელს გამოჩენილმა ქართველმა რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ კინოსაქმის ორგანიზატორის გერმანე გოგიტიძის წინადადებით დაიწყო ფილმ „ქრისტინეს“ გადაღება ეგ. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით. სურათს წარმატება არ ჰქონდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იყო ერთგული კინონაწარმოების შექმნის პირველი ცდა რევოლუციამდელ საქართველოში¹. ფილმში მთა-

ვარ როლებს ასრულებდნენ ქართული თეატრის მსახიობები: ანტონინა აბელიშვილი, ვასო არაბიძე, გიორგი ფრონისპორელი, ცეცილია წუწუნავა.

როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ ქართული ერთგული კინემატოგრაფიის დაბადებამდე ქართული თეატრის მსახიობები მონაწილეობდნენ კინოგადაღებებში. ცალკეული მსახიობები წარმატებით გამოდიოდნენ რუსულ ფილმებშიც. გამოჩენილმა თეატრალურმა მსახიობმა ლადო მესხიშვილმა 1916-1920 წლებში სანტერესო სახეები შექმნა კინოფილმებში: „მამები და შვილები“, „შურისძიების ღმერთი“, „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“, „დანგრეული ტაძარი“ და სხვ. მაგრამ ეს შეიძლება ქართული კინემატოგრაფიის წინასიტორიად ჩათვალოს, მისი ნამდვილი ისტორია კი საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდან იწყება. განათლების, თეატრის, მუსიკის დარგში მთავრობის ღონისძიებებთან ერთად გადამწყვეტი ნაბიჯები გადაიდგა კინოსაქმის განვითარებისათვის საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლებამ, მისმა ნაციონალურმა პოლიტიკამ და ქართველი ხალხის მდიდარმა კულტურულმა წარსულმა ერთგული კინემატოგრაფიის განვითარებისათვის საჭირო პირობები შექმნეს.

¹ Г. Арустанов. «Кинопромышленность Грузии и ее перспективы». журнал «Советское кино». М. 1925, № 1, стр. 66.

1921 წელს ჩამოყალიბდა სახელმწიფო კინოორგანიზაცია — განათლების სახალხო კომისარიატის კინოსექცია, რომელიც 1923 წელს საკინოწარმოებად გადაკეთდა. კინოსექციის ხელმძღვანელები იყვნენ რუსული კინოს ყოფილი მსახიობი ა. ბე-ნაზაროვი და კინოსაქმეში უკვე გამოცდილი გ. გოგიტიძე.

კინოსექციის საქმიანობაში მონაწილეობდნენ თეატრში უკვე საგზაოდ გამოცდილი პირები: რუსული თეატრის რეჟისორი და მსახიობი ი. პერესტიანი, გამოჩენილი ქართველი მწერალი, რეჟისორი და მსახიობი, შემდეგში რამდენიმე კინოსცენარის ავტორი შ. დადიანი, რეჟისორი ა. წუწუნავა, მსახიობი: ვ. გუნია, ვ. ჩერქეზიშვილი, ქართული თეატრის ახალგაზრდა მსახიობი მ. ჭიაურელი და სხვ.

ოცანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში ეროვნული კინოდამატურგია თითქმის არ არსებობდა. ფილმები ძირითადად ქართველ მწერალთა ნაწარმოებების მიხედვით იქმნებოდა, იღებდნენ აგრეთვე სათავადასავლო, ისტორიულ-რევოლუციური ხასიათის სურათებს.

1923 წ. ივანე პერესტიანმა გამოუშვა „წითელი ეშმაკუნები“. ფილმს დიდი წარმატება ხვდა და საპარტიოლიანად შევიდა საბჭოთა კინოს საგანძურში. „წითელი ეშმაკუნები“ სათავადასავლო ფილმი იყო, უკრაინაში სამოქალაქო ომის ეპიზოდებს ასახავდა, გვიჩვენებდა ახალგაზრდობის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე შექმნილი სურათებიდან დიდი წარმატებით სარგებლობდა 1921 წელს გაშვებული რეჟისორ ი. პერესტიანის „არსენ ჯორჯაშვილი“ („გენერალ გრიანოვის მკვლელობა“), რომლის სცენარი ეკუთვნოდა სახელგანთქმულ მწერალსა და დრამატურგს შალვა დადიანს.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ჩამოყალიბებისა და განვითარების იმ ეტაპზე დიდი როლი ენიჭებოდა კინოს დაახლოებას ხელოვნების სხვა დარგებთან, კერძოდ თეატრთან.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული პროფესიული თეატრი ის-იყო ყალიბდებოდა. დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მისწრაფებები ძირითადად თანამედროვე თემებზე შექმნილი რეალისტური კომედიებისა და საქართველოს წარსულის ამსახველი რომანტიკულ-ჰეროიკული დრამების დადგამში შედგებოდა. თეატრი ეძიებდა თანამედროვეობის, მიხი ხასიათის, თავისებურებების ასახვის მავთი და დამაჯერებელ საშუალებებს. 1905 წლის რევოლუციის მარცხმა თეატრი ჩამოაშორა ხალხის მასებს, შეფერხდა დადგებები, გაღარბდა რეპერტუარი. 1918-21 წლებში მენშევიკების ხელისუფლებამ ეკონომიური და კულტურული ცხოვრება დაანგრევს გზაზე დააყენა.

ქართული თეატრის თანდათანობითი აღორძინება საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო. ქართული დრამის თეატრს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. 1922 წელს თეატრის ხელმძღვანელობა მიენიჭა რუსეთიდან ახლადბარუნებულ გამოჩენილ რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს. ქართული თეატრალური ახალგაზრდობა ეძებდა თეატრის განახლების საშუალებებს. კოტე მარჯანიშვილმა გააერთიანა ეს ახალგაზრდობა და ენერგიულად შეუდგა საბჭოთა თეატრის შექმნის რთულ საქმეს.



10.382

საქართველოს
საქართველოს
საქართველოს



რა როლი ითამაშეს ქართული თეატრის მსახიობებმა ქართული კინემატოგრაფიის ფორმირებაში? ქართული კინორეჟისორები იზიარებდნენ თეორიას, რომელსაც თეატრის მსახიობი კინო სპეციფიკისათვის შეუფერებლად მიაჩნდა. ამიტომ კინოში სამუშაოდ ხშირად იწვევდნენ შემთხვევით, მოუმზადებელ დამიანებს, ხშირად მხოლოდ გარეგნული მონაცემებით აპყვავდა მსახიობი ფილმში მონაწილეობისათვის. ასეთი მსახიობები თავის მოღვაწეობას კინოში ერთი ან ორი ფილმით ამთავრებდნენ. თუმცა იყო შემთხვევებიც, როცა ასეთ პირს ნიჭი აღმოაჩნდებოდა და გარკვეული გამოცდილების შეძენის შემდეგ პროფესიონალი მსახიობი ხდებოდა. ასეთი ბედი ეწვია ქართული კინოს მშენებელს ნატო ვარნაძეს.



მაგრამ ასეთი შემთხვევა გამონაკლისი იყო. ქართული კინოს განვითარების პირველ პერიოდში დიდი როლი ენიჭებოდა თეატრალურ მსახიობს. შემდეგაც ეს ახალი ხელოვნება ძირითადად დრამის მსახიობთა შემოქმედებას ემყარებოდა. დრამატული მსახიობის შემოქმედება გასდა ის ბაზა, რასაც განვითარდა შემდგომში კინოს მსახიობის შემოქმედება.

გამორჩენილი რუსი რეჟისორის ვ. პუდოვკინის აზრი იმის გამო, რომ კინოში თეატრალურობის წინააღმდეგობრივად არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს თვითონ თეატრს, არამედ იგი უფრო აშკარად და გაბეჯულად აყენებს მისი განვითარების პროცესში წარმომოხილველ წინააღმდეგობათა კინოს საშუალებით გადაჭრის აუცილებლობის საკითხს², საფუძვლად მისაღება. ქართველ კინომუშავეებს თეატრალური ტრადიციები შექანიკურად არ გადაქონდათ ვერანაშუ, ისინი შემოქმედებითად ეძებდნენ ამ ორი ხელოვნების შერწყმისათვის საჭირო ტექნიკურ შესაძლებლობებს. დრამის მსახიობმა კინოში თავისი მდიდარი გამოცდილება მოიტანა, მაგრამ პირველ ხანებში მსახიობები არ იცნობდნენ კინოს სპეციფიკას, ხელს უშლიდათ კუსტარულობა, რეჟისორები ხშირად ვერ ეხმარებოდნენ; მაგრამ მიუხედავად ამისა, ხშირად ესა თუ ის მსახიობი თავს აღწევდა ფილმის სისუსტეს, ყალბ სიუჟეტს, ფაქტების ზერულე გაგებას და ქმნიდა ცოცხალ სახეებს.



პირველ ქართულ საბჭოთა ფილმში „არსენ ჯორჯიაშვილი“ მთავარ როლს თამაშობდა ახალგაზრდა თეატრალური მსახიობი მიხეილ ჭიაურელი. მან შექმნა ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლის ირმა და უეჭვარად სახე და მყურებელი მოხიბლა მართალი, დამაჯერებელი თამაშით. ამ პირველ გამოსვლაში უკვე გამოჩნდა მსახიობის სწრაფვა რეალიზმისაკენ.

1922 წელს მ. ჭიაურელი გამოდის ფილმში „სურამის ციხე“. შემდგომ წლებში მონაწილეობს რეჟისორ ბარსკის ფილმებში: „წარსულის საშინელგბანი“ (1925.) და „შურისძიება“, 1926 წელს გამოდის ამო ბეკ-ნაზაროვის ფილმში „ნათელა“ და არსებებს სოფლის მჭედლის ჯონდოს როლს. ეკრანზე ჭიაურელის უკანასკნელი ნამუშევარი იყო სიკო კინოფილმში „ხანუმა“ (1927, რეჟისორი ა. წუწუნავა). სიკოს როლი ფილმში აღებული იყო ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“³ ლიბრეტოდან. ჭიაურელმა დიდი სითბო და იუმორი შეიტანა ამ როლში და თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა კომედიერმა მსახიობმა.



² В Н Пудовкин. Актер в фильме. Изд-во Государственной академии искусствознания. Л. 1934, стр. 8.

პირველ ქართულ ფილმში არსენას დედის როლს თამაშობდა ბრწყინვალე მსახიობი, ქართული სცენის მწვენიება ელისაბედ ჩერქეზიშვილი, სცენურმა მიმზიებელლობამ სახის სწორმა ფსიქოლოგიურმა გახსნამ, ოსტატურად ჩატარებულმა დიალოგებმა დიდი პოპულარობა მოუტანა მსახიობს სცენაზე. ყოფითი ჟანრის საუკეთესო მსახიობმა ე. ჩერქეზიშვილმა თავისი ოსტატობა კინოშიც გადაიტანა.

ე. ჩერქეზიშვილი მონაწილეობდა ა. წუწუნავას ფილმებში „უაილდ-ვესტის მხედარი“, „ორი მონადირე“, „ჯანყი“. კ. მარჯანიშვილის ფილმში „სამანისშვილის დედანაცვალი“: „ხანუში“ მთავარ როლს ასრულებდა. ერთნაირად მომზიებლავი იყო ამ როლში თეატრსა და კინოშიც. მსახიობი ოსტატურად გადმოგვცემდა გმირის ტიპიურ სიცოცხლურ და ეროვნულ ხასიათს, რითაც ამაღლებდა ფილმის ტონუსს, აძლიერებდა მის კომედიურ ხასიათს, ხაზს უსვამდა ყოფითი სცენების ეთნოგრაფიულ თავისებურებას და ძველი თბილისის აღათებს. ნატო ვაჩნაძე იგონებდა: „მისი ტლანტი შეიწოვდა ხალხური შემოქმედების მაცოცხლებელ წვესს, მისი თამაში უკიდურესობამდე აღსავსე იყო ცოცხალი იუმორით, უბრალო ადამიანის ცხოვრების, ფსიქოლოგიის, საზრუნავისა და იმედების ღრმა ცოდნით. იგი სახალხო არტისტი იყო ამ სიტყვის სრული გაგებით“³.

„ხანუში“ მონაწილეობდა უფროსი თაობის კიდევ ერთი მსახიობი — ვალერიან გუნია, რომელიც ჯერ კიდევ 1913 წელს გადაიღეს კინოში. გამოჩენილი ქართველი მწერალი-დრამატურგი, შალვა დადიანი საკმაოდ ცნობილი მსახიობი და რეჟისორიც იყო. თამაშობდა კინოფილმებში „სურამის ციხესა“ და „მოკვეთილში“. ამ უკანასკნელში ონოფრეს როლს ასრულებდა.

„არსენ ჯორჯიაშვილში“ ე. ჩერქეზიშვილთან, მ. ჭიაურელთან და ვ. გუნიასთან ერთად მონაწილეობდა რევოლუციამდელი ქართული თეატრის ცნობილი მსახიობი ალექსანდრე იმედაშვილი, რომელიც ადრე ფილმ „ქრისტინეშიც“ იყო გადაღებული. „არსენ ჯორჯიაშვილში“ იგი მუშა რევოლუციონერის ეპიზოდურ როლში გამოდიოდა. ნიჭიერმა მსახიობმა შინაგანი სიბოთ და დამაჯერებლობა მინიჭა სახეს. „მოკვეთილში“ იმედაშვილი პატივმოყვარე მთიელის — გელას როლს ასრულებდა. შემდეგაც გამოდიოდა კვრანზე მარჯანიშვილის მიერ გადაღებულ კინოსურათებში, ზოგიერთში მთავარ როლებსაც ასახიერებდა.

დღი სცენური გამოცდილებით მოვიდა კინოში ალექსანდრე ჟორჯოლიანიც. თავისი პოპულარობა კინოში დამიკვიდრა პირველივე ნამუშევრით — შეგირდი ჭითის როლით კინოფილმში „ნათელა“. ჟორჯოლიანის გმირებში მკვეთრი ხასიათები შერწყმილია მსუბუქ იუმორთან, მისი პერსონაჟები კოლორიტულია და ტიპიური. ჟორჯოლიანის შემოქმედებით დაიპაჰონზე მეტყველებს მის მიერ განსახიერებული მეორე როლიც კინოში — მეფის სატრაპი ლორის მეღიქოე ნ. შენგელაიას ფილმში „ელისო“ (1928).

ი. პერესტიანის ფილმში „სამი სიცოცხლე“ (1924) პირველად გამოვიდა კინოში თეატრის ცნობილი მსახიობი მი-



³ Натo Вачнадзе. Встречи и впечатления, Госкиноиздат, М, 1953, стр. 32—33.



ხეილ გელოვანი. იგი ასრულებდა ბახვა ფულავას რეჟისორულ და გულწრფელი გრძნობებით აღსავსე იყო მ. გელოვანი — ბახვა. შემდეგ იგი კვლავ მონაწილეობდა კინოსურათებში „მეცხრე ტალღა“, „ორი მონადირე“ და საკმაო გამოდევლებაც შეიძინა, რაც დიდად დაეხმარა გვიან სახვინმრეწვესა და სომხეთის სახფოტოკინოში ფილმების გადაღებისას.

ქართული კინოში მოღვაწეობდნენ ქართველი თეატრალური რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი და ალექსანდრე წუწუნავა. მათ მიერ სხვადასხვა დროს გადაღებულმა ფილმებმა „ქარიზხლის წინ“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „უილდე-ვესტის მხედარი“, „კრახანა“, „ამოკი“, „კომუნარის ჩიზუხი“ და სხვა, რომელთაგან ზოგიერთმა აღიარება მოიპოვა, ხოლო ზოგს ხანმოკლე სიცოცხლე ეწერა ვერანაშუაზე, დიდი წვლილი შეიტანეს ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში და რაც მთავარია, გამოავლინეს მსახიობთა ახალი ძალები, ახალი სახელები.

მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მსახიობებმა უკუაგდეს ქართულ კინოში მანამდე გაბატონებული ხელოსნური შტამები. ისინი როლის შესრულებისას ფილმის საერთო ჩანაფიქრიდან გამოდიოდნენ, სწავდებოდნენ სახის იდეურ არსს, ეუფლებოდნენ მოძრაობის ოსტატობას, ხასიათების ღრმა ფსიქოლოგიურ ამოხსნას. მსახიობებს ესმოდათ, რომ ეროვნული სპეციფიკა ხანჯლებისა და „ლექურის“ ეგზოტიკა როდი იყო. მსახიობის თამაშის უროვნული ჩასიათის ჩამოყალიბების წინაპირობა, როგორც ამას მარჯანიშვილი განასაზღვრავდა, „თვითმყოფად ეროვნულ პლასტიკასა, ეროვნულ ტემპერამენტსა და რიგობის თანდაყოლილ გრძნობაში მდგომარეობდა“⁴. 1924 წელს რევოლუციამდელი თეატრის მსახიობებთან კოტე მარჯანიშვილს კონფლიქტი მოუხდა, რის შემდეგაც ამ მსახიობებმა მიატოვეს რუსთაველის თეატრი. მიუხედავად ამისა მარჯანიშვილი მაინც იწვევდა მათ კინოში. უფროსი თაობის შესანიშნავ მსახიობს, ნიკო გოცირიძეს დიდად აფასებდა მარჯანიშვილი და წერდა: „ნიკო გოცირიძე ხიდია ძველსა და ახალ თაობას შორის“. ნ. გოცირიძე ფილმში „ქარიზხლის წინ“ კინტოს როლს ასრულებდა: მასთან ერთად ამ სურათში მონაწილეობდნენ ლადო კავსაძე, ალექსანდრე იმედაშვილი. იგი მონაწილეობდა აგრეთვე მარჯანიშვილის სხვა ფილმებშიც — „ამოკი“ (ეჭიმი), „კრახანა“ (მონტანელი). კინოსურათში „გოგი რატიანი“ დედის მთავარ როლს თამაშობდა ნუცა ჩხეიძე, ამავე ფილმში მონაწილეობდა ცეცელია წუწუნავაც. წუწუნავა ს. ჟორჟოლიანთან ერთად დაკავებული იყო „სამანიშვილის დედინაცვალში“.

მარჯანიშვილის ფილმებში უფროსი თაობის მსახიობებთან ერთად გამოდიოდნენ რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა ძალები, რომლებიც მხარს უჭერდნენ მარჯანიშვილის ნოვატორულ წამოწყებებს. დიდი რეჟისორი კინოფილმ „გოგი რატიანის“ გამო დაწერილ სტატიაში მთავარი როლის შემსრულებლის შესახებ წერდა: „ხელოვნების სფეროს მოღვაწე და განსაკუთრებით რეჟისორი დიდ შემოქმედებით გამოყოფილებას განიცდის, როდესაც მსახიობი ან სხვა შემოქმედებითი მუშაკი, თუნდაც მოწაფე რეჟისორის დიდი ხნის ნანატრ ჩანა-



⁴ კოტე მარჯანიშვილი. ქართული თეატრის საკითხები. ტურნ. „კავკასიონი“ თბილისი, 1924. № 1-2. გვ. 98.

ფიქრს ანხორციელებს. ამიტომ ძალიან მიყვარს მუშაობა ახალგაზრდებთან“. ასე იყო თეატრში, ასევე იყო კინოშიც. ახალგაზრდა მსახიობი უშანგი ჩხეიძე თამაშობდა „ქარიშხლის წინ“ და „კომუნარის ჩიბუხში“. ამ უკანასკნელში მონაწილეობდნენ მსახიობები ვერვიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა ღამბაშიძე.


აკაკი ვასაძე და შალვა ღამბაშიძე თამაშობდნენ „სამანი-შვილის დედინაცვალშიც“. ორივე ეს შემსრულებელი მონაწილეობდა რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმულ ამავე პიესაში. მაგრამ კინოში ისინი სხვა როლებს თამაშობდნენ. ა. ვასაძე, შ. ღამბაშიძე და ც. წუწუნავა, რომლებიც ცენტრალურ პერსონაჟებს წარმოსახავდნენ, შესანიშნავად გადმოსცემდნენ დ. კლდიაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იუმორისა და დრამატიზმის თავისებურ შერწყმას.

მარჯანიშვილის მოწაფე ახალგაზრდა მსახიობები ამის შემდეგ სისტემატურად მონაწილეობდნენ მათი მასწავლებლის ფილმებში. მაგ. აკაკი ვასაძე „მამის მკვლელობა“ იასულ გირგოლას ანსახიერებდა; რეჟისორ გ. მაკაროვის პირველ ფილმში „ქალი ბაზრობიდან“ (ონილის), სიყვარული თელავის ქვეშ“ (1928) ა. ვასაძის მიერ განსახიერებული იბენი მსახიობის შემოქმედებითი ზრდის ნათელი დადასტურება იყო.

თუ ა. ხორავა 1925 წ. გ. ბარსკის ფილმში „შუქურას საიდუმლო“ სტუდენტ-კონტრაბანდისტის გამოგონილ, მულოდრამატულ, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობებისათვის უცხო როლს ასრულებდა, „წარსულის საშინელებაში“ მან შექმნა დატაკი გლეხის ძლიერი რევოლუციური სახე, „ნათელაში“ აჯანყებული მეგრელი გლეხების მეთაური მკვდელი უტუ მიჭევა განასახიერა. ეს ორი უკანასკნელი სახე უკვე ახლოს იყო ხორავას შემოქმედების ძირითად მიმართულებასთან. ამ ადრინდელ როლებში ხორავამ გამოამჟღავნა დიდი ემოციური სიმდიერე, სახის შინაგანი არსის სწორად გახსნის საოცარი უნარი.

გამოჩენილი მსახიობი გიორგი დავითაშვილი ა. ვასაძესა და ა. ხორავასთან ერთად მონაწილეობდა ამ წლებში გადაღებულ ფილმებში „სურამის ციხესა“ და „მოკვთილში“, გამოვიდა აგრეთვე გრუშნიკის როლში „თავადის ასულ მერხში“. ამ უკანასკნელს პრესა უაწყობითად გამოუმხურა, მონაწილეობა შორის კი ქება მხოლოდ დავითაშვილის უძღვნა.

კ. მარჯანიშვილის შემოქმედებამ კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ქართულ კინორეჟისურაზე. გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია მარჯანიშვილის ასისტენტი იყო ფილმზე „ქარიშხლის წინ“ მუშაობის დროს.





შემდეგ ნ. შენგელაიამ ს. კლდიაშვილთან ერთად დადგინდა სცენარი „სამანიშვილის დედინაცვლისთვის“, ფილმის გადაღებისას თვალყურს ადევნებდა მარჯანიშვილის მუშაობას.

ნ. შენგელაიას პირველ ფილმს „გიული“, რომელიც მან რეჟისორ ლ. პუშთან ერთად გადაიღო, დიდი წარმატება არ ჰქონია. მასში დიდი ადგილი ეთმობოდა „სახინწვერვის“ იმდროინდელი ფილმებისათვის დამახასიათებელ მხოლოდრამატის სრულიად სხვა სახისათვის იყო შემდეგი ფილმი „ელი-სო“ (1928, სცენარის ავტორები სერგეი ტრეტიაკოვი და ნ. შენგელაია). ფილმი წარმოსახავდა რომანტიკული სულისკვეთებით აღსავსე სახალხო ტრაგედიის სურათებს. სინამდვილის რეალისტური ასახვა ფილმში მჭიდროდაა შერწყმული რომანტიკასთან, რაც ტრადიციულია ქართული ხელოვნებისათვის. ეს იგრძნობოდა მსახიობების — იმედაშვილის (ელი-სოს მამა), ც. წუწუნავას (მიილი ქალი) თამაშშიც. მათ ამ სურათში შექმნეს გაცილებით უფრო ძლიერი, კოლორიტული სახეები, ვიდრე ადრინდელ ფილმებში. ქართული კინოს ახალი პერიოდის ერთ-ერთი პირველი ნამუშევარია მ. ჭიაურელის „საბა“ (1929). ამ ფილმში მუშის ცოლის თამაგობებილი სახე შექმნა ვ. ანჯაფარიძემ. მსახიობი თამაშობდა თავ-შეგავებულად. მაგრამ ამ თავდაჭერილობაში იგრძნობოდა მისი შინაგანი ძალა, ჭეშმარიტი სიმამაცე და შვილის თავ-განწირული სიყვარული.

ქართული მსახიობების — ვ. ანჯაფარიძის, ა. ხორავას, ა. გასაძის, ც. წუწუნავას, ა. იმედაშვილის და სხვათა მიერ იმ პერიოდში შექმნილმა სახეებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კინოხელოვნების განვითარების საქმეში. თეატრის საუკეთესო მსახიობები თავისი შემოქმედებით ხელს უწყობდნენ ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში რეალისტური პრინციპების დანერგვას.

ქართული მსახიობების კინოში მოხვლა მთელ რიგ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა ქართული კინემატოგრაფიის პრაქტიკამ ჩამოყალიბების პერიოდშივე უარყო იმ კინორეჟისორთა პოზიციები, რომლებიც უარყოფდნენ თეატრალურ მსახიობს ვითომდა „წმინდა“ კინომსახიობის სახელით.

თეატრის მრავალსაუკუნოვანი კულტურა ერთი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა მუხჯა პერიოდის ქართული კინოს გარკვეული სახის ჩამოყალიბებაში. ნაწილობრივ ქართული კინემატოგრაფიის ეროვნული თვითმყოფადობა აქტიური ხელოვნების თავისებურებაში გამოძველდა. კინოში მოწვეული თეატრის მსახიობები შემდგომში ავითარებენ 20-იანი წლების მონაპოვარს, აღრმავენ მინებულს, კეთილმყოფელად მოქმედებენ კინოში მოსულ სხვა მსახიობთა შემოქმედებაზე, რომელთა კინოში მოღვაწეობას წინ არ უსწრებდა თეატრში მიღებული გამოცდილება.

ხმის გამოჩენამ კინოში ახალი ეტაპი დაიწყო საბჭოთა კინოხელოვნებაში. ხმამ მსახიობებს ფართო პერსპექტივები და შესაძლებლობები გადაუშალა. სიტყვამ აქტიურს დაუბრუნა მისთვის ჩვეული ატმოსფერო. ქართული კინოს განვითარების ამ ახალ ეტაპზეც თეატრალურ ხელოვნებას დიდი და აქტიური როლი განეკუთვნა.





ოთარ კობერიძე ფილმში „პატარა უფლისწული“

ღაესახუარეპული პლიარეპე

აგული დადიანი



სახიობი თავის უკანასკნელ ნამუშევარზე ლაპარაკობს — ოდნავ აღღვებით, შთაგონებულად, ფიქრში წასულად:

... წერილმა ამღვლედა, წინადადება უჩვეულო და სარისკო მეჩვენა. ვერ წარმომდგინა ჩემი თავი ოპერაში, თანაც მომღერალმა. მაგრამ წერილი ისეთი უშუალო და საქმიანი კილოთი იყო დაწერილი, რომ გეტკობოდა რეჟისორის მტკიცე გადაწყვეტილება მიუღო... რიგას ვეწვიე. შევხვდი რეჟისორს — წერილის ავტორს. გავეცანი როლის ესკიზს. რეჟისორმა გრიძის გაკეთება მიხვდა. დამთავრებისთანავე წამოიძახა ტრადიციული „СТОИ!“, გასინჯავა აღარ გაგრძელებულა. დავიწყეთ რეპეტიციები.

გრიჯინოს თამაშისას იერსახის ჩემს მიერ გამომუშავებული ხერხების მთლიანად უარყოფა მომიხდა. საჭიროებამ და სპეციფიკამ მოითხოვა, რომ ყოველი ჩემი ნაბიჯი უყუსთან დაშვებულმა იქნებოდა რიმსკი-კორსაკოვის მიერ შექმნილი გრიჯინოს სახის მუსიკალური პარტიტურისათვის. ასე, რომ თუ მუსიკა ემოციურად უდიდეს დახმარებას მიწევდა, ამავე დროს სასტიკად მზლუდავდა და როლიც პირდაპირ ნოტებზე აეყვო. რეჟისორი ვლადიმერ გორიკერი ის უჩინარი დირიჟორი იყო, რომლის წამმართველ ხელს მსახიობი ყოველ ნაბიჯზე გრიძობს.

ოპერა-ფილმი რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლუ“, სადაც ოთარ კობერიძე ბოიარინ გრიგოლ გრიჯინოს თამაშობდა, ორმა ვნახეთ — მსახიობმა და მე. როდესაც სურათი დაიწყო, გამახსენდა ერთ-ერთი რეჟენსერის ნათქვამი — კობერიძე — ბაზი-აჩუკის ზოგ ადგილში ეოციის სიღარიბე შეიძინებოდა. ამის შესწავლა დიდი ხანი გავიდა და კობერიძე სურათიდან სურათამდე ამტკიცებდა თავის ექოციურობას. და მაინც სეპეტიკოსის თვალთი ვაკვირდებოდი გრიჯინოს ყველა განიხილვას, არიას, დუეტს და ხათლად ვხედავდი, რომ მსახიობი მშვენივრად მიჰყვებოდა ოპერას, რეჟისორისა და საკუთარ ჩანაფიქრს, ვერსად ვნახე მსახიობის მეტროლოგიის სულის მოთქმის ცდა ექოციურობის მხრივ და ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის დროს. კიბეალოს კი (იგი მღერის გრიჯინოს პარტიას ოთარის ნაცვლად) შევაძინე რიმსკი-კორსაკოვის პარტიტურისთან ექოციურად ჩამორჩენა.


„მეფის საცოლუ“ მრავალი კარგი რეჟისორი მიუძღვნეს, რიგისა და მოსკოვის გახუთებმა. ჟურნალ „ოგანიოგმა“ კი კობერიძეს დიდი ტრაგეიული დიპლომის მსახიობი უწოდა.

შემდეგ ვნახეთ დე-სანტისის „ისინი მიდიოდნენ აღმოსავლეთისაკენ“, სადაც ოთარი იტალიელ ოფიცერს თამაშობს. ამის შესახებ მსახიობმა გვიამბო: დე-სანტისისა ნახა სურათი „სხვისი შვილები“. გავიციებთ ერთმანეთი და თავის ფილმში ეპიზოდურად დამილოცა. ისიც გაუსუნჯავდა. როდესაც გადალება დაიწყო, უკვე ვიციდი ტექსტი იტალიურ ვნახე. გადაღების დროს კი თარჯიმნის მეშვეობით მამღვდა შენიშვნება. დე-სანტისი პირველი ფრაზის თქმისთანავე ფეთქებოდა — ამჟღავნებდა თავის დიდ შინაგან ტემპერამენტს და ვიდრე თარჯიმანი დაიწყებდა თარგმნას, უკვე იწყებდა ჩემი მოსაზრების დადგენას რუსულად. ქართულად, იტალიურად, ხელში, მიმიჯი. თარჯიმანი გადაღების ნომენტრი დაკარგა თავი იფუქტია. ეს ეპიზოდი დავეწყარი იქნება ჩემთვის. აქ ვიგრძენი, რომ ხელოვნებას ენის ბარიერი ხელს არ უშლის.

მაშინ ვკითხე ასე ხაზგამსმთ რატომ აღნიშნავდა გაუანჯავად თამაშს. — ეს მასხიობისათვის სინარულია?

— დიდი სინარულია, ეს გვეძლევის სტიმულს, ამტკიცებს თვითრწმენას, აღრმავეს რეჟისორისადმი პატივიცემასა და ნდობას. მაგრამ არის კიდევ ერთი „მაგრამ“: თუ რეჟისორმა შემოთავაზა გაუსინჯავად თამაშო როლი, რომელიც სხვა სურათში ნაოამაშე ვერსახეს რთობე მოგაინება. მაშინ ეს როგორღაც გამიგრება კიდევ. არის სხვა მომენტები, რაკი როლის გაუსინჯავად თამაშში, პასუხისმგებლად ერთიორად იზრდება, რეჟისორიც უფრო მეტად გეხმარება, ხელს გიწყობა. მიყვარს როლის ასე მიღება. ახლაც ასე გამახარა ს. დილიძემ მია ახალ სურათში.

ო. კობერიძემ 11 წლის განმავლობაში 20 როლი თამაშა კინოში. მათ შიხსებე ჭარბულმა თუ ცენტრალურმა პრეჟამ მრავალი რეჟენსორი გამოაქვეყნა. შევეცადე ეს რეჟენსობები არ გავეჩურობინა. მსახიობმა არა ერთი საღამო ვესაუბრე. პირველი ვიხსება შეგზობადა მის მიერ ოფესაში დადგმულ სურათს — „ოცნების შესახვედრად“.



ო. ობერიძე—მესხვეფი (დღეს ასალი ატრაქციონია).

ვასტანე ტაბლიაშვილი, მსახიობი ირაკლი ქუჭურაშვილი, ასისტენტი გეგმაზე გვერდებზე (ახლა კინოსტუდიის გადასმულმა ჯგუფის დირექტორი) და ამ სტრიქონების ავტორი მარჯანიშვილის თეატრიდან კინოსტუდიამი მივიჩქაროთ. საარტილერიო სასწავლებელთან ცნობისათა ესკადრონი ჩამოქვეითებულიყო. წარმოსადგე, ბრვე ვაგაცას ორი ბეღური გვირა, ჯილაკით ივაგებდა. ფეხავაშა ყორანა ვანებეიერებულ ბავშვებით ანცობდა. ჭაბუკი უყავებდა, მტკიცე ხელით იურებდა. ლამაზი სანახაობა იყო. ჩვენ შეყერილით ვასტანეი ჭაბუკს მიესალმა და ჩვენც გაგვაცნო.

ეს ჭაბუკი იყო ო. კობერიძე — თბილისის კინოსახიობთა სასწავლებლის ახალგურსდამთავრებული. მას სასწავლოდ დავმთავრებინა აგრეთვე საარტილერიო სასწავლებელი და უკვე ოფიცერი ფორნტზე მიემგზავრებოდა. ვასტანეი „დაემუქრა“ — ჯანმრთელად დამბრუნდა და თეატრშიაც და კინოშიც მთავარ როლებს გათამაშებო. რეჟისორმა მხოლოდ 15-იოდე წლის შემდეგ შესძლო პირობის შესრულება.

ომის დამთავრების შემდეგ სტუდიამი მუშაობა გამოცოცხლდა. რამდენიმე სურათს ერთდროულად იღებდნენ და ასევე... ერთდროულად შეწყდა მათი წარმოებაც. მხოლოდ „ქეთი და კოტეს“ წყალობდა ბედი, მიმდინარეობდა მთავარი და ეპიზოდური როლების შემსრულებელ მსახიობთა სასინჯო გადაღებები. ბუნებრივად წარმოიშვა ორი ტერმინი ფრაკოსნები — კოტეს მეგობრები და გარემოცვა, და „ჩოხოსნები“ — თავადი ლევანის ბრწყინვალე ამაღა. ოთარი ამ ამაღაში მოკვდა.

„ქეთი და კოტეს“ შემდეგ კი... დაიწყო სამუშაოს ძებნა. თეატრებში ცხირის ვერ შეკაყოფა კაცი, მით უმეტეს უახველო მსახიობი. ოთარი იწყებს დირექტორად მუშაობას საქდესში, შემდეგ დროდარდო მონაწილეობს რადიოს მხატვრულ გადაცემებში. მოულოდნელად, კომკავშირის რაიკომის რეკომენდაციით, ირჩვენ ერთ-ერთი დიდი ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანად.

1949 წლის ბოლოს სოხუმიდან მიიღო რეჟისორ ს. ქელიძის წერილი. იგი სამუშაოდ იწვევდა. ოთარი არც დაფიქრებულა, სოხუმს ეწევა.

— წერილებში ბედი მაქვს. — ამბობს ოთარი. — ჯერ არ მახსოვს, რომელიმე რეჟისორისაგან ცუდის მაუწყებელი წერილი მიმეღო. ასეთი წერილი მეფერი არა მაქვს, მაგრამ მათ თვალისჩინებით უფუფუნობილდები. ოთარს მოწყვეტის ბარათი მოუვიდა ლენინგრადიდან. (ითამაშა მომთხრობიერებელი მესხვეფი, ვილიუსიდან (ითამაშა ეგვიპტური), ოდესიდან (ითამაშა კოსმონავტი ბატალოვი), რიგიდან (ითამაშა გრიზინი) და სხვა.

1950-იან წლებში ს. ქელიძემ დიდი შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღა სოხუმში. მან შემოიკრიბა ნიჭური ახალგურსდობა. ოთარმა აქ ითამაშა ფერდინანდი, დიოკო, („ლავანის ნაამბობი“), პლატონ კრეჩეტი, დონ სეზარ დე ბაზანი, იაინიჩვა გოგოლის „ქორწინებაში“ და სხვ.

იმ ეტესი წლის განმავლობაში ქართულ კინოსტუდიამი სურათი არ დაწყებულა (დამთავრებულა სურათ ვიტყვი), რომ მთავარი როლიდან ეპიზოდურამდე ოთარი არ გავსინჯოთ, მაგრამ შედეგი ყოველთვის ერთი იყო — „გამოვიძახებთ“. ბაში-აშუსი როლის შეთავაზებაც იმ დროისათვის ტიპური მოვლენა იყო. დ. ესკავი მხოლოდ მაშინ გაბედა კობერიძის „აყვანა“, როდესაც ეს მშენებელი მხედარი და სპორტსმენი ცხენზე ნახა. იგი უტყვევლად მოიხიბლა მსახიობის სიკისკასით, ჯავართი, სილამაზით. გარეგნობამ დასძლია რეჟისორს და შეიძლება ამიტომ იგი ამ გარეგნობას უფრო დაყრდნობ, ვიდრე მის შინაგან ბუნებას. რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისი შემთხვევები ნიჭის გამოვლინებისა, მაგრამ ესეი პროფესიული მსახიობის უპირატესობაზე მეტყველებდა.

პასუხი ხუმრობით დაიწყო: — „სამოგარეზე“ წასული რაჭველი კაცი ვიყავი და როგორც მსახიობს პატიოსნად უნდა მემუშავანა. კეთილსინდისიერად ვირჯებოდი. ვატყობდი სურათი არ გამომიღებდა, სცენარი ძალზე სუსტი იყო. წარმოებიდან ორჯერ მოხსნის შემდეგ დამიბარეს სამხატვრო საბჭოზე და წინადადება მომცეს სურათისათვის მომვლელი, როგორც რეჟისორს. რეჟისორობაზე ვიცნებობდი, მაგრამ ასეთი დებიუტი არ მინდოდა და სასტიკი უბრა ვუთხარი. ბოლოს მოსივ დამიბარებნენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ სურათის მიხედვით არ წაიღებდნენ დამატაციებლად და მხოლოდ უკრიანში უჩვენებდნენ. მაგრამ სურათი კიევიში ნახა მოსკოვიდან ჩამოსულმა კინემატოგრაფიის კომიტეტის პასუხისმგებელმა თანამშრომელმა და იგი მოსკოვში გააქანა. ფილმი ვაგრეუ შეფასეს და სააკაგიროვი ვერანზე გაუწვიეს. ამან ცხადია კიდევაც გამახარა. თუმცა სხვაგვარად წარმოშედგინა ჩემი დებიუტი რეჟისორში.

— როგორ დაიწყე? ისე როგორც სცენიში ვატყებულმა ყველა ახალგურსდამ. პირველობა ჩემს „ალმოჩენაში“ მაშინ ახალგურსდამ, ახლა უკვე საქართველოს სახალხო არტისტის მთავარი პირველს ეკუთვნის. მასთან ერთად სკოლის სცენაზე ვითამაშე „პატარა კახი“, ლევან ქვაბუთიძე. მანვე წამიყვანა მარჯანიშვილის თეატრში და მასობრივ სცენებში გამოვიყვანა. კინოსათვის კი ვ. ჭანჭველაძემ „ალმოჩენაში“ (ამ ქართული კინოს დღებთან მრავალი კალი და ვაგი „ალმოჩენაში“, და ბევრიც ვეღარ შეინა ჩვენს ყვარანს). იგი სურათზე „შავ მთებში“ შენგულაიას ასისტენტი იყო. ამ ფილმში სოფოტი პარტიზანის ეპიზოდული შევასრულე. შემდეგ კი იმი დაიწყო და არტისტი გამიწვიეს.

სასიხე გადაღებაზე ჩამოსვლა მეორე პროფესიად მიეცა. და ამ „როსო“ ყოველთვის როგორც ხვდებოდნენ, ისე ვასრულებდი. სხვაინარად არც შეიძლებოდა. მივიღიდი თუ არა გადამაღებ ჯაფუში რეჟისორი დამიწყებდა ლაპარაკს საერთოდ კინოხელოვნებაზე, შემდეგ ასევე საერთოდ გამაცნობდა ჯერ სცენარს, ასევე საერთოდ „ჩემს“ გმირს და საერთოდ გადამიღებდნენ ფოტოსურათს. შემდეგ ამ ჩემი გმირის ორიონდე სიტყვას სცენარის ეპიზოდებს ამოიკითხავდნენ. აპარატთან დამაყენებდნენ, რეჟისორი ან მისი ასისტენტი იყო ჩემი პარტნიორი, — ქალი იყო თუ კაცი მოქმედი პირი ამას არ ჰქონდა გადაწყვეტი მნიშვნელობა, მე ვასუსობდი რეჟისორს და არა ცოცხალ ადამიანს. ჩვენდა სასიხარულოდ ეს ფორმალთა უკვე დიდი ხანია დაივიწყეს. ამის გახსენება ახლა სიცილს იწვევს. ეს ზრდა რეჟისორობისა ჩვენც და ადგილტყო, ჩვენ ვიზრდებით.

შემოქმედებით კონტაქტი შესაძლო სხვება ტოლის სრულყოფა. უწინ ასე არ იყო. სურათში ხვდებოდა რბილი დემონსტრაცია, ლამაზების პანორამა. დათვლიერება. ომის შემდეგ ჩვენს სტუდიაში დიდი ცვლილებები მოხდა — აბოლოლოდ დაპირება ე. წ. „ცისფერი გმირი“ უსისასობრცო, აღმწერის მოკლებული. ახლა გმირმა მიიღო სოციალური კვანძი, იგი გახდა შეიღობი იმ საზოგადოებისა, სადაც ის ცხოვრობს, მუშაობს, იზრდება, ვითარდება. იგი სულითა და ხორცილად, ფსიქოლოგიითა და სასაბოთი, მსოფლმხედველობითა და რწმენით ეკუთვნის გარკვეულ საზოგადოებრივ ფენას, ამის მისი იდეოლოგია. ყოველდ შემუშავებულა ამ შემთხვევაში აბსტრაქტული, განყენებული გმირის თამაში, განსახიერება.

უკვეს მსახიობის და ერთმანეთის ვადარებ მის გმირებს. მაგალითად, ოთარ დღევიძე („იუ ბიტკი“ სამხრეთის). იგი შეუძლებელია „წარმოშობით“ ცისფერი გმირად ჩათვალოს. მხოლოდ ამაღლები მიყვარებდა დროშეებში იმ გმირების გაღვივება. სურათის ბევრი საყვედრო სხვა, თ. კობერიძისა. მაგრამ რეჟისორებმა დაივიწყეს ის ძირითადი, რაც დღევიძის სახისათვის იყო დამახასიათებელი. ესაა მისი უსოფლოზა როგორც უცხოეთში, ისე სამშობლოში. თუ იგი უცხოეთში გატყირვებში მყოფი საზოგადოებასთან კონფლიქტში იყო, აქ სამშობლოში დაბრუნებულმა, ახალ სამყაროში, თავის წამოტყირვანა კონფლიქტი და ამიტომაც უცხოედ დარჩა — იგი ორივე სამყაროში მარტო იყო და ეს მარტობა წითელ ხაზად გასდევს კობერიძისეულ გმირსაც.

გაიხსენებთ სამშობლოდან გადახვეული უნგრელი მფრინავი ნ. ჭიაურელის ფილმში „გენერალი და ზიზნელი“. თ. კობერიძე ითქობს მის შესაფერ გარემოში ხვდება. მაგრამ მას არ აინტერესებს მარტო დღევანდელი დღის გასაძირვო. მას მეტი უნდა — ხვალინდელი დღე, ცხოვრების აზრი, მიზანი. ამიტომ იგი აქაც უცხოა თავისიანებში. ანდა მფრინავი ფილმიდან „117 თიხობ დაჯდომის“, ოთარმა იგი შესაზნისვად ითამაშა. ეს თვითდაჯერებული სკეპტიკოსი მარტოა თავისივე გარემოცვაში. ამათი როლების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება — თუნდაც იგივე აბაქნელი „ქალის ტვირთში“.

კობერიძე არ ცდილობს ცალკეული დეტალების შეერთებითა და „მოხტავით“ გმირის იერსახის შექმნას. იგი ჯერ თავის გმირს მთლიანად აღიქვამს. გაიასურებს, ტლანქად გამოიჭრება. კონტურებს შექმნის. დეტალებისა და სასახათო შტრიხების ძებნა და დახვეწა კი შემდეგ იწყება. ამიტომ არის, რომ კობერიძის ყველა გმირი თავისუფალია, სადა, თვითმყოფადი და მაცურებლობისა ადვილად ჩასაწყდომი. კობერიძის მიერ გქრანზე შექმნილი ყველა როული სამე — დათა („სხვისი სულივით“), ბიარინი ცეცხლანში, მოთვინიერებელი მესხივი, იტალიელი ლეიტენანტი, მფრინავი, რომელიც დაჯდომას ითხოვს და სხვები, მიუხედავად ფსიქოლოგიური სირთულისა, თავისუფლად მიდის მაცურებლობაზე.

თ. კობერიძე გრაზანის როლიში („მეფის საცოფი“)



1620
განსჯ
ქაობი

ფილმის „დღეს ახალი ატაკაციონი“ რეჟისორმა კობერიძის სტილიურად აუყვანა დუბლიორი — ცნობილი მომთვინიერებელი კ. კონსტანტინივი. მაგრამ მსახიობმა კატეგორიული უარი თქვა. იგი ისე დაეუფლა მომთვინიერების პროფესიას, რომ კონსტანტინივიც მას ნიჭითი მოწაფე უწოდა და თავისთან სამუშაოდ მიიწვია.

ოთარ კობერიძეც ეს-ეს არის დამათავრა ვესიუბუნის როლი, ითამაშა. ს. დოლიძის ახალ სურათში, ახლა კი უნდა წავიდე სურდოებსში, სადაც დ. მდღევევიძის რომანის მიხედვით დასადგმულ ფილმში (რეჟისორი: ვ. გორგიჯანი) ლეიკე-პირელი კუნსტევის როლი აქვს ნიშნობილი.

პირველად სცენაზე ოთარი ნ წლის წინათ ვნახე მოსკოვის მეორე თეატრში, მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების დროს. იგი რომეოს თამაშობდა. მის გამოჩენას მოსკოველები აღტაცებით შეხვდნენ. მოქმედების დამთავრების შემდეგ იქუ-ხა ტაშმა, რომელიც დასაყრებლმა მიუძღვნა რომეოს და მის ნატივ პარტნიორს მელაა ჯაფარიძეს. მანტრელებმა ორი ცნობილი თეატრმცოდნე პროფესორის ფეფრასკუსა და განსაკუთრებით მაკარევი მაკარი ანიკტის აზრი. ანტარქში ა. ფეფრასკოვი თითონ მიმიხმობ და ოთარის ვინაობა მითხა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კი სთქვა:

„რა თქმა უნდა, მშვენიერი რომეო. იგი ითიქობდა დაბადებული ანტიკური და მექსიკის გმირების სათამაშოდ. მომწონს მისი გარეგნობა, ტაქტი, თავსუკავება. არისტოკრატიზმი, დიაბ, ნამდვილი არისტოკრატიზმი, რასაც ახლა სცენაზე იმეათად ნახავთ. მელაა ჯაფარიძის ეს ახალი პარტნიორი მშვენიერია.“

ამის შემდეგ გაკვებულ და ანიკტს მივმართე. — შედეგს შესანიშნავად ვიცნობ. — თქვა ანიკტამ. — რომეო კი, ნამდვილი რომეოა. გადავიცი, რომ იგი მშენიერია, დიდი, ძალზე დიდი ხანია არ მინახავს ასეთი რომეო! რიგში რეჟისორი. დღევანდელ დიდხანს ვისაუბრე კობერიძის რომეოს გამო. იგი ვერ მაღადავდა აღტაცებას და გახუთ „სამჭოთა სიტკივის“ ფურცლებზე ვრცელი რეცნვნიაც მიუძღვნა მას. აი ზოგიერთი ადგილი რეცნვნიიდან:

„კობერიძის რომეო არაფრით არა ჰგავს ნახს, ნადვლიან ჭაბუკს. რომლის გული საგუა დამაქრული სანტონენტალური სიყვარულით. მსახიობის გარეგნობა, მისი პირველივე წარმოთქმული სიტყვები, გვარსულები, რომ სცენაზე მექსიკის ნამდვილი თანამედროვე — რენესანსის გამოქის გამბედევი ვაფაკაცი. ამასთან ერთად კობერიძე არაჩვეულებრივად უსუსად იყენებს ავტორისეულ ტექსტს. ოთარ კობერიძე რომლის იერსახეს ხსნის ახალი კუთხით — მას ახასიათებს მებრძოლის დიდი გამბედეობა, ღრმა ტრაგიკიზმი. უკუბრებ რომეოს და გვჯერა, რომ მდიდრისა თეატრი, რომლის დასმულ არის ასეთი არტისტი... კობერიძის ჭემა მოულოდნელად მოვიდა რიგში, მაგრამ ახლა ჩვენ დიდხანს დავიმახსოვრებთ მის რომეოს.“



ნ ა ტ მ ლ ა

1941 წელი... 13 აგვისტო.
 მოსკოვი.
 თბილისელი პარტიული სკოლა.
 თბილისელი ნიკოლოზ სტერუა, ბათუმელი ხასან აკაბა და მე, — ლენინგრადიდან ჩასული, — გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასახსნელ პარტიზანულ რაზმებს უნდა გავეყვით პოლიტიკლებად. დანიშნული დრო მოვიდა, ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ლენინგრადისაკენ გავემართე.
 სადგურ მალაია ვიშერაში ჩვენი მატარებელი დაბოშეს. სამი დღე-ღამე ვიარე და ალყაშემორტყმულ ლენინგრადში ჩავდი. 18-ში კი ქალაქის უკა-

ნასკნელი გზები ჩაეკეტეს.
 დაიწყო ლენინგრადის ბლოკადა. აიმრიზა ქალაქი. აქიორჩენ ქუჩებში გაკრული პლაკატები, ნაღარაბაეით გაისმა ჯამბულის მოწოდება — „Ленинградцы, — братья мои!..“ მოხუცი ამხნევებს ლენინგრადელებს, მაგრამ არც იმას უშალავს, რომ მძიმე განააცდელი კლით.

1941 წელი... 13 სექტემბერი...
 ლენინგრადი.
 პირველი დაბოშების ღამე.
 ქალაქი ცეცხლშია. ჟურნალისტიკის ინსტიტუტის დაცარილებული საერთო საცხოვრებლის სახურავზე ავდი. ბუ-

რის მილის კაუკუს ქაშრით გამოვფები, რომ გამძაფარი ყუბბარის ტალღამ აჩქარებულა. ზუღლით ჩაქროლილი სიყვდილი სადღაც ახლოს დანცა. ქამარი ავხსნი, სახურავზე დაცვიბილ ცეცხლგამჩენ თავისიტლოა ყუბბარებს ქურაში ვყრი.

ასე გრძელდება ყოველ ღამე. ფრიცი პუნქტულურად ანაწილებს: ერთი საათი დამშობმვას, ერთიც — კორექტირებას. ლენინგრადელებიც შეეწყნებო: საჩარო თავდასხმის შეწყვეტილ სარგებლობენ, ხანძარს აქრობენ, ნანგრევებიდან დაჭრილები ამოჰყავთ, ერთმანეთს ეხმარებიან და ისევ ცას ეცილებიან. მაგრამ არიან ისეთებიც, — სინელებში ფანჯრებს აღებენ, მალულად რაკეტებს უშვებენ, მტრის ავიაციას საშიზნეს უჩენენ.

ცატი ცვეთამ დამქანცა. არც მიწაზე ღოღილი მაქვსრობს.

კარგად ვიცნობ ლენინგრადის გარეუბნებს, განსაკუთრებით კურორტ ვიროცას მიდამოებს. სტუდენტობის ორი ცხელი ზაფხული გავატარე იქ ჩემი პატარა თბილი ოჯახით.

ახლა კი ცივა, ზამთარია. გერმანელები დაცარილებულ სააგარაკო შენობებს დაათუბებენ და საზამთროდ ჯარებს ჩააყენებენ. ცეცხლი მათ ლოგინსაც გააცივებს.

ასეც მოხდა. შეიქმნა მტრის ზურგში მოქმედი სადივერსიო ჯგუფი. მე დამევალა ვირიციის მიდამოებში სააგარაკო შენობების დაწვა, ღამით, მარტოხელად.

პირველი ოპერაცია მშვიდობით ჩატარდა. უკანასკნელიც, მაგრამ რა დამავიწყებს ერთს: სტუდენტობისას ნაცხოვრებ ადგილს მიუვალოვდი. ისევ ის თეთრად შეღებილი ხის შენობა, საცეკვაო პავილიონი, კინოთეატრი. აქ ვხანე ფილმი „არსება“. ვიცანი მწვანე აგარაკი, სადაც ვცხოვრობდი. გამახსენდა უდარდელი წლები, ცეკვის სადამოები, თუარი ღამის გაცილებების კარნავალი, დუნაეისკის „Сердце, как хорошо на свете жить!..“

ფრთხილად შევალე ჩემი ოთახის კარი და ყველაფერი აღსდგა. ისევ ჩემად გამოვფერე... სინანულით გამოვმშვიდობე. გული მტკივა: უნდა დაწვეას, რაც დაუვიწყარს მახსენებს.

კართან ცეცხლის გამჩენი კაპსულია დავდე. კიბისქვეშ მიორტე ჩაქტოვე. მეზობლად მდებარე სახლებსაც დაგურბინე, სუთ აგარაკს ათი კაპსული დაგურტოვე და სახუდამოდ დავცილდი. ორში ერთია, — ან ის დაიწყება, ან მე დავცვიმი. შესაძლოა ორივე დაიფიქროლო, მაგრამ ისევე ერთად შეხვედრალარ გვიწერია.

უკან გამოვბრუნდი. რკინიგზის ლი-

ანდაც ვერ გამოვეცი, — აკრძალული
 მამა, — გერმანელებს ჩაგუვარდები.
 ტყე-ტყე სიარული კი მიმიძმს, ჭაობში
 ვეფლობი, ვხედედები, ვეცემი, ვიყინები.
 ვიღარ გავექული. ყველა დავაღდე-
 ლიანდაგზე ამოვბობლი და ფრთხილად
 მივაბიჯებ ლენინგრაღისკენ. მცირეა,
 მუხლი შეკეცება. გზაგარედინზე მე-
 ისრის ჯიხურა მივადგი, კვალთა სუთი
 მყეა, მამუტყვამა ფარანმა მიმიხიდა,
 სითბო-შუქმა მიხმთ, რველგვერი მოგ-
 მართა... ჯიხურის კარი შევადე, მაგრამ
 ქურქიანმა მვისრემ პირქუშად შემომ-
 ბღვირა:

- რაო?!
- დავიღალე..
- მერე, მე რა?!
- გათბები..
- ვინა ხარ?..

დავღუმიდი. ვუთხრა გერმანელთა
 მხრიდან ვარ, — ვაი თუ მიმტრის. გა-
 მოვუტყდე ვინცა ვარ, — იქნებ მოლა-
 ლატყა და გამეცემს. ისევ დუმილი ვარ-
 ჩიე. მანაც სამშვიდობო აირჩია:

— გამეცალე! ვიცნობ თქვენისთა-
 ნებს!..

— ნუ ხმაურობ! — დავემუქრე.
 — შენი გზით წადი! დავწყველოთ
 ვშმაკმა, ყველა ბოშა და ავაზაკი მე შო-
 მადგება.

— ბოშა არა ვარ, არც ავაზაკი!..
 — მაშ ვინა ხარ, სადაური ჩიტი?
 მვისრის ხმაში სავეკო ცნობიანოყვა-
 რიობა ვიგრძენი. ბრახმორეულმა იქა-
 ურობას თვალს შევაგლე და ჯიხურის
 კედლებზე გაკრული კინოსახიობების
 ფოტოსურათები შევინახე. ვიყვანი ბა-
 ბოჩიანის ჩაპაევი, ჩერკასოვი, უტიო-
 სოვი, ორლოვა, ილინსკი, ნატო ვანჩა-
 ძე, სპარტაკ ბალაშვილის არსენა. ფა-
 რულმა სიხარულმა ამიტანა, ალბათ
 ცრემლიც მომერია. ჯიბიდან ხელი ამო-
 ვაცურე და უხედილად რველგვერც ამო-
 ვაყოლე. ნატოს და სპარტაკს ლულა
 მივადე და ვკითხე:

- ვინ არიან?
- არ იცი?! უცხო ყოფილხარ!..
- ვიცი. მაგათი მხრიდან ვარ.
- საიდან?
- საქართველოდან.
- ნატო ვანჩაძეს იცნობ?
- ვიცნობ.
- თვალთ გინახავს?
- მინახავს.
- არსენა?
- არსენა.
- მაშ ბოშა არა ყოფილხარ.
- არა.
- ჩამოვქეცი!.. გათბი! — მომბოხა

მვისრემ.
 ჩამოვქეცი და... ჩავთვლიემ.
 მერე მოვუვრები გამოზღვიდა.




ს პ ა რ ტ ე კ ი

- ხედავ?
 - რას?
 - იწვს!..
 - სად?
 - იქ! — და აღმოვდებული ტყისა-
 კენ გამახვდა.
- გუმანიტ გავარჩიე: იწვოდა ჩემი სახ-
 ლი, საცეკვაო პავილიონი, კინოთეატრი,
 რომელშიც ერთი წლის წინათ „არსენა“
 ენახე, სპარტაკ ბალაშვილის და ნატო
 ვანჩაძის ხმა რომ მესმოდა. ახლა კი რკი-
 ნივანელებს ჯიხურში ორივე მე მიყურებს
 და მშობლიურის სიხალისით მათობენ.

— პარტიზანებმა წაუთიფეს! — ჩამ-
 ჩურჩულა მვისრემ და საჩხრკველით ლუ-

მელი გაჩხრკია. მე ველუმვარ.
 — ყოველდამე უკიდებენ! — ჩაი-
 ჩურჩულა ქურქიანმა და ნაცარ-ნაღვერ-
 დალს შეუბურა.
 მე ისევ ველუმვარ.
 გული შეტყვივა, მაგრამ არ ენანობ.
 მჯერა, — რაც ამ დამით დავწვი, ხელ-
 დილით სიციტეს მოიტანს, — ლენინგ-
 რადს დაიცავს, ამ უბრალო რუს მვისრე-
 საც დაიფარავს და, თუ გამითუნდა, მეც
 დამიფარავს..
 იმ პირქუშ დამემი კი ნატომ და
 სპარტაკმა დამიცვეს, შემიბიხნეს და
 აბა ამას რა დამავიწყებს!

ოთარ ბაბა



ქართული ფილი

მსოფლიოს ეკრანებზე

კარლო გოგოძე



მერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ავღანისტანი და სხვა ქვეყნები, რომელთა ჩამოთვლაც შეუძლებელია, მაღალ შეფასებას აძლევენ ქართული კინემატოგრაფიის ამ ნაწარმოებს.

„კრიტიკა“ — ეს მხიარული ქართული ფილმი შექმნილია მ. ბარათაშვილის პოპულარული კომედიის მოტივების მიხედვით. ფილმი მოგვიხსნის ქართველი ხალხის ტყვერამენტსა და ხასიათზე, მისი ბუნების მშვენიერებაზე. „ფილმს მოაქვს ჯანსაღი სიცილი და მზიური განწყობილება, რომელიც გაუჭებელია ბედნიერი ცხოვრების სივებით“¹⁴. „წერს გაზეთი „რუდე პრაეო“ ფილმის შესახებ“¹⁵.
„გაზეთი „კორეა“ — საბჭოთა მეგობრობა“ წერს: „მუსიკა-

ლურ კინოკომედიას „კრიტიკას“ დიდი მნიშვნელობის მსოფლიო მშრომელთა აღზრდისათვის. ხელმძღვანელობს და გაეულენას ახდენს კოლექტივების გადაწყვეტილებებზე, გვიჩვენებს საბჭოთა სინამდვილეს და საინტერესოდ მოგვიხსნის ადამიანთა ხასიათის ცვლილებებზე, მათ სულიერ განცდებზე“¹⁵.

1955 წლის შემოდგომაზე, ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის მეგობრობის ზეიმზე საბჭოთა კინემატოგრაფიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად პრადში ჩავიდნენ რეჟისორი ნ. სანიშვილი და კინომსახიობი ლეილა აბაშიძე. დღევანდელი წვერებს თან ქონდათ ახალხან დამთავრებული, თანამედროვე თემაზე შექმნილი ფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“¹⁶. აქედან დაიწყო ამ ფილმის დემონსტრაცია ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებშიც, სახელწოდებით — „ლეილა უდაბნოდან“. როგორც რეჟისორი ნ. სანიშვილი, ისე მსახიობი ლ. აბაშიძე თავიანთი შემოქმედებით ახლო ნაცნობი იყვნენ ფილმის მკურებლებისათვის. ამიტომ საქართველოდან წარგზავნილი დღევანდების ცხოვრებას და შემოქმედებას პრესამ ფართო ადგილი დაუთმო თავის ფურცლებზე. რაც შეეხება თვითონ ფილმს, პრესა არ იწონებდა ფილმის სახელის შეცვლას, უსაყვედურებდა კინოსურათების შემრჩევი კომისიას კარგი სახელწოდების შეცვლის გამო. ფილმის იდეურ-მხატვრული ღირებულების მიმართ კი ფრიად დადებით შეხედულებებს გამოთქამდა. გაზეთი „რუდე პრაეო“ წერდა: „ფილმი გვიჩვენებს, თუ რა ცვლილებები ხდება ამჟამად საქართველოს მთიან რაიონებში. გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება საბჭოთა კავშირში მიმდინარე დიდი მშენებლობის საფუძველზე ადამიანთა ცხოვრება, როგორ ცვლის სინამდვილეს ჩვენი ახალგაზრდა, მამაკა ჯობაბა, თუ როგორ ასხამს ახალი ცხოვრება ადამიანებს ფრთებს თავისუფალი გაქანებისათვის, რაზე ფიქრს კე გუშინ განუზოცილებელ ოცნებად ითვლებოდა. ეს არის ფილმი კომუნისმის ახალ გაზაფხულზე“¹⁶.

როგორც ცნობილია, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის ამ ზეიმზე ლ. აბაშიძისა და მისი სკოლის მეგობარი ექიმი ქალის, იმ დროს უკვე სლოვაკი მასწავლებლის მუელის შემთხვევითა შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა შემდგომში სლოვაკიის კინოსტუდია „კოლომას“ და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთობლივი ფილმის „შუწყვეტილი სიმღერის“ დადგმას (დამდგმელი ნ. სანიშვილი, რეჟ. ფ. ჯაფარიკი). რომელმაც წარმოტებით მოიარა ევროპის ბევრი სახელმწიფოს ეკრანები და ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური პრემია დაიმსახურა.

მსოფლიოს 52 ქვეყნის ეკრანები ემსახურებოდა. ს. დოლიძის ფილმის „ფატომას“ დემონსტრაციას. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა „ფატომას“ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ეგვიპტე, სირია, ერაყი, ალჟირი, მაროკო, იემენი, ლივანი და სხვა არაბული ქვეყნებში ქართულ ფილმს ისე იღებდნენ, როგორც მშობლიურს. ეს არც გასაკვირია, შინაარსის თავისებურებისა და მაღალი მხატვრულობის კარდა ფილმი მაყურებელს მათ მშობლიურ ენაზე ელაპარაკებოდა.

1959 წლის მასიში, საბჭოთა კინოს მუშაკთა შორის ქაი-

¹⁴ „რუდე პრაეო“ 18 თებერვალი, 1955.
¹⁵ „კორეა“ — საბჭოთა ხელგუზნა“, № 10.
¹⁶ „რუდე პრაეო“ №319, 1955.

¹⁵ „კორეა“ — საბჭოთა მეგობრობა“.
¹⁶ „რუდე პრაეო“ №319, 1955.

რომი ყოფნისას, მითხრეს, რომ „ფატიმა“ პირველი საბჭოთა ფილმი, რომელიც არაბულ ენაზე იქნა დუბლირებული. ამ-
ნაჲც ძლიერ შეუწყო ხელი ფილმის პოპულარობას.

კერძოდ, იმ საბჭოთა 19 ფილმს შორის, რომლებიც 1960 წელს კაიროს კინოფესტივალში „რიოლამი“, „ოპერამი“, „რიცასა“ და „ოღონში“ პრემიერად იქნა ნაჩვენები, ერთი თვალსაჩინო ადგილი „ფატიმას“ ეკავა. ამავე წელს „ფატიმა“ წარმატებით მიდიოდა დამასკოს კინოფესტივალში. 1961 წლის ნოემბრის პირველ დეკადაში ლეონისა და საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის დღემის თანხმად ბეირუთში ჩატარდა საბჭოთა ფილმების ფესტივალი. სხვა საბჭოთა ფილმებთან ერთად ნაჩვენები იქნა ფილმი „ფატიმაც“. „ფატიმა“ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე 1965 წელს ტუნისში გამართულ საბჭოთა ფილმების კვირეულში.

დიდი წარმატებით მიდიოდა ფილმი ევროპის ქვეყნების კვრანბზეც. ამის დამამტკიცებელია წერილი, რომელიც ფილმის შესახებ უნგრულმა გაზეთმა „ფილმ. სინაზ, მუჟიკამ“ გამოქვეყნა. „ქართული კინემატოგრაფიის ახალი ნაწარმოები „ფატიმა“ — წერდა გაზეთი, რომანტიკული ბალადის ძანრს უნდა შიგაგუთნით: ს. დოლიძემ, ფატიმას გაგიჟების შემამრ-წუნებელ სცენების სიმარალით ფილმის დასაბრუნლს და როლბის ბრწინავალე შემსრულებელთა შერჩევით, დამტკიცა თავისი მხატვრული ნიჭიერება“¹⁷.

1964 წელს ქ. კანის XVII საერთაშორისო კინოფესტივალზე, სხვა საბჭოთა ფილმებთან ერთად, ჟიურის წევრებისა და მსყურებლის საერთო მოწონება დაიმსახურა ფილმმა „თოტმა ქრავანამ“. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა რეჟისორების ე. შენგელაიას და თ. მელიაგას მუშაობამ, არიანდა შენგელაიას და თ. კახიანის არტისტულმა ოსტატობამ. გამორჩენილი ფრანგი კინორეჟისორი, გაზეთ „ლუმინატს“ კინომომხილველი საჲუელ ლაშიზი წერდა: „...და ერთხელ კიდვე, უშუალობისა და სიწმინდის ნიაგმა დაპბრუნ ფესტივალს. ეს არ იყო გამწვეველი მხოლოდ მთიანი პეიზაჲის სიმკაცრით, რომლითაც ფილმი იწყება, არც კასპიის ზღვის ნაპირების თვალუწვადნი სიერცეებით, არამედ განსაკუთრებთ იმ სიმართლითა და მგრძნობიარობით, რომელიც ახასიათებთ ამ ფილმის ადამიანებს“¹⁸.

ასეთივე შეფასება მისცა ფილმს სხვადასხვა ქვეყნების პრესამაც.

აღმავლობის პერიოდის ფილმოვან გარდა აღნიშნულისა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე მონაწილეობდნენ: „განძი“ (რეჟ. რ. ჩხიეძე, ქ. დელი, 1959 წ.), „ორი ოკეანის სადღუმლოება“ (რეჟ. ე. პიპინაშვილი, ქ. ვენეცია 1956 წ.), „ოთარაანთ ქერივი“ (რეჟ. მის. ტიკაურლი, ქ. ვენეცია 1959 წ.), მათ ფესტივალის საპატიო დიპლომები მიიღეს.

რაც შეეხება ფილმს „ხვესურული ბალადა“ (რეჟ. შ. მანაგაძე). მან 1966 წელს ლივარნოს კომერციულ კინოფესტივალზე პირველი პრემია მიიღო, 1967 წელს კანში — ზედიზედ ორი სხვადასხვა სახის პრემია — მშობლებისა და მსყუ-



რების, რაც ფილმის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე მტკიცებლბდა.

1959 წლის დამდეგს „ოთარაანთ ქერივი“ ავღანისტანის მსყურებლებს უჩვენეს, წარმატებით მიდიოდა იგი ქ. ჯაბულის კინოფესტივალში „პარკში“. ეს შესანიშნავი ფილმი, — წერდა ავღანისტანის პრესა — უნებურად აიძულებს მსყურებელს აღიაროს ფილმის ავტორის შემოქმედებითი ძალა. უბრალო სოფლის ცხოვრების და მგზნებარე სიყვარულის წინააღმდეგობათა ჩვენების ფონზე, ავტორმა დიდი ხელოვნებით შესძლო მსყურებლებში საერთო სავცობრიო გრძნობა გამოეწვია და ამით შეესუსტებინა ტრადუციული კლასთა უპირატესობასა და კლასობრივ დისკრიმინაციას“¹⁹.

პირველი ქართული ფილმი, რომელიც „ფიცის“ შემდეგ საერთაშორისო კინოფესტივალს ეწვია, იყო მანში ახალგაზრდა დამწვები რეჟისორების: თ. აბულაძის და რ. ჩხეიძის ფილმი „მაგდანას ლურჯა“. იგი გაიგზავნა ქ. კანში IX საერთაშორისო კინოფესტივალზე 1956 წელს. საინტერესოა ამ ფილმის ისტორია ფესტივალზე. იგი გაიგზავნა შემცირებული სახით, ისიც არა საკონურსოდ, არამედ რიგორც დამატებითი სანახაი ფილმი, რომლის მსგავს ფილმებს უმეტეს შემთხვევაში ჟიური არც კი განიხილავს.

ცნობილი პოლონელი კრიტიკოსი ეფი პლაჲევსკი, რომელიც ამ ფესტივალის მონაწილე იყო, რამდენიმე ხნის შემდეგ პოლონურ ჟურნალში „პვეგლონდ კულტურალინი“ გამოქვეყნებულ წერილში „ვიფიქრთ წყაროზე“ მოგვითხრობს: „ეს იყო სრული სიურპრიზი. ქ. კანის უკანასკნელ ფესტივალზე ქართული ფილმი „მაგდანას ლურჯა“ მტკადა უხერხულ მომენტში უჩვენეს, სადილობის დროს, რაცა გასინჯავს არ ესწრება არამც თუ ნორმალური აუდიტორია, თვით ჟიურის წევრებიც კი. არაფერი არ გვიხიდავდა ამ სურათში. არც წარმო-

¹⁷ „ფილმ. სინაზ, მუჟიკამ“, № 27, 1960.

¹⁸ „ლუმინატს“, 5 მაისი, 1964.

¹⁹ „სოვექსპორტივლის საინფორმაციო ბულეტენი“, № 6, 1959.



შობის ადგილი, არც ფილმის მეტრაჟი, არც დამდგმელ დებუტანტთა უნებობა სახელები, არც ქართველი კლასიკოსის სახელი, რომელმაც თითქმის ასი წლის წინათ მოგვიხსნო საწაული მაგდანას სახელებზე. მაგრამ, დასძენს ავტორი, — „სამაგი იყო ფილმის შესავალი პეიზაჟების დანახვაც კი, რომ, როგორც ამოსავალთუღო, ისე დასავლელელ მაყურებლებს ეგრნობო, საბჭოთა კინემატოგრაფიის რაღაც ცვლილებასა“.²⁰

მხოლოდ თავისი ღრმა, ადამიანური შინაარსით, დიდი ჰუმანიზმით, მაღალი მხატვრულობით, უშუალობითა და სი-მართლთა მიიქცია ფილმმა ყურადღება და ფიურის ფილმების სავანად იქცა. იგი გაუტოლეს გამორჩენილი ფრანგი კინო-რეჟისორის ლამონისის შესანიშნავ ფილმს „წითელი ბუმბი“ და მისთან ერთად მოკლემეტრაჟიანი ფილმების პირველი პრემიით დააჯილდოვეს.

ამავე ფესტივალთან დაკავშირებით გერმანული ჟურნალი „ლორე ფილმსტრეტი“ წერდა: „ჯილდო მოკლემეტრაჟიანი კინოფილმისათვის მიიღო საბჭოთა ფილმმა „მაგდანას ლურჯამ“. ეს არის წარმატება, ამაღლებული სურათი საქართველოს ცხოვრებიდან. იგი გამსჭვალულია ჰუმანიზმითა და პოე-ზიით“.²¹

იმავე წლის აგვისტოში „მაგდანას ლურჯა“ ნაჩვენები იქნა შოტლანდიის ქალაქ ედინბურგში გამართულ მეათე საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელზეც მხოლოდ საერ-თაშორისო კინოფესტივალზე გამარჯვებული ფილმები მო-ნაწილებოდნ. ამ ფესტივალზე პრემიებს ღებულობენ არა ფილ-მები, არამედ მათი დამდგმელი ქვეყნები.

„მაგდანას ლურჯა“ ავიარებული იქნა ფესტივალის საუ-კეთესო ფილმად. ედინბურგის გაზეთი „სკოტსმენი“ წერდა: „ფესტივალზე ნაჩვენები ყველა ფილმი რომ ისე კარგი ყოფი-ლიყო, როგორც ჩვენს მიერ გუშინ ნახანი „მაგდანას ლურჯა“, ფრიალ კმაყოფილი ვიქნებოდით“.²²

საბჭოთა კავშირმა სურათ „მაგდანას ლურჯასათვის“ დი-პლომი მიიღო.

1958 წლის იანვარში „მაგდანას ლურჯა“ ნიუ-იორკის კინოფატრ „კამეოში“ აჩვენეს. მაყურებელმა იგი კარგად მიიღო და კომისამც კარგი შეფასება მისცა. გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ აზრით, „მაგდანას ლურჯა“ ნაღვლიანია და ხალხუ-რი. მასში ძალზე რეალურად მოაშაშინებ საინტერესო გარე-ნობის ადამიანები. სიუჟეტი სრულიად უბრალოა, მაგრამ გა-ნომხატავლობითი თვალსაზრისით იგი ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს“.²³

ეს პატარა ფილმი თავისი მასშტაბით დიდი ხელოვნების მაგალითია. — წერდა ცნობილი რეზონსოლოგული კინოკრი-ტიკოსი იან კლიმენტ. „ჩინებული ფილმი“ — უწოდა „მაგ-დანას ლურჯას“ მსოფლიო კინოსტუდიების გამომცემლმა მკლევარმა ჟორჟ სადუმომ.

„მაგდანას ლურჯამ“ მოიარა იაპონია, ეთიოპია, აზრენ-ტინა, ჩილი, გვიანა და დედამიწის სხვა ქვეყნები შორეულ

ავსტრალიამდე; ყველაზე მაყურებელთა მოწონების „დასაწყ-არულს იმსახურებდა. თვით ის ფაქტი, რომ ფილმი, როგორც ამის შესახებ სხვა სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ იმისილიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, იმისთვის კინე-მატორგრაფიულ წრეებში მსოფლიო საუკეთესო ფილმთა შორი-საა შეტანილი, მის დიდ საერთაშორისო გამარჯვებულ მეტყ-ველებს.

საერთაშორისო ფესტივალების ყურადღების ცენტრში იყო ფილმები: „ჩვენი ეზო“ (რეჟისორი რ. ჩხეიძე) და „სხვისი შეილება“ (რეჟ. თ. აბულაძე).

«ახალგაზრდა ადამიანების ცხოვრების ასპარეზე გამოსე-ლისა და სიყვარულის მაღალი გრძობის პრობლემები, რომ-ლებიც ამ ფილმების აზრობრივ ქვეყნებებს წარმოადგენს, მათი საყოფელთაო ნაწილი და მნიშვნელობა საინტერესოა ნა-წარმოებად ხდის ამ ფილმებს მსოფლიო მაყურებელთათვისაც. ამიტომ იყო, რომ ისინი ამაღვლისთანავე შეიძინეს უცხო ქვეყნებმა, ამ სურათებმა მრავალ საერთაშორისო ფესტივალ-ზეც საყოფელთაო აღიარებას მიაღწიეს, სახელი მოუტანეს მშობლიურ კინოსტუდიებს».

ცნობილი პოლიწილმა კინოკრიტიკოსმა ევი გიფცივი ვრცელი წერილი სძღვნა ფილმს „სხვისი შეილება“. ამ წე-რილში ავტორი გაცხრო, მაგრამ საუფელთანად ეხება რ. ჩხე-იძის ფილმს „ჩვენს ეზოსაც“ და დასკვნის: „ფილმი გვბიძ-გავს ტემპერამენტითა და ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური პრობლემებისადმი სათუთი დამოკიდებულებით. თბილისის ახალგაზრდობის ჯგუფის სცენებთან მოქრის სიმართლედ, მარ-თალია ახალგაზრდობის სიყვარულის განცდები და მათი ფსი-ქოლოგიური პორტრეტები. მართალია აგრეთვე ამ ღირსეული დრამის სცენური გაფორმებაც, რომელიც მკიდროდა დაკავ-შირებული საქართველოს დედაქალაქის ადგილობრივ კოლო-ნობს. გადადგმულია დიდი ნაბიჯი თანამედროვეობის-კენ“.²⁴

„ჩვენი ეზო“ 1957 წელს ნაჩვენები იქნა ახალგაზრდობის VI საერთაშორისო ფესტივალზე მოსკოვში, სადაც მან დიდი მოწონება დაიმსახურა და დაჯილდოებული იქნა პირველი პრემიითა და ოქროს მედლით.

ცნობილია იაპონელმა პროფესორულმა კინომოღვაწემ, მრ-ავალი თვალსაზრისი სოციოლოგი მნიშვნელობის კინემა-ტორგრაფიული ტილოების ავტორმა კიუხიკო უსისარამ, სხვა გამორჩენილ კინოსტატებთან ერთად, მაღალი შეფასება მის-ცა ფილმს „ჩვენს ეზოს“, „ასლებურად და ორიგინალური“ უწო-და მას, ხოლო ამავე წლის აგვისტოში თბილისში ყოფნისას გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ წარმომადგენელს განუცხადა „ფესტივალის დღეებში დემონსტრირებულ სხვადასხვა ქვეყ-ნების ფილმებს შორის ყველაზე მეტად მომეწონა საქართვე-ლის კინოსტუდიის ნაწარმოები, ნიჭიერი რეჟისორის რეზო ჩხეიძის მიერ დადგმული ფილმი „ჩვენი ეზო“²⁵. თუ მსედე-ლობაში მივიღებთ იმას, რომ რეჟისორი კიუხიკო უსისარამ მსოფლიო გამორჩენილ კინომოღვაწეთა რიცხს ეკუთვნის, ამ-გვარი შეფასება უდგომლ საამაყო.

²⁰ „შევალონდ კულტურალინი“, № 8, 1957.
²¹ „ლტერატურული გაზეთი“ 1956 წ. 8 აგვისტო.
²² „სკოტსმენი“, 25 აგვისტო, 1956.
²³ „ნიუ-იორკ პოსტი“, 27 იანვარი, 1958.

²⁴ „პროზინი“, № 22, 1959.
²⁵ „ზარია ვოსტოკა“, 25 აგვისტო, 1957.

„ამ ფილმის ძირითადი ღირსება ნათელი ოპტიმიზმა“ — განაცხადა ფრანგმა რეჟისორმა ჟან ვალერიმ.

თ. აბულაძის „სხვისი შვილები“ მონაწილეობდა ოთხ საერთაშორისო კინოფესტივალზე — ლონდონში, რომში, ქელსინგში, თერანში.

როგორც ცნობილია, ლონდონის საერთაშორისო კინოფესტივალში წარმოადგენს ფესტივალს იმ ფილმებისას, რომლებმაც სხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე გაიმარჯვეს. ეს არის სპეციალურად შერჩეული, მაღალი შინაარსისა და მხატვრულობის მქონე ფილმების ფესტივალი. ასეთ ფილმებს შორის არა თუ ჯილდოს მიღება, მარტო მონაწილეობაც კი დიდად საპატიოა. ფილმი „სხვისი შვილები“ 1959 წელს ამ ტრადიციულ ფესტივალზე აღიარებული იქნა, როგორც წლის ერთ-ერთი საუკეთესო კინონაწარმოები და დაჯილდოვდა დიპლომით.

1960 წლის თებერვალს კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დირექტორმა გიორგი გეგულაშვილმა ბრიტანეთის კინოსტრუქტურადან მიიღო დიპლომი და ბარათი რეჟისორთ. აბულაძეზე გადასაცემად.

„დღეს მე ვიგზავნით დიპლომს, რომლითაც აღნიშნულია ლონდონის კინოფესტივალზე ნაჩვენები თქვენი ფილმი „სხვისი შვილები“, როგორც 1959 წლის ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი“, — წერდა ლონდონის ნაციონალური კინოთეატრის მეთაური და მდივანი სტენლი რიდი.

1959 წლის ნოემბერში ფინეთის ჟურნალისტებისა და კინოფესტივალის კავშირმა ქელსინგში ჩატარებულ კინოფესტივალზე საპატიო დიპლომი მიანიჭა უცხოეთის 12 საუკეთესო კინოფილმს, მათ შორის თ. აბულაძის კინოსურათს „სხვისი შვილები“.

„სხვისი შვილები“ არც შემდეგ წლებში დაკლებია საერთაშორისო ფესტივალებს. იგი აღტაცებით მიიღეს 1961 წელს ქ. ტაშენტში გამართულ „აზიისა და აფრიკის“ ხალხთა სოლიდარობის ფესტივალზე. ხოლო 1965 წლის აგვისტოში ქ. თერანში მოწყობილ კინოფესტივალზე, რომელზეც მონაწილეობდნენ აგრეთებულა 24 ქვეყნის საელჩოები. მხატვრულ ფილმებს შორის პირველი პრემია მიენიჭა თ. აბულაძის ფილმს „სხვისი შვილები“.

1965 წელს საერთაშორისო კინოფესტივალზე დასავლეთ გერმანიის ქალაქ ობერჰაუსენში, რომლის ლოზუნგი იყო „გზა მუსოლინიისაკენ“ და რომლის ძირითად მიზანსაც მეტოპრობისა და მწიფლობისათვის ბრძოლა წარმოადგენდა, ახალგაზრდა რეჟისორის მიხეილ კობახიძის ფილმმა „ქორწილმა“ ფესტივალის მთავარი პრიზი მიიღო. ასეთივე მაღალი შეფასება დაიმსახურა ამ ფილმმა 1966 წელს ქ. კანში გამართულ ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმებიდან ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „გრან პრი“ მიენიჭა, დიდი მოწონება დაიმსახურა ფილმმა აგრეთვე ქ. მისოლში გამართულ ფესტივალზე და სხვაგან.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ომისმემდგომი აღმავლობის პერიოდის ფილმებს შორის განსაკუთრებით დიდ ყველაზე მეტი წარმატება ხვდა წილად რეჟის ჩხეიძის ფილმს



„ჯარისკაცის მამას“. მაღალი, ჭეშნური პათოსი, მშვიდობისათვის ბრძოლის დაუცხრომელი მისწრაფება, ომის თემატიკისადმი სრულიად ორიგინალური მიდგომა და მხატვრული გადაწყვეტა, რასაც ავირგინებს მასხიბო სერგო ზაქარაიძის ბრწყინვალე შემოქმედება, მთავარი როლის გიორგი მახარაშვილის განსახიერებისას — აი ის მთავარი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ამ ფილმის საერთაშორისო მნიშვნელობა, ტრუფიფული სვლა მსოფლიოს ეკრანზეც.

ფილმმა კიდევ 1965 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიჭია ყურადღება. მან ეიურის მაღალი შეფასება დაიმსახურა და მაშინვე 21 ქვეყნის მიერ იქნა შესყიდული.

სანფრანცისკოში, ტოკიოში, ლონდონში და სხვა ქალაქებში გამართულ კინოფესტივალებზე, თუ სხვა ქალაქებში ჩატარებულ საბჭოთა ფილმების კვირეულებზეც, რომელზეც „ჯარისკაცის მამა“ მიიღოდა, ამ ღონისძიებათა ყველა მონაწილე ერთხმად აღიარებდა ფილმის დიდ ეროვნულ თავისებურებასა და სასოფლოეპროდუქციული მნიშვნელობას მშვიდობისათვის ბრძოლის დღევანდელ ეტაპზე.

ირლანდიის ქალაქ კორკში 1965 წლის სექტემბერში მოწყობილ მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე, რომელზეც მონაწილეობას იღებდა ჩვენი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქორწილი“, კონკურსგარეშე საჩვენებლად გაგზავნილი იქნა „ჯარისკაცის მამას“.

ფესტივალის შემავაშებელ დღეს, როგორც ფესტივალის საუკეთესო მოვლენა, ნაჩვენები იქნა ორივე სურათი, როგორც „ქორწილი“, ისე „ჯარისკაცის მამა“.

კორკის მკვიდრმა და არაერთგზის ეიურის წევრმა, მორიტიზა განაცხადა: „ჯარისკაცის მამა“ ფესტივალის საუკეთესო ფილმია. მომხიბლა ფილმის ჭეშნურმა, ღრმა ადამიანურმა სულისკვეთებამ. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი ომს ასახავს, იგი ომის წინააღმდეგ არის მიმართული. განუმეორებელია ფილმის მთავარი როლის შესრულებელი სერგო ზაქარაიძე“.

1965 წლის დეკემბერში, ინდოეთის დიდი ქალაქების — დღლის, კალკუტას, ბომბეის საუკეთესო კინოთეატრებში დიუჟო „ჯარისკაცის მამას“ ჩვენება, როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, ერთი თვის განმავლობაში ფილმი „ჯარისკაცის მამა“ ნახა ორმეცხად ათასზე მეტმა მკურნელებმა. ფილმის დე-

* „კომუნისტი“, 21 სექტემბერი, 1965 წელი.



მონსტრაციას ფართოდ გამოეხმურა ინდოეთის პრესა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი კინოსამხიობისა და რეჟისორის რაჯუ კაპურის წერილი, რომელიც მან, როგორც მოსკოვის IX საერთაშორისო ფესტივალის ეთურის წევრმა, ბომბეის გაზეთ „სკინინში“ მოათავსა:

„საბჭოთა ფილმების ტრადიციის მიხედვით, — წერს რაჯუ კაპური „ჯარისკაცის მამის“ გამო, — იგი ატარებს იმ დიდ თვისებებს, რომელიც აღგავფრთხილებს და გვაფიქრებს. კომ-პოზიციისა და რეჟისურა ფილმს უქნის ღრმა ქვეტექსტს, რომელიც აყენებს უფრო მნიშვნელოვან საკითხს, ვიდრე მამის მიერ ფილმის თემა“²⁷.

1965 წლის მარტში ვენესუელას სატახტო ქალაქ კოკაკასში სოციალისტური ქვეყნების კინოფილმების კვირეულზე ნაჩვენები იქნა „ჯარისკაცის მამის“. ადგილობრივი გაზეთი „ულტიმას ნოტიასის“ ხაზს უსვამს ფილმის ღირსებებს და აღნიშნავს, რომ „მსოფლიოს გამოჩენილი კინოკრიტიკოსები „ჯარისკაცის მამას“ ნაადვილ კინემატოგრაფიულ პოემად თვლიან“²⁸.

1967 წელსაც არ დამცხრალა ამ ფილმის წარმატება შორეულ ეკრანებზე. მან მოიარა ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა: ბრაზილია, ჩილი, პერუ და სხვ. ფილმის პრემიერას ბევრ ადგილას დაესწრო თვით დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე. თვითდელ შეხვედრა იყო ქართული ფილმის, მთელი ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ნამეფერი დღესასწაული, დიდი ზემო, — გადმოგვეცნა რეჟისორი რ. ჩხეიძე. ამავე ადასტურებს ამ ქვეყნებში გამოქვეყნებული, ფილმისადმი მიძღვნილი წერილები, ინფორმაციული ცნობები. ეს წერილები რეჟისორის მუშაობის მაღალ შეფასებასთან ერთად აღფრთოვანებით აღნიშნავენ მთავარი როლის, გიორგი მახარაშვილის განმსახივრებელი მსახიობის სერგო ზაქარაიძის ბრწყინვალე თამაშსა და აქტიურულ ოსტატობას.

ქართულ სამსახიობო ფილმებს მსოფლიო ეკრანებზე მხარს უმხმენებს ქართული ნახატი და თოჯინური ფილმები. ჩვენმა

პირველმა ნახატმა ფილმმა „არგონავტებმა“ (რეჟ. მ. მ. შავერი) გამოსვლის პირველ წელშივე მოიხსნა უცხოეთის ეკრანები, მაგრამ ქართული ნახატი და თოჯინური ფილმების ხშირი სვლა საერთაშორისო ეკრანებზე განსაკუთრებით შესაძინევა ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან. იგი ემთხვევა ამ პერიოდის ქართული სამსახიობო კინოსურათების მასიურ დემონსტრაციას საერთაშორისო სარჩილზე.

„ჩხიკვათა ქორწილი“, „მტრობა“ (რეჟ. ა. ხინთიბიძე), „ბეკეკა“, „ნაზიკო“, „ნიკო და სიკო“ (რეჟ. შ. ვეღვენიანი), „ხელმარჯვე ოსტატი“ (რეჟ. ვ. ბახტაძე), „ვეფხვი და ვირი“ (რეჟ. ა. ანდრონიკაშვილი) და სხვა ფილმები არა ერთხელ ყოფილა ნაჩვენები საზღვარგარეთ. კერძოდ, „ხელმარჯვე ოსტატი“ მიდიოდა ორმოცზე მეტ ქვეყანაში, ხოლო ამავე რეჟისორის მეორე ფილმი „საყვირის შემდეგ“ — 50 სახელმწიფოში. „საყვირის შემდეგ“ მონაწილეობდა საერთაშორისო კინოფესტივალზე სანფრანცისკოში 1960 წელს და დაჯილდოვებულ იქნა დიპლომით. დიპლომთან დაერთული წერილით ჟიური რეჟისორ ვ. ბახტაძეს მადლობას უხდოდა ფესტივალზე მისი სურათის მონაწილეობისათვის და დაძინდა:

„ვიანიდან საერთაშორისო კინოფესტივალმა სანფრანცისკოში დიდი საარგებლობა მიიღო თქვენი თვალსაჩინო წილით და დაუცხრომელი მუშაობით ამ უნიკალურ ხელოვნებაში, და ვინაიდან საერთაშორისო კინოფესტივალს სანფრანცისკოში პატივი ევით თქვენი ღირსეული მონაწილეობით და კეთილშობილური წილით ამ ყოველწლიური მოვლენის მხარმატებაში, ამიტომ ჩვენ, სანფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალის აღმრულებელი საბჭო განიჭებთ პრემიას კინოფესტივალში ღირსეული მონაწილეობისათვის და მოგახსენებთ ჩვენს მადლობას თქვენი მხატვრული შრომისა და კეთილი ნებისათვის“²⁹.

როგორც წერილის დასაწყისში იყო აღნიშნული, ქართული ფილმებიდან საერთაშორისო ეკრანებზე პირველად დოკუმენტური ფილმები გავიდა. არა ერთ ქართულ დოკუმენტურ ფილმს, მხატვრულ ნარკვევს, სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს მიუქვეყნია საზოგადოებრივი ყურადღება, მიუღია ქება, მაღალი შეფასება უცხოეთში. ქართული დოკუმენტური და მეცნიერულ პოპულარული ფილმების ოსტატებმა ამას მიაღწიეს თავიანთ ნაწარმოებთა შინაარსის სიღრმით, გაღასალები ობიექტისა და თემატიკის მიმიხედვლობით, მხატვრული გამოხატვლობითა საზღვრების ორიგინალობითა და ინდივიდუალური შემოქმედებით ხელწივით.

1952 წელს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთიერიზე სხვა საბჭოთა დოკუმენტურ სამეცნიერო პოპულარულ ფილმებთან ერთად ნაჩვენები იქნა ს. დოლიძისა და რ. კარმენის მიერ გადაღებული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველო“. ფილმი გაშვებული იქნა როგორც პრადის, ისე ჩეხოსლოვაკიის სხვა დიდ ქალაქებში, შორეულ სოფლებში, სადაც დიდი წარმატება ხვდა.

ურსლის „ვეტ სოციალზმუ“ თავის 1957 წლის № 47-ში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ფილმების დე-

²⁷ „სოვეტსკორტრედის საინფორმაციო ბიულეტენი“, № 2, 1967.

²⁸ „კომსომოლსკია პრადის“, 11 მარტი, 1965.

²⁹ „კომუნისტა“, 1961 წელი, 26 თებერვალი.



მონსტრაციას ჩეხოსლოვაკიაში და წერს: „ნათელი საღებავებით ხატავს ფილმი საქართველოს პოეტურ ბუნებას. მშვენიერი გარემო, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა გარდაქმნეს, ხდება უფრო წარმატები, უფრო მომხიბვლელი. ძლიერია ადამიანთა სახეები, რომელსაც გვიჩვენებს ფილმი. კარგადაა გადმოცემული გომეურნეთა შეძლებული ცხოვრება“³⁰.

ქართული დოკუმენტური ფილმის ოსტატების — გ. ასათიანის, ვ. ალავეჭის, ვ. ვალიშვილის, ო. გურგენიძის, ი. კანდელაკის, ვ. მიქელაძის, შ. ჩაგუვავას, შ. ხომერყის, ო. ჭიაურელის ნაწარმოებებიც ბევრჯერ გასულან სამშობლოს ფარგლებს იქით; რამდენიმე მათგანი საერთაშორისო კინოფესტივალებზე მონაწილეობდა.

1947 წელს ქალაქ ვენეციაში მოწყობილ კინოფესტივალზე გ. ვალიშვილის ფილმი დაკვიდრდა დიპლომით. 1956 წელს ამავე ქალაქში XVII საერთაშორისო კინოფესტივალის განიხსნა ქართული დოკუმენტური კინოფილმით „ალაზნის ველი“. ფილმმა თავისი პოეტურობით, შემეცნებითი ხასიათით დამწერთა მოწონება დაიმსახურა და საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა. დიპლომებით აღინიშნა ზ. გუდავასის და ბ. კრუპის ალბინისტური ფილმები „პამირის მწვერვალებზე“ და „შვიდი მწვერვალის ტრავერსი“ მონტევიდეოს ფესტივალზე 1957 წელს.

ქართული სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ცნობილი რეჟისორები — დიმიტრი აბაშიძე და ნატალია ვუჭუხიძის ფილმი „ერთი ცდის ამბავი“ მაღალი შეფასებით მიიღეს 1962 წელს ვარშავის საერთაშორისო კონგრესს-ფესტივალზე. ფილმი დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით. ამავე ადრე 1949 წელს დ. აბაშიძის სამეცნიერო პოპულარულმა ფილმმა — „ინსტიტუტა წარმოშობისა და განწყობის რელი ცხოველთა ინდივიდუალურ ტექნიკა“, რომელიც აკადემიკოს ბერტრანდის გამოკვლევათა სისტემის კინოფესტივალის წარმომადგენელმა, თავისი მეცნიერული ღირებულებით ფიზიოლოგთა საერთაშორისო XVII კონგრესზე ოქსფორდში დიდი ინტერესი გამოიწვია და აღიარებული იქნა, როგორც ერთი საუკეთესო სამეცნიერო ხასიათის ფილმი.

რეჟისორი ი. კანდელაკის სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ქართული ფუტკარი“, რომელიც 1963 წელს მუხრანტყუიბის მსოფლიო კონგრესთან არსებულ კინოფესტივალზე მონაწილეობდა, მაღალი მხატვრულობისა და ღრმა სამეცნიერო თვისებებისათვის ფესტივალის დიდი პრიზით „პროლის ფუტკარი“ და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

საერთაშორისო ხასიათის ჯილდოებს უნდა მიეკუთვნოს ის სატელევიზიო პრიზი და დიპლომი, რომლითაც დაჯილდოვდა გ. ასათიანის ფილმი „მეზუერ კონტინენტის ბუ“ შვედლის დაცვის კომიტეტის მიერ 1965 წელს.

ქართული ფილმების წარმატებითი სვლა მსოფლიოს ეკრანებზე კვლავ გრძელდება. ჩვენი კინოხელოვნების ნიჭიერი ოსტატთა შემოქმედება ისევ შეუწყობლად იპყრობს შორეულ მაყურებელთა ყურადღებას. გამოჩენილი კინორეჟისორები და ხელოვნების სხვა მოღვაწენი ხშირად წერენ მის შესახებ.

უცხოელთაგან ქართული კინოფილმების მაღალ შეფასე-



ბას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. გამოჩენილი უნგრელი კინომოღვაწე ბელა ბალაში ჯერ კიდევ ქართული კინემატოგრაფიის ოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის პროდუქციით აღფრთოვანებული წერდა: „ქართული ფილმები სრულიად ჩამოყალიბებული ნაციონალური სტილისა და ფორმის ნაწარმოებებია“.

მსოფლიოს კინემატოგრაფიის გამოჩენილი მკვლევარი ჟორჟ სადული ქართულ კინოს საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო შენაგად მიიჩნევს.

ამ რამდენიმე ხნის წინ, ქართული სამსახიობო ფილმის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ზნიფევე პიტრა მწერდა: „ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რაოდენ პოპულარულია ქართული ფილმი საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახლებზე გარეთ, ეს ტრუზშია. ქართული კინემატოგრაფიისადმი მე ვგრძნობ უდიდეს სიზმათიას. განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ასალგაზრდად კინომუშაკთა საქმიანობის გატაცებულს საშუალება მომეცა საქართველოში ჩავსულიყავი და იქ ადგილზე, უშუალოდ გავცნობდი ქართული ფილმის ტრადიციებსა და დღევანდელ მღვწე“.

„საბჭოთა კავშირის მრავალეროვნულ ხელოვნებაში თავისებური ადგილი უჭირავს თბილისის კინოსტუდია „ქართულ ფილმს“, — მწერს უნგრული კინოლექსიკონის მთავარი რედაქტორი, ცნობილი კინორეჟისორი პეტერ აბელი, — ქართველ კინორეჟისორებს, ოპერატორებსა და სხვა მოღვაწეებს აქვთ დამაჯერებელი ხელოვნება, ისინი არ ჩამორჩებიან საერთაშორისო განვითარებას და ამავე დროს ინარჩუნებენ თავიანთ წარსულის კეთილშობილურ ტრადიციებს. ყოველივე ეს განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს მათ შემოქმედებას“.

„ყველა ნიშნები დგამიწაზე და ცაში გვიწინასწარმეტყველებენ იმას, რომ ქართული კინემატოგრაფიდან შეგვიძლია კვლავ ველოდით ორიგინალურ საქმეებსა და ღირსეულ ნაწარმოებებს, რომლებიც გადაჭრით შეინარჩუნებენ თავის ეროვნულ სახეს საბჭოთა ფილმის საერთო მიღწევებში“, — წერს გამოჩენილი პოლონელი კინორეჟისორი ეტი გიციკვი.

ქართული კინოხელოვნების მუშაკთა ვალია მომავალშიც გამართლდნ ჩვენი მეგობრების იმედები.

³⁰ „სვეტ სოციალიზმუ“, № 47, 1952.

3. „საბჭოთა ხელოვნება“, № 11, 1967.



ქროპასკლავი თიანეთში

ვლადიმერ აბრამიშვილი



ქტომბრის რევოლუცია მ ხალხს მრავალი სიკეთე მოუტანა. სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების და მისი განმტკიცების პერიოდში ქართულმა კინოხელოვნებამაც ბევრ წარმატებას მიაღწია, აღიზარდა ახალგაზრდა შემოქმედ რეჟისორთა მძლავრი ნაკადი. მიხეილ ჭიაურელის, ნ. შენგელაის, ლ. ესაკიას, დ. რონდელის, ს. დოლიძისა და სხვათა მიერ შექმნილმა მაღალმატერულმა ფილმებმა ჩვენთან ერთად სხვა ხალხებიც ალაპარაკა. მათ გვერდით იზრდებოდნენ და თიანეთის ხელოვნებას ხვეწდნენ ნიჭიერი მსახიობები ნატო ვაჩანაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, აკაკი ხორავა, მ. გელოვანი, ა. ქორჭოლანი და მრავალი სხვა, რომელნიც შემდეგ ქართველი ერის სიამაყენი გახდნენ. ნატო ვაჩანაძემ სრულიად ახალ-

გაზრდად და უწვერთელმა შეიღო ქართული კინემატოგრაფიის კარები და თავისი სიღამაზით, სისპეტაკით, არტისტიზმით თაფიდანვე მიიპყრო ხალხის დიდი ყურადღება. სულ მალე იგი უზაბლო კინოვარსკვლავი გახდა.

ნატო ვაჩანაძე სხებთან ერთად ძლიერ უყვარდათ თიანეთელებს, ფშაველებს, ხევსურებს. განსაკუთრებით სკოლის მოსწავლე პიონერები არ აძლევდნენ მოსვენებას, სწერდნენ წერილებს და სთხოვდნენ: „დიდა ნატო, გვინდა ახლოს გაგეცნოთ, თუკი თიანეთში ჩამოზრდამდებობით, დიდად გაგვახარებთ...“ გამოჩენილ კინომსახიობს მსგავსი წერილები საქართველოს ყველა კუთხიდან მისდიოდა. მოუცდელია, დროის უქონლობა კი საშუალებას არ აძლევდა ყველგან ჩასულიყო, ყველა თავყანისმცემელი მოენახლებინა.

თუმცა ეს სანატრელი დღეც დადგინდა ქართველმა საზოგადოებრიობამ ღირსეულად შეაფასა ნატო ვაჩანაძის დიდი დავაწლი ქართულ ხელოვნებაში და 1949 წლის აპრილში მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო მოუწყო. იუბილემ დიდი წარმატებით ჩაიარა. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შემდეგ ნატო ვაჩანაძე საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ინახულა. შემოქმედებითი ანგარიშით პირველად მშობლიურ ქახეთს — გურჯაანს ეწვია. ხოლო 1950 წლის 11 ივნისს ნატო თიანეთში ჩამოვიდა. მას თან ახლდნენ შაქრო ბერიშვილი და მსახიობი შოთა ქორაბაძე. ამ სტუმრობამ თიანეთი დიდად გაახარა. საზოგადოებრიობამ ნატო ვაჩანაძეს კულტსახლში შეხვედრა მოუწყო, შემდეგ კი ნადიმი გაუმართა. მეორე დღეს კვლავ კულტურის სახლში შეხვედრეს საშუალო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. პიონერებმა ნატოს გაუთხილეს სიტყვებით მიმართეს და თან ყვაილების თიანეთი გადასცეს. შაქრო ბერიშვილმა დამსრუთ მოუთხრო თუ სრულიად ახალგაზრდა ნატომ პირველად როგორ შეიღო კინემატოგრაფიის კარები. ბოლოს ვაჩანაძემ ილაპარაკა თავის მუშაობასა და მოძველ გემებზე. იგი ამბობდა:

„მოვიჩნახულე მხარე, რომელიც დღემდე არ მენახა. საბადურის მაღალი ტყეები და მთები, მისი ზურმუხტოვანი მხარეები, რომელსაც დაკლავნილი შარა გზა სერავს, ბუნების მოტრეილე ადამიანებს ნახვისთანავე მოაჯადოვებს. იქნება დრო, როდესაც ეს ადგილები ერწის მწვანედ გაძლიერვს. მისი მდიდარობა ერთად კინოხელოვნებას სასაპაროზოდ გადაიქცევა“.

შეხვედრა დამთავრდა. დარბაზიდან ხალხი არ მიდის. მოსწავლეები ნატოს შემოეხვედნენ, ეალერსებოდნენ, თხოვდნენ ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო. სწორედ იმ დღეს მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თიანეთის ბიბლიოთეკის ეროსი ნატო ვაჩანაძესთან ერთად თორი სამაზსიგრო სურათი გადაიღეს. ასე დარჩა უღამაზუსტი კინოვარსკვლავის ხატება თიანეთში.



მარგარიტა ვანანიძე



უსიკის გამოყენებას კინოში მრავალწლიანი მხატვრული ტრადიცია აქვს. დიდი გზა გაიარა ქართულმა საბჭოთა კინომ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ, პირველი წლების მუნჯი ფილმიდან ჩვენს დღეების ხმოვან სურათებამდე, რომლებშიც მუსიკა სრულფუნქციანი კომპონენტად იქცა.

ველებური გამოთქმა — თვალის გონების ფანჯარა, ყურები სულის კარები? კარგად უდგება კინემატოგრაფიულ და მუსიკალურ სახეებს, მათ ურთიერთგავერის. მართლაც, კინოსამოსახლეობა, გარეგნული ხედვითი ფორმებით ამდიდრებს ჩვენს შეგნებას, მუსიკა კი ზემოქმედებს გრძნობათა სამყაროზე, ხელს უწყობს შთაბეჭდილებათა ჩამოყალიბებას. ორივე ხელოვნების შერწყმა ფართო შესაძლებლობებს ქმნის განზოგადებულ ხმოვანხედივით სახეების შესაქმნელად.

საბჭოთა ხმოვან ფილმში მუსიკის ორგანული გამოყენებისადმი მისწრაფება შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ 30-იან წლებში. უკვე მაშინ კინომუსიკა განიხილებოდა როგორც კინოხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი გამომსახველობითი ელემენტი. ბუნებრივია, მუსიკა ეკრანის ფოკუსზე განთავსდებოდა. კინოში მოღვაწე პირველი კომპოზიტორები — პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი, კაბალეცკი, ხაჩატურიანი გამოიჩინეს საბჭოთა კინოკომპოზიტორებათა — ეიზენშტეინთან, ჰუდოვინთან ერთად თანაბალ მუსიკისზე მუშაობდნენ. რეჟისორები სცენარზე მუშაობის დროს მუსიკის ფუნქციას განსაჯობობდნენ. კინოში მოღვაწე მუსიკა — ქმედითი მხატვრული საშუალება, მნიშვნელოვან დრამატურულ და ტიპიკურას იღებდა, იგი თანადახარებით იძინდა მოქმედ პირობა შინაგანი ცხოვრების განმარტავველ ფუნქციას და ამავე დროს ავტორის დამოუკიდებელსაც განმოსკვამდა. მუსიკა ახასიათებდა ეპოქას, წრეს, სიტუაციას, ვითარებას, სახეებს. მუსიკის საშუალებით ხდებოდა მოქმედების მსვლელობის დასაპოტება, შემდგომი მოვლენების გათვალისწინება. მუსიკა განსაზღვრავდა კინოსწარმოების ფორმის, ხელს უწყობდა ექსპოზიციის, აკცინის შეყვანს, დროშინაციის ჩვენებას. იგი ფილმს თანმიმდევრულს და დასრულებულს ხდიდა. ამიტომაც დღითიდღე რეჟისორისა და კომპოზიტორის კონტაქტი სულ უფრო მჭიდრო და ორგანული ხდებოდა.

ანლოგიური პროცესი მიმდინარეობდა საქართველოს კინოსტუდიაშიც. 30-იან წლებში გამოჩნდა პირველი ქართული ხმოვანი ფილმები. მუნჯი კინოსაგან განსხვავებით, სადაც მუსიკას ილუსტრაციული ხასიათი აქონდა, ხმოვან კინოში მუსიკა ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად იქცა და კინოსწარმოების შინაარსს გახსნა აჭკურ მონაწილეობას იღებდა. ქართველი კომპოზიტორები ემართავნენ და ავიარებდნენ იმ ელემენტებს, რომლებიც ეროვნული ინდივიდუალ მნიშვნელობის მქონე თვითწარმოებულ ავტორი ამ საკითხს საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობით უდგებოდა. კინოხელოვნების ძირითად პრინციპული დებულებისა და ერთგული ხელოვნებითი მომდინარე კოლო-პარმიწიული და რიტმული სტრუქტურის ერთიანობამ ქართული ფილმების მუსიკალური გაფორმების თვითმოფუძვლა განაპირობა.

პირველად ქართული ფილმისათვის მუსიკა კომპოზიტორმა ანდრია ბალანჩივაძემ დაწერა. რეჟისორ დ. როდელთან

თანშრომლობით შეიქმნა ხმოვანი ფილმი „არაშულა“. მასვე გვეუფნის მუსიკა ფილმებისათვის: „გიორგი სააკაძე“, „ფიცო“, „დავარული სამოთხე“, „დავით ფილმებისგანი“, „ისინი ჩამოვიდნენ მიდიანა“, „მამულეკი“. ამ ფილმებში გმირთა მუსიკალური სახეების ჩამოყალიბება ლეიტმოტივებით ხდებოდა. მნიშვნელოვანი ადგილი ეიზენშტეინის პიუზაურსა და საცეკვაო ეიზენშტეინს. ამ ფილმების მუსიკას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, თვითადი წლის წინ შექმნილი კინოფილმი „დავარული სამოთხე“ ახლანდელ ავტორის მიერ ხელახლა იქნა რედაქტირებული და გაორკესტირებულიც.

კინომუსიკის განის ანვიტარებდნენ აგრეთვე კომპოზიტორები კ. კილაძე („არსენა“, „უკანასკნელი მასკარადი“, „ფროთსანი მღებავი“) და ი. ტუსკია („როტე ფენე“, „დარიკო“, „ნარინჯის ველი“). ცალკეული ეპიზოდებისა და სიტუაციების შესაბამისად კომპოზიტორები მუსიკას ურგუნულ და სოციალურ კოლორიტს აძლევდნენ, რითაც აძლიერებდნენ ეკრანზე მომხდარი ამბების რეალობას. მაგალითად „უკანასკნელ მასკარადში“ თვითწარმო სოციალურ ფენას თავისი მუსიკალური დიალექტი გაანია: ქართველი ეკვების წრეში ხალხური სიმღერები გაისმო, ქალაქის ცხოვრებლები ყოფი რომანსებს მღერიან, ადგილობრივი ბურჟუაზია „მღალი საზოგადოების“ საველიხო მუსიკაზე ცეკვავს, ფრანგიეკები ინტერეგეტების გულის მოსაგებად იმპოსტურს, მუნჯიგულსა და სხვა ეროვნულ კინებს ასრულებენ. მუშათა კლასი დახასიათებულია რევოლუციური სიმღერებით: „ინტერნაციონალი“, „მარსილეისა“, „მხნე, ამხანაგებო“ და სხვ.

დარიკოს მხნე, ცოცხალი სიმღერა (ი. ტუსკია) ინტონაციურად უახლოვდება დასავლეთ საქართველოს ხალხურ შემოქმედებას, კომპოზიტორმა შექმნა მთავარი გმირის შთაბეჭდავი მუსიკალური სახე. თავის დროზე დარიკოს სიმღერა გასცდა კინოფილის ფარგლებს და დიდხანს სარგებლობდა პოპულარობით.

ქართული კინოში ნაყოფიერად მოღვაწეობს გამოჩენილი კომპოზიტორი — სიმეონისტი შ. შვეციანი („კაქეთი“, „დავითაიული სასიძო“, ტელიფონი — „რუსთაველის ნაკადულეკი“). შ. შვეცილიმ შექმნა მთელი რიგი საინტერესო ლეიტმოტივები, რომელებიც ხსნიან ხასიათებს, აძლიერებენ დრამატულ სიტუაციებს. ისე როგორც საოპერო — სიმფონიურ ტილოებში, კინოშიც კომპოზიტორი ფართოდ იყენებს ქართული ხალხური მუსიკის თავისებურებებს, რაც მის მუსიკას ეპიკურ გამომსახველობას და ორიგინლობას ანიჭებს.

საბჭოთა კინომუსიკის თავიდავლ წყაყენი ადგილი დიდი ლეიტმოტივობა, რომელიც მიყვება ფილმის სიუჟეტურ ნახს, ემოციურად, საზოგადოდ გადმოცემული კინოსწარმოების დრამატულ საკვანძო მომენტებს, ახასიათებს გმირებს, განწყობილებებს, როლიეფურობითა და ლაკონურობით ლეიტმოტივი ფრმად იმტვდება კინომუსიკურების მესხიარებაში.

სხვადასხვა თაობის და მიმართულების კომპოზიტორები ლეიტმოტივს სხვადასხვაგვარად იყენებენ. განსხვავებულ ფუნქციას ანიჭებენ მას ქართული კომპოზიტორებიც.

საინტერესო გააზრებას აძლევს ლეიტმოტივურ პრინციპს კომპოზიტორი ა. მაკავარიანი ორსულიანი ფილმში „ორი თეა-



„ორი ოკეანის საიდუმლოს“ მუსიკალური გაფორმებას შექმნიეს ცინოფესტივალზე საბატიო დიპლომით აღინიშნა. „მეზღვეურის სიმღერაში“ ამ ფილმიდან დიდი პოპულარობა მოიპოვა და ცალკეც გამოიცა.

კომპოზიტორის წარმატებას კინოში წინ ხანგრძლივი მუშაობა უძღოდა. ა. მაჭავარიანის პირველი ფილმი „პლინ-შვილი გაღვიძან“, რომელიც მან რეჟისორ ლ. ესაკიასთან ერთად შექმნა 1939 წ. მაჭავარიანის კარგად ცნობილი საფორტკეპიანო პიესა „ხორუმი“ სწორედ ამ ფილმიდანაა. ასეთვე პოპულარული ნომრები გვხვდება მაჭავარიანის თითქმის ყველა კინონაწარმოებში: „კაჯანაში“ ცნობილი საორკესტრო პიესა „აღუები კაცი ვარ“, შესანიშნავი სიმღერა „მინდვრად ვნახე თეთრი ქვა“ დიდისანია გასცდა „აკაკის აკვანის“ ფარგლებს: ეს სიმღერები გვიზიდავენ არა მარტო ქართული ეროვნული ინტონაციების თავისებური გამოყენებით, არამედ ტექნიკური მღერადობით. სამშობლოს დაცვის თემა ასახული სურათში „ხიდი“.

რეჟისორის მიერ ჩაფიქრებული ფილმის დრამატურგია ყოველთვის როდი აძლევდა კომპოზიტორს შკაფით, და მღერადი სახეების შექმნის შესაძლებლობას. ამის მიუხედავად ფილმების („ოქროს ბილიკის“, „სად არის შენი ბედნიერება, შვილი?“, „ასე იწყებოდა მაიაკოვსკი“, „გენერალი და ზიზიღები“, „შაქრო“) მუსიკის დირსება არ მცირდება.

კინომუსიკის ქანრი დიდისანია ნაყოფიერად მუშაობს კომპოზიტორი ა. კერესელიძე. მას ორმოცამდე ფილმის მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის. მისი პირველი ნაშრომებია ფილმი „ქეთი და კოტე“, (1947). ვ. დლიდის კომპიურირების მუსიკასთან ერთად ფილმში ბევრი ორიგინალური მიმხრობაა სიმღერა ჟღერს, რომლებიც ეკუთვნის მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კომპოზიტორს. ა. კერესელიძე აქ მიმართავს სანატრულის პოლიფონიურ ხერხს, როდესაც ყარაჩოღული მოტივის ფონზე ისმის ქეთოსა და კოტეს სიყვარულის თემა. ფილმში კონტრასტული სიმღერები ორგანულად ერწყმინან. იმავე 1947 წ. ა. კერესელიძე წერს მუსიკას ნ. სანიშვილის ფილმისათვის „ბედნიერი შესვენება“. გმირების ნაზი და წმინდა სიყვარულის ლეიტმოტივია სიმღერა „ველსაბამი“, რომელიც დღემდე კარგად ახსოვთ მუსიკის მოყვარულთ, იგი გამოყენებულია აგრეთვე თბილისის ტელევიზიის გადაცემაშია მაუწყებელ სიმბოლოდ. კერესელიძის მიერ გაფორმებულმა მრავალმა ფილმმა მიიღო პრემია ჩვენთან და საზღვარგარეთ: საყოველთაოდაა ცნობილი „მაგდანის ლურჯას“ წარმატება კანის და შუმბერ ლონდონის კინოფესტივალებზე. „მაგდანის ლურჯა“ და „სხვისი შვილები“ ფირი ექსპონირებულია ინგლისის მუზეუმში, სადაც თავმოყრილია მსოფლიოს ყველა საუკეთესო ფილმი. მოსკოვის საერაობროსის კინოფესტივალზე ფილმებმა „ჩვენი ეზო“ და „ფატინა“ პირველი პრემიები დაიმსახურეს. თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფილმი „გაზაფხული საყვენში“.

კარგად შერჩეული ლეიტმოტივების სისტემით ვერესელიძის მუსიკა ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელ-მაყურებელზე. მათი საშუალებით სახეები მკაფიო მუსიკალურ დახასიათებას იღებენ. ზოგჯერ ასეთი ლეიტმოსები ფილმში „სხვისი შვილები“ მოსალოდნელი მოვლენების მაუწყებლად გველენებიან. დათოსა და თვის შესვედრების მომენტში ყოველთვის ჟღერს ლამაზი და მომხიბვლელი თვის თემა. და მაჟორბული წინაწარ გრძობს რაღაც უსიამოვნოს, ავის მომასწავებელს — დათოს ოჯახიდან წასვლას. ამავე ფილმში მუსიკა ეხმარება რეჟისორსა და მსახიობს რთული შინაგანი გრძობების მაყურებელამდე მითანაში. ბავშვი მაისიკან დაუმსახურებელ სილას იღებს... ამაზე მხოლოდ და მხოლოდ მუსიკა რეაგირებს.

ნის საიდუმლო“, მასში მიღწეულია ლეიტმოტივის მჭიდრო კავშირი კინოკადრთან. ფილმის მთავარი თემა გადმოგვცემს განსაზღვრულ ხედვით და ხმოვან სახეებს. პირველ სერიაში წყალქვეშა ნავის „პიონირის“ ლეიტთემა ფორტეპიანოს ხმოვანებით გადმოგვცემს ჯაშუშის დამიფრულ ნიშანს. შიფრი აუწყებს ნავის გასვლის დროს ისმის წინააღმდეგობების და საფრთხის გადალახვის მომენტებშიც. შიფრის თემა შეიმარწვნიებდა ჟღერს (ორკესტრის თანხლების ფორზე) იმ ეპიზოდში, როდესაც „პიონირი“ აისბერგის სქელ ფენაში შეიჭრება. იგივე თემა ჟღერს სხვა მომენტშიც, როდესაც მყინვანები ჩაძირულ „არქტიკას“ აღმოაჩენენ და ოკეანის ფსკერზე ჩაიძინა. ორივე შემთხვევაში ლეიტთემა ახასიათებს სიტუაციას, ამავე დროს ცვიპავს წვერთა გრძობებს და განწყობილებასაც.

ამ ფილმის მაგალითზე შეგვიძლია მივადევნოთ თვალტემისა და რიტმის მნიშვნელობას მაჭავარიანის კინომუსიკაში. დენის კადრებში გამოყენებული დაძაბული, კინეტიკურად გარღვეული მუსიკალური თემები, რომლებიც აძლიერებენ დინამიკას, მოძრაობის სისწრაფეს.



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუსიკის როლი სურათის ფინალში. აქ იგი ავლენს ადამიანის სულის დაფიქრებლად მარეებს. დათო აცილებს თვის საფურცზე, ნატო დაფიქრებული იყურება ფანჯარაში, მუსიკაში იმისი მოლოდინის სევდა. არფის დინჯი ხმები თითქოს დროის სველს წარმოსახვენ, ხმები თანდათან იზრდება, იზრდება ნატოს მოუყვენრობაც. ამ მომენტში ძირითადი ემოციური დატვირთვა მუსიკას ეკისრება. იქ, სადაც სიტყვა უძლურია, მუსიკას მიაქვს მაცურებლადმდე გმირი ქალის შინაგანი განცდები.

სიმღერები კერესელიძის კინომუსიკიდან ცალკე კრებულად არის გამოცემული და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ხშირად გაიგონებთ „ურმულს“ „მავდანას ლურჯადან“, კამას და კესოუს დუეტს — „გაზაფხული საყნის“, ბავშვების სიმღერას — „სხვისი შვილები“, სიმღერას „მწიური აჭარბიდან“, ლიას სიმღერას, ქართულ ვალსს — „ორი ოჯახიდან“ და სხვ.

ცნობილი კომპოზიტორის რ. ლალიძის კინომუსიკა გამოირჩევა სიუჟეტურ მოვლენებში ღრმა წვდომით. იგი ფილმის დიუერ-აზრობრივ ფაქტორად იქცევა, ამაღლებს მის ემოციურ ძალას და მსმენელზე ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს. რ. ლალიძის მუსიკა მუდამ მღერადი, თეატრალური, ხატოვანია, ავტორი ჩინებულად გრძობს კინოს საპედიფიკას.

„ხვეისბერი გოჩას“ მუსიკა თავიდანვე გვაჯადოებს. ფილმის დასაწყისში ვხედავთ კავკასიონის ზვიდ მთებს, დათოვლილ ყაზბეგს. ამ კადრის მუსიკა იშვიათი გამოხატულებით ხტავს ბუნების პეიზაჟს, იმისი დიდებული, ოდნავ ნაღვლიანი მელოდია — მოსალოდნელი ტრაგედიის მაცნე მთავარი გმირის — ხვეისბერის გამოსვლას ახლავს გუნდისა და ორკესტრის დრამატული ხმოვანება. ფილმში მუსიკის ენითაა გადმოცემული ყოველგვარი განცდა; ძლიერია მწუხარების თემა, ნათელი და ლირიკული სიყვარულის თემა, ომის თემა — მამაკური, შექტევა; კომპოზიტორი ტოლფასოვანი გამოხატულებით იძლევა სიკვდილის ტრაგედიას და ქორწილის საზეიმო სუნებს.

სრულად სხვა სტილია დაწერილი კინოზღაპარ „იესუ-კარას“ მუსიკა. რ. ლალიძემ მუსიკაში შემოიტანა ზღაპრულ-ფანტასტიკური საწყისი. შთამბეჭდავია მკვდარი ქალაქის სიმფონიური სურათი, სიყვარულის თემის ლირიკული განწყობილება, დასამახსოვრებელია არფისა და ფლეიტის ჩინებული დუეტი. საინტერესო მუსიკალური მასალით გვზიზილავს ჩეხოსლოვაკია-საქართველოს ერთობლივი ნაწარმოები „შეწყვეტილი სიმღერა“.

გულში ჩამწვდომად ძვლენ მამაკაცთა გუნდი („პარტი-ზანული სიმღერა“). გმირის დატვირთვის ეპიზოდში, მომხიბვლელია ლირიკული დუეტი ხალხურ ტექსტზე. ფილმი აღსავსეა მრავალფეროვანი მელოდიებით. ხალხი მღერის მას კინოდან გამოსვლის უმაღლე და შემდეგაც.

რ. ლალიძემ საყოველთაოდ გაითქვა სახელი ცნობილი „სიმღერით თბილისზე“. ამ სიმღერამ მოიარა მსოფლიოს ყველა კუთხე და ყველგან აღტაცებით მიიღეს. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ეს სიმღერა კომპოზიტორმა თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმისათვის დაწერა. ლალიძემ საყვარელ ქალაქს მიუძღვნა კიდევ სხვა სიმღერები, მათგან პოპულარულია „მუხამაზაში მშობლიურ თბილისს“.

ლალიძის კინოსიმღერები ხშირად გაიხსნის რადიოში, კონცერტებზე, ყოფა-ცხოვრებაში. განსაკუთრებული სიყვარული შოიმიო მუსიკამ ფილმიდან: „სახუდარელი ჭაბუკი“, „კეთილი ადამიანი“, „ყვავილი თოვლზე“. კომპოზიტორის უკანასკნელი ნამუშევარია „ხევსურული ბალადა“ (1966). ფილმი პრემიერებულია ჩვენთან და უკეთესშიც. ამ ფილმში კომპოზიტორმა გამოიყენა ახალი მეთოდი. აქ მუსიკა დრამატული მოქმედების ფონად არის გამოყენებული. დიდი ოქტომბრის



50 წლისთავისათვის ლალიძემ დაწერა მუსიკა ფილმისთვის „ტექსტის რეზიმი“. კომპოზიტორი უმჯობეს ქართველ მეომართა ვაჟაყვიბას, სიმამაცს. რ. ლალიძის დაწერილი აქვს მუსიკა კინონარკვევებისა და მულტიპლიკაციური ფილმებისთვისაც.

წარმატებით მოღვაწეობს კინომუსიკის დარგში შესანიშნავი კვარტეტების ავტორი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე. კომპოზიტორი ეძებს ახალ-ახალ ხერხებს კინოგამოსახულებისა და მუსიკალური ხმოვანების ურთიერთკავშირისათვის, ფაქტურად გრძობს მათ ბიფუნქციონალურ წყობას, ცდილობს მუსიკით გაამაზვილოს მაცურებლის ყურადღება ეკრანზე მომხდარი ამბებისადმი. გმირთა დახასიათება, მოქმედების მსვლელობა ლეიტმოტივებით ხდება, მოქმედების დრამატურ-





გიული სვლის პროცესში ეს ლეიტმოტივები განიცდიან ვარიაციულ-სიმორჩილურ განვითარებას. ფილმზე მუშაობის დროს კომპოზიტორს იტაცებს სხვადასხვა განრის კინოფილმები იქნება ეს მილდრაუდ დრამა („ოთხრასიანი ქერიანი“, „ჯარისკაცის მამა“) თუ მჩქვარე კომედია („აბეზარა“, „ჭრიჭინა“, „ოთხიანი იცინაბი“).

ს. ცინცაძისათვის ლეიტმოტივი ემოციური დახასიათების საუკეთესო საშუალებაა. „ჭრიჭინას“ ლდი სიმღერა ყოველთვის თან ახლავს მარინეს გამორჩენას გერანზე, იგი ამავე დროს ფილმის საერთო განწყობილებასაც გამოხატავს. ამავე ლეიტმოტივით ავტორი გამოხატავს ირონიულ დამოკიდებულებას მთავარი გმირისადმი. მარინე ჩაიჭრა გამოცდებზე, დღეს თვალმწერილიან, კადრს იქით ქ ქედს მისს საყვარელს სიმონურს უდარდებდა მოტივი, რომელსაც ჭრიჭინა გამოცდებისათვის მზადების ნაცვლად მღეროდა. ამავე ლეიტმოტივით ვლინდება ფილმის კომიკური მხარე. მარინა იცრუებს — ბეზია გარდაიცვალაო. ქალაქელი ნათესავები გვირგვინებით მიიჩქარიან დასვლაგებაზე. სამელოვიარო მარში აღლიერებს კომიკურ სიტუაციას.

ლეიტმოტივერ პრინციპზეა აგებული მეორე ფილმის — „აბეზარას“ მუსიკალური მასალაც, არქიტექტორი მუშაბდე თითქოს ჩაფლულია თავის საქმეში, მაგრამ მის არსებობაში მღერის მისი მშობლის — ლიას მხიარული სიმღერა. ამ ხერხითაა გადმომცემი ახალგაზრდა კაცის ფარული ფიქრი.

ს. ცინცაძეს კინომუსიკას ეროვნული სახე აქვს. იგი მოხერხებულად იყენებს ეროვნული მუსიკის კილო-ინტონაციებს. ს. ცინცაძეს გაფორმებული აქვს ფილმები „მამა წყნეთელი“, „ჯარისკაცის მამა“, „ბაში-აჩივი“, „ქალის ტვირთი“, „ჩრდილი გზაზე“, „განაში“, „უმოწყალო ღამე“, მულტიპლიკაციური ფილმები.

კინომუსიკის დარგში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომპოზიტორმა დ. თორაძემ. მის კინონაწარმოებებში იგრძნობა ოსტატის ხელი, მას შემუშავებული აქვს საკუთარი კინოპალიტრა. იგი თამაბდე ნერგავს თანამედროვე საკომპოზიციო ტექნიკის მიღწევებს, ახალ გამოხსავლობით ხერხებს. მხატვრული სახიერებით, ნათელი მელოდიურობით თორაძის მუსიკა უზრალს და ყველასათვის მისაწვდომია, ამასთან იგი გამორჩევა რიტმული, კილო-პარმინიული, ტემბრული თავიგანებურებით. დ. თორაძის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარია „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ (ფოსტალიონი ჩინებული სიმღერა, რომანსი, ვალსი). „პალატიომის ტბა“ (ტყის სიმღერა), „ჭრიჭიული მეზობლები“ (პოპულა-

რული სიმღერა „ომის დაწვების“ წინ). ყველა ეს სახეობა ცალკე გამოცემა და მხირად სრულდება. კინომუსიკის მნიშვნელოვანი მავალითია ფილმი „მუხეჯდრა წარსულთან“.

დ. თორაძე ნაყოფიერად მუშაობს დოკუმენტურ ფილმებზე გამორჩენილ რევისორ გ. ასათიანთან ერთად. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს მის ნამუშევრებს: „ნეპალის სახელმწიფო“, „ნადირობა ჯუნგლებში“, „ალღირული დღიური“, „ალღირი“, „ტუნის — უმეცხური კულტურის ქვეყანა“, „მსოფლიო ტანს უკრავს“, „მრავალსართულიანი ამერიკა“, „ხუთი კონტინენტის გზები“.

კინოში მუშაობა იზიდავს კომპოზიტორ რ. გაბრიჭაძესაც. მხატვრული ფილმების „ქალიშვილი ხილბონიდან“, „კოლმეურნის ქორწინება“, „ცანის ხუბის საუნჯე“, „მწვერვალთა დამამკობლობა“, „კავშირის ასკანიდან“ (მოსფილმი). გაბრიჭაძისეული მუსიკალური გაფორმება გამოირჩევა გამოხსავლობით, ფილმის მთავარ იდეასთან, გმირებთან, სიტუაციებთან ფსიქოლოგიური მიდგომით. კომპოზიტორს უფრო იზიდავს გამოსახულება და მისი შერწყმის დრამატული ასპექტი. „მწვერვალთა დამამკობლობის“ მუსიკაში დიდი ადგილი ეთმობა მითიანი პეიზაჟის აღწერას. გაბრიჭაძეს გაფორმებული აქვს აგრეთვე დოკუმენტური („კომარაიპოპ“, „სოსხმელანი ბათუმამდე“) და მულტაპლიკაციური („წყლი და ქიან-ჭიქვლა“, „ოქროს საფარქილი“) ფილმები.

კომპოზიტორი ს. ნასიძე წარმატებით მუშაობს მულტიპლიკაციაში. განრის სახეიფოა მოთხოვის მოქმედებასთან ფორტრაფიულად ზუსტ მუსიკალურ თანხლებას. მიუხედავად ამისა, კომპოზიტორმა შეძლო გამოფენიებისა მოქმედებას და მოქმედ პირთა შინაგანი თვისებები (გროტესკულ პლანში). დასამახოფრებელია მულტიფილმები: „საყვირის შემდეგ“, „სამიდელოანი — ფიჯულტურელი“, „მამაცი ვაჭა“, „სამი მეზობელი“.

ნაყოფიერად მოღვაწეობენ კინომუსიკაში კომპოზიტორები: მ. დავითაშვილი, მ. კვერნაძე, ფ. ლომიტი, ი. გეჯაძე, ნ. მამისაშვილი, ნ. ვაჭაძე, გ. ყანჩელი, თ. გორდელი.

კინემატოგრაფი მუსიკის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა. კინო მნიშვნელოვან აძლიერებს მუსიკის არა მარტო ემოციურ ზეგავლენას, არამედ ააქტიურებს მის აღმზრდებლობით — ესთეტიკურ როლს. ამ მოკლე მიმოხილვებშიც ცხადი ხდება ქართველი კომპოზიტორების მიღწევები კინომუსიკის დარგში. კინომუსიკაბ თავის მხრივ გაამდიდრა სასტრადო-სასიმფონო განრი. ყველაზე სახიერი, მელოდიური და ნათელი სიმღერები კინოში იმხენ.

რ. სკურუა

მეფოლაღები



თეორ. გუგუშვილი



ნიშნებლოვანი წვლილი მიუძღვის კოტე მარჯანიშვილს მ. გორკის დრამატურგიის სცენურ ინტერპრეტაციაში, განსაკუთრებით თავისი რეჟისორული მოღვაწეობის პირველ პერიოდში, ე. ი. რუსეთის პირველი რევოლუციის ეპოქაში.

თეატრმცოდნეობითი ლიტერატურაში ჩვეულებრივ ხაზგასმით აღნიშნავენ ხოლმე 1904 წელს რიგის კ. ნეშლობინის თეატრში განხორციელებული სექტაკლის „მოაგარაკენის“ მნიშვნელობას და იშვიათად იხსენიებენ კ. მარჯანიშვილის მიერ მ. გორკის სხვა პიესების დადგმას რუსეთის პროვინციულ ანტრაპირიზებში¹. დანილოვის წიგნში „Горький на сцене“ გორკის დრამატურგიის სცენური განხორციელებისადმი მიძღვნილ სპეციალურ თავში, სადაც ლაპარაკია გორკის პიესების რეჟოლეუციამდე დადგმებზე, კ. მარჯანიშვილის სახელი მოხსენებულია მხოლოდ „მოაგარაკენის“ დადგმასთან დაკავშირებით. ამავე დროს წიგნის ავტორი ასახელებს მრავალ სხვასდასხვა დადგმას, განხორციელებულს საზარისში (1901 წ.), პერში (1902 წ.), ბელსტკოში (1903 წ.), ნიენი-ნოვოგოროდში (1903 წ.), თბილისში (1903 წ.), ესტონეთში (1903 წ.), რომ აღარაფერს ვთქვათ მოსკოვის სამხატვრო და ვ. ფ. კომისარევესკაიას თეატრებზე².

გორკის პიესების მარჯანიშვილისეული დადგმების მივიწყება უნართებულა, თუნდაც იმიტომ, რომ მათ თავის დროზე დიდ წარმატება ხვდათ წილად. ამ დადგმებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს მ. გორკის დრამატურგიის ინტერპრეტაციაში და უზარმაზარი როლი შეასრულეს თვით კ. მარჯანიშვილის იდეურ-ესთეტიკური მისიონერული ფორმირებაში.



მ. გორკის პიესების დადგმა იმ დროს დიდ გმირობად და სიმამაცედ ითვლებოდა. პოლიტიკური მოღვაწის, მწერალ-რევოლუციონერის, თვითმკანონოების მურვიტეგელი მებრძოლის მ. გორკის სახელი ცნების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. საკამარისა ითქვას, რომ პიესა „მეშინების“ ყოველი ცალკეული დადგმისათვის საჭირო იყო შუამდგომლობის აღძრა ცენტრსათან. ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო ცენტრულარულ განკარგულებაში სასტიკად იყო აკრძალული რაიმე დარღვევა ამ მიმართულებით. ეს ცირკულიარი მოითხოვდა აგრეთვე არა მარტო ცნხურის ვიზას, არამედ

ადგილობრივი გუბერნატორის თავდებობას, რათა სცენურ ტექსტში არ გაპარულიყო ცნხურის მიერ ამოღებული ადგილები.

მ. გორკის პიესების დადგმას შინიად თან ახლდა პოლიტიკური მანიფესტაციები, რომლებიც, მაშინ, ძალზე აკრთობდათ ხელისუფალთ. ა. იუვიტი წიგნში „Большевистская печать и театр“³ მოკაცეს მრავალი მაგალითი იმისა, თუ რა პოლიტიკური რეზონანსი ჰქონდა მ. გორკის „მეშინების“ და „ფსკერზეს“ დადგმას საუკუნის დასაწყისში. ამის თაობაზე ავტორი ეწება გაზ. „ისკრის“ გამომხატურებას, მოვითხრობს „მეშინების“ წარმოდგენის დროს თეატრში გამართულ პოლიტიკურ მანიფესტაციებზე და დასკვნის, რომ მ. გორკის დრამატურგიამ ფართო შესაძლებლობა შექმნა რევოლუციური ბრძოლისათვის.

კ. მარჯანიშვილს არ შეეძლო „ბუქებში მიმალულიყო“ — ეს არ შეეფერებოდა მის ხასიათს და იქ, სადაც გამხატობა იყო საჭირო — იგი ყოველთვის წინა ხაზზე, ბრძოლისათვის მოწვევებულითა პირველ რიგში იდგა.

კოტე მარჯანიშვილი რეჟისურაში მოვიდა, რათა ბრძოლა გამოეხადებინა რუტინისათვის, გაერეოლეუციონერებინა თეატრი, ზეაეწია მისი მოქალაქეობრივი პათოსი.

თეატრში იდეურობისა და რეალიზმისათვის ბრძოლის, მისი დემოკრატიული მიმართულების და მკვიდრებისათვის მოღვაწეობის ეამს იგი გულსტიკილითა და აღფოთებით წერდა იმ წლების რეპერტუარის „ბალაგანურობაზე“ და ერთობ კატეგორიულ დასკვნამდე მიდიოდა: „ამავე დროს თეატრს არა აქვს უფლება არ უპასუხოს დროის სულსკვეთების უმაღლეს მოთხოვნებსა და ინტერესებს. ამის გარეშე იგი მკვდარი იქნება. ხლოვნება კი უნდა იყოს ცოცხალი და სიცოცხლის მქმნელი“.

გასაკვირი არაა, რომ იმ სიტყვების წარმომთქმელი რეჟისორი ისწრაფვოდა შეერჩია ყველაზე მოწინავე პიესები, რაც კი იმ წლების დრამატურგიაში იყო.

მარჯანიშვილი მისი რეჟისორული მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე სწორედ რეპერტუარის მაღალიდეურობის მოთხოვნის შემთხვევაში იქნებოდა. მ. გორკის დრამატურგიასთან. სწორედ ეს დრამატურგები იქნენ შემდგომ კ. მარჯანიშვილის მიერლი შემოქმედებითი ცხოვრების თანამგზავრებად შესაძლებლა ჩეხოვისა და გორკის დრამატურგიისაკენ ამ მიწრაფე-

¹ გამოცალის წარმოდგენს გ. კრიციკის «К. А. Марджанов и русский театр» ВТО, М., 1958 გ. და ვ. შინაპის «Горький в Грузии», «Заря Востока», Тб., 1958 გ.

² იბ. С. Данилов «Горький на сцене», «Искусство». Л., 1958 г.

³ Э. Гугушвили, А. Юфит, «Большевистская печать и театр», «Искусство», М.-Л., 1961 г.

⁴ Сб. Котэ Марджანიшвили, «Творческое наследие», т. I, «Заря Востока», Тбилиси, 1958 г. стр. 71.



ბამ ითამაშა არსებითი როლი იმ კავშირის განმტკიცებაში, რაც ყოველთვის არსებობდა კ. მარჯანიშვილსა და სამხატვრო თეატრს შორის.

პირველად 1901 წელს გაეცნო კ. მარჯანიშვილი მ. გორკის შემოქმედებას. იმ დროს კ. მარჯანიშვილი ვიატკის თეატრის მხაიხიანი იყო და ესტრადიდან კიბოხლობდა გორკის ლექსს „სიმონია შვეარდნიე“. და ამ პირველმა წარმატებამ თითქოს მას მწერლის გულსიკავე გაუხსნა გზა.

შემდეგ „მეშანებში“ ნათამაშები ნილი დაწყებული საქმის გაგრძელება იყო. ამ წლებში კ. მარჯანიშვილი ის იყო იწყებდა რეჟისორული ხელოვნების მტკიცედ დაუფლებას. იგი სულ უფრო მეტად ეუფლებოდა მისთვის ახალი სამუშაოს სამყაროს, მაგრამ აქტიურულ მოღვაწეობას თავს არ ანებებდა. 1902 წლის 17 ოქტომბერს უფის დრამატულ თეატრში დადგმულ „მეშანებში“ იგი გამოდიოდა, როგორც რეჟისორი და როგორც მთავარი როლის შემსრულებელი მხაიხიანი.

პრესამ დადებითად შეაფასა მისი ახალი აქტიურული ნაშეუქმბა. წერდნენ, რომ მარჯანიშვილი „როლის დასაცემის-შივე ისე ცოცხლად შვერწყობს მის მიერ გამოხატულ სახეს, რომ სასტიკი რეალური ხატი შექნაო“⁵.

არა ნაკლებ აქებდნენ თვით სპექტაკლს. „თეატრი საცხე იყო მაყურებელი, რომელიც ყოველი მოქმედების დასასრულს დაუფარავად გამოხატავდა თავის აღტაცებას და მრავალგზის გამოუმობდა შემსრულებლებს“ — წერდა ადგილობრივი გაზეთი და განსაკუთრებით უსვამდა ხაზს რეჟისორ კ. მარჯანიშვილის დამსახურებას⁶.

უნდა აღინიშნოს, რომ უფის სპექტაკლში ძალიან მკვეთრად გამოიხატა ის მხატვრული პრინციპები, რომლებიც საერთოდ განასწავრდნენ კ. მარჯანიშვილის რეჟისორულ ცდებს იმ წლებში და რომლებმაც თავიანთი განსხეულება პიკეთის ის ისეთ ადრეულ სპექტაკლებში, როგორიც იყო: „ურიელ აკოსტა“ (1903 წ.), „კამლეტი“ (1903 წ.), „ვაიი ჭკუისაგან“ (1903 წ.), „ტყე“ (1903 წ.), „ალუბლის ბაღი“ (1904 წ.) და სხვები. ეს პრინციპები ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ თავის საუკეთესო სპექტაკლებში იგი განმტკიცებდა სცენურ სიმართლეს, წინა პლანზე გამოჰქონდა აქტიურული შესრულების სისადავე და ადამიანურება, მისწრაფებდა ანამბლურობის სისრულისაკენ, დეტალების გულმოდგინე დამუშავებისაკენ, ერთი სიტყვით, ყოველივე იმისაკენ, რაც ახალგაზრდა რეჟისორის მუშაობის მეთოდს აახლოვებდა სცენური ხელოვნების რეალისტურ სკოლასთან და რაც მას უფროდ აძლევდა იმავე წლებში საკუთარი თავი გარკვეულად ჩაეთვალა სამხატვრო თეატრის მიმდევრად და თანამოაზრედ. და შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ჩვენ-ნამდემ მოღვეულ თითქმის ყველა რეცენზიაში, რომელიც ეძღვნება იმ პერიოდში კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლებს, განსაკუთრებით იყო ხოლმე ხაზგასმული სწორედ ეს მისწრაფება ცხოვრების სიმართლისაკენ, ცხოვრებისეული.

სინამდვილის დაცვისაკენ, მხაიხიობური შესრულების სინამდვილისაკენ.

რასაკვირველია, მარჯანიშვილის სურვილი — ემუშავა სამხატვრო თეატრის პრინციპების შესაბამისად, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ამოღლებულიყო ყოველივე ამი დონემდე, რასაც აეთვოდა სამხატვრო თეატრი, რომელიც იმ დროისათვის რუსეთის თეატრალურ ხელოვნებაში უკვე მოახდინა რეფორმა. მაგრამ, მარჯანიშვილის აღტაცება სამხატვრო თეატრით, მისი მხურვავე სურვილი პრივივილუ ანტრეპრიზებში დაეწევა დადგმის კულტურის მისაღობი პრინციპებით, რომლებიც სტანისლავსკისა და ნემროვიჩ-დანიენკოს მიერ განხორციელებული თეატრალური რეფორმის ერთი არსებითი მხარე იყო, არ შეიძლება ფხიზელი ყურადღების გარეშე დარჩენილიყო.

სცენური რეალიზმისადმი კ. მარჯანიშვილის ერთგულება, მისი სურვილი — თავის დადგებულ ღრმად ჩასწვდილად და სიმართლეთი ავასა ცხოვრებისეული მოვლენების სირთულე, არ შეიძლება არსებულები მისი იდეური, მსოფლმხედველობითი პოზიციებისაკენ მოწყვეტო.

ადგილი მისხვედრია, გორკის დრამატურგიის სცენური ინტერპრეტაციის საქმეში ამ პოზიციის უკანასკნელი ადგილი როდი ეჭირა კ. მარჯანიშვილისათვის განსაკუთრებით ახლობული და ძვირფასი აღმოჩნდა შემოქმედება გორკისა — ამ შეუღრკვეული მებრძოლისა, — რაც, ახელს უწყობდა თავისუფლებისათვის და დემოკრატიისათვის ბრძოლას“. როცა დგამდა „მეშანებში“ და სპექტაკლში ქმნიდა როლის მხატვრულ-სცენურ სახეს, კ. მარჯანიშვილი, გორკის გვალად, იძიებდა და სცენაზე ამკვიდრებდა ახალი გმირის სახეს, რომელიც იმითაა დიდებული, რომ აღმოჩნდა ძალა, ბრძოლა გამოცხადებდა ბურჟუაზიას და მის ერთ-ერთი ყველაზე ბოროტი მუდგევის — მემწიანობის წინააღმდეგ. იგი შეპყრობილი იყო მებრძოლი ჭეშანიშვის იდეებით და გორკისთან ერთად ბიძის უკლებლად ადამიანს, მის სიდიდეს, გაეცაცობასა და ძალას.

ბიუეს „მოაგარაკენის“ — (რომელიც განსაკუთრებით ახლობული აღმოჩნდა კ. მარჯანიშვილისათვის) დადგმით იგი, ისევე როგორც სახელოვანი მწერლი, დემოკრატიული ინტელიგენციის შემოქმედებითი საქმის დაამკვიდრების გზით მიდიოდა და გაბედულად ამხელდა იმ ადამიანთა ლიბერალიზმსა და პოლიტიკურ უპრინციპობას, რომლებმაც რევოლუციის ქარიშხლის თავი გაარიდეს და მუედრედ მოწყობილ სასტუმრო ითახებში დაიდეს ბინა.

და თუ მარჯანიშვილი უფრო შორს არ წასულა და არ დამდგმა ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსული პროლეტარიატის კლასობრივ პოზიციებზე — როგორც ეს გააკეთა გორკიმ — პროლეტარიატისა, რომელიც „სახოვადობის სოციალურ გარდამქმნას მოითხოვდა“ — ამაში ფარებოდა არა მარტო პოლიტიკური სიტუაციის სიმაფრის დაუფასებლობა, არამედ გარკვეული ისტორიული კანონზომიერება. მ. გორკის რევოლუციური, მკვეთრად გამოხატული კლასობრივი პრინციპები განპირობებული იყო დიდი პროლეტარული მწერლის ისტორიული გზის ობიექტური მსვლე-

⁵ «Уфимские губерские ведомости», 20 октября, 1908 г.

⁶ იქვე.



ლობით. კ. მარჯანიშვილის გზას ქუჩანიშისა და დემოკრატიისა, მხოლოდ ამ კრიტიკიუმის სასწავლამდე მიჰყავდა რეჟისორი. მაგრამ, ისიც კი, რაც იმ წლებში გააკეთა მარჯანიშვილმა, როცა თამამად მოჰქიდა ხელი გორგის პიესების განხორციელებას — მრავალსმთქმელია.

მ. გორგის დრამატურების ათვისებისაკენ მიმავალ გზებზე მარჯანიშვილმა რამდენიმე ეტაპი განსულა. უფრო ადრე თანამედროვეობა, მას იგი თანდათანობით შეულოფებოდა, მაგრამ მეთოდურად და შეუპოვრად ცდილობდა არსს ჩასწვლილყო.

იმდროინდელი საგაზეთო ცნობებიდან, რაც თეატრის ისტორიკოსის მოძებნება, ყოველთვის არ ხერხდება გარდასულ დროთა სპექტაკლების აღდგენა, მაგრამ ზოგჯერ თვით ყველაზე ძუნწი ცნობებიც კი საკმარისია ჭეშმარიტების დასადგენად. ყოველშემთხვევაში, იმისათვის მინც, რომ ამ ჭეშმარიტებას მივახლოვდეთ.

როგორც უკვე ითქვა, უფის პრესა აქებდა მარჯანიშვილის დადგმას — „მეშანებას“. განსაკუთრებით აღნიშნავდა წარმატებით განხორციელებულ რამდენიმე სცენას (ჩაის სმა, ბესე-მენობის, პეტრის, ტატიანას, აკულინას ჩხუბის სცენა, ნილის, პოლიას და ტატიანას სცენა შორე მოქმედებიდან, ტატიანას თვითკვლელობის ცდის ეპიზოდი), აღნიშნავდა ანსამბლის სიმწობარეს, რეჟისორ მარჯანიშვილის საუკეთესოდადგულ უკრადლებას გაფორმების ყოველი დეტალისა და წერილობრივად (კედლის საათი მთელი მოქმედების მანძილზე მუშაობდა და ყოველ აქტში შესაბამის დროს აჩვენებდა).

საუკრადლობა იმის აღნიშნა, რომ რეცენზენტებს მთელი აქენტი გადაჰქონდათ დადგმის სპეციფიკაზე და ნაკლებს ლაპარაკობდნენ პიესის ინტერპრეტაციაზე, მის იდეურ ძეგრაფიაზე. რეცენზიებში აქა-იქ გაბნეული ძუნწი კითხვებიც ცალკეულ სცენების აღწერისას (საქმე ეხება, მავალითად „მევიდობიან ჩაის სმას“) მხოლოდ ნაწილობრივ ჰყენენ შუქს დადგმის საერთო ხასიათს, მის რიტმულ ელფერს და ვერ გვაძლევენ წარმოდგენას პიესაში შებენილი ძალების განლაგებაზე. საფიქრებელია, რომ რეცენზენტს მარტოოდნ ცნებურულ ხასიათის მოსაზრებანი არ ელოებოდნენ მავალიობის განსმლოდა. როგორც ჩანს, იგივე უფის დრამატული თეატრის დადგმა საკმარის საფუძველს არ აძლევდა რეცენზენტს ენსჯელა მასზე, როგორც სრულმნილი, იდეურ-პოლიტიკურად მჭვივრად გამოკვეთილ სცენურ ნაწარმოებზე.

სპექტაკლი იყო პროფესიული, გამობრწყოდა მსახიობთა მართალი, ბუნებრივი თამაშით და „კარგი საზოში იყო რეჟისორის ღირსებისა და გამოცდილების“⁷, აქვე, ჩვენის მხრით დაღვსენით, რეჟისორისა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ მომწიფებული იმისათვის, რომ დრამატურგიის იდეების ღრმა ინტერპრეტატორი ყოფილიყო.

მაჟურლებში „მეშანებაში“ წარმატებით სარგებლობდა.

კ. მარჯანიშვილი გატაცებული იყო პიესით და გასაკვირი არაა, რომ მომდევნო 1903-1904 წ. წ. სეზონში, ირკუტსკის ანტრეპრიზაში ყოფნისას, მან კვლავ მიმართა „მეშანებას“;

ამჯერად ნაბიჯი გადადგა წინ პიესის იდეური არსისა და მამოძრავებელი კონფლიქტების გააზრების გზაზე.

ირკუტსკის გაზეთები ერთსულოვნად აღნიშნავენ სპექტაკლის წარმატებას, როლების კარგ განაწილებას, შესანიშნავ თამაშს, ანსამბლურობას — ერთის სიტყვით, ყველაფერს იმას, რაც განსხვავდება მარჯანიშვილის სპექტაკლების რეჟისურას.

ახალი დადგმისადმი მიმართული ეს სიტყბა არ არის არაღაც განსაკუთრებულად ორიგინალური, მოულოდნელი. ახალგაზრდა რეჟისორის მრავალგზის დაუმასხარებია ამგვარი ქება, იგი მისი შემოქმედების ნორმად იქცა, მას აღარ ჰქონდა უფლება მიღწეულ დონეზე დაბლა დაშვებულიყო, აუცილებელი იყო წინსვლა, ზრდა. ირკუტსკის დრამატულ თეატრში განხორციელებული „მეშანებაში“ ამ ზრდის დამადასტურებელი იყო.

კ. მარჯანიშვილი კარგად გრძობდა გორგის პიესის იდეური ინტერპრეტაციის მთელ სართულს. და ბევრი რამ, რასაც მიაღწია, მოწონებს მასალისადმი მისი დამოკიდებულების სიღრმეს და რეჟისორული მიხვედრილობის ძალას.

საკმარისია ითქვას, რომ მარჯანიშვილის დადგმის უმთავრესი და მნიშვნელოვანი მომენტები იყო ნილის მსატერული სახის პირველ პლანზე წამოწევა. ამჯერად თვით მარჯანიშვილმა უარი სთქვა როლის შესრულებაზე და იგი მსახიობ ბერჟეს გადასცა. ამით მას, როგორც რეჟისორს, მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ემუშავა ამ სახეზე. უფრო ღრმად შევესახებინა იგი რეჟისორულად, ანუ როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, — შევესახებინა იგი „უცხო თვლით“.

რეცენზენტის მიერ როლის მსატერული შესავსება, მრავალმხრივ ჰყენს შუქს იმას, თუ როგორ იყო ეს სახე სპექტაკლში გადაწყვეტილი.

„ნილს ცხოვრება სწავდა, — წერდა რეცენზენტი, — როგორც ჯანსად აღაზიანს მას სწევრია ცხოვრების ორიმტრიალში შეტრა და იქ ტრიალი, ვინაიდან არაფერია უფრო სასიამოვნო ვიდრე ცხოვრების აქტიურ მონაწილე ყოფნა.“⁸ (ხაზი ჩეზია — ე. ე.).

რეცენზენტის სიტყვები ყველა საფუძველს გვაძლევს დაეაკვებთ, რომ საქმე გვაქვს რეჟისურის „მეშანებასთან“ — უფრო ნათლად, მკვეთრად, ვიდრე ეს იყო „მეშანებაში“ წინა დადგმაში, ხაზი გაესხა ნილის აქტიურობას, მის ქმედებას, ჯანსად, მხნე საწყისს. და თუ იქ, უფის „მეშანებაში“, მარჯანიშვილისეული ნილი იყო უბრალოდ „ყოცხალი სახე“ (ასეთი დახასიათება შეიძლებადა კუთვნებოდა სიმბოლით, ცხოვრებისეულობით, სისადავით აღბეჭდილ მსახიობურ შესრულებას), აქ, ირკუტსკის დადგმაში, ნილი იყო აქტიური, ვნებიანი, სიციცხულიანი და სავსე, ვინაიდან თავის არსებაში ატარებდა ქმედით საწყისს. განა შეიძლება დაეკვება იმაში, რომ რეჟისორმა უფრო გააღრმავა თავისი დადგმის ჩანაფიქრი, პიესის მთავარი გმირის სახე და შესძლია ნათლად გატყვევებულიყო სოციალურ აქცენტები? ამ აზრს ადასტურებს რეცენზიაში წარმოდგენილი მეორე დახასიათება: „ნილის მიხვევება ჯანსადი პოლია (სარმატოვა), რომელსაც

⁷ „Уфимские губернские ведомости“, 20 октября 1902 г.

⁸ „Иркутские губернские ведомости“, 18 сентября 1903 г.



არაფრის არ უშინიაა — წერს იგივე გაზეთით და ამით იგი, თითქმის თვალს ადევნებს პიესის მოქმედებათა ჯაჭვის თანმიმდევრულს და მისი გმირების შინაგან კავშირებს.

თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ რეჟისორის მიერ ამგვარად გაგებულმა როლმა უკვე უზრუნველყო მისი და დრამატურის ჩანაფიქრის სრული აღტკურება. რასაკვირველია, მარჯანიშვილმა ვერ შესლო ბოლომდე გარკვეულიყო „მეშინების“ პოლიტიკურ კონფლიქტი. იმავე გაზეთის კრიტიკოსი წერდა „მეშინების გორკი უპირისპირებს ტეტრერებს (იაკობლევი-ვასტოვი)“, პიესის რეჟისორის პერსონის და ნილოს (ბერე) ⁹. გარეგნულად ეს დასკვნა თითქმის სწორადაა ფორმულირებული — ნილი და ტეტრერევი მართლაც უპირისპირდებიან მეშინებს. ორივე მათი მოწინააღმდეგეა, მათი ცხოვრების ბურჯის დამანგრეველი. მაგრამ, რამდენად სწორია მათი პოზიციების „გათანაბრება“, მათი შეხედულებების დიდებულებო? ხომ არ არსებობს უფსრული ამ აღმანიების შორის, რომლის ერთ მხარეზე დგას ნილი — მისწრაფებული მომავლისაკენ, ხოლო მეორე მხარეს ტეტრერევი, აღმანი „უოცნებო“, უმომავლო, უიდალო?

არცა დასაკვირი, რომ ირკუტსკის გაზეთის რეცენზენტი ვერ გაერკვა ტეტრერესა და ნილოს შორის არსებული განსხვავების არსში, ვერ დაინახა პიესის ნამდვილი კონფლიქტი ნილოს და „სხვებს“ შორის. მაგრამ, აქვს თუ არა თეატრის ისტორიკოსს საფუძველი იმ გარეუდისა, რომ იმ წლებში თვით მარჯანიშვილს ესმოდა ეს განსხვავება? ადვილად დასადავებია, რომ სპექტაკლში ნილი და ტეტრერევი გამოიყოფილიყვნენ „როგორც თანასწორნი“, როგორც „არა მეშინებია“, დაპირისპირებულნი „სხვა“ მეშინებისადმი. და რეცენზენტი აქ ნათელია, არ ცდებოდა. ხომ გაიყო იმავე რეცენზენტმა მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პირობები, რომელიც დრამატურგმა წამოსკრა, და რომელმაც სპექტაკლში შესაბამისი რეჟისორული განმარტება მიიღო.

„მეშინების“ შეილები, — წერს რეცენზისი ავტორი, — უფრო ძლიერი მეშინები არიან, ვიდრე მათი მამები ¹⁰. ამ დასკვნაში ძალიან დიდი აზრი იფარება. მასთანადე, რეჟისორი არ წასალა „მამებისა“ და „შეილების“ (ანუ უფრო ზუსტად „მეშინი მამებისა“ და „არა მეშინი შეილების“) დაპირისპირების გზით, დრამატურგის ყველად, არ სურდა დაენახა მათი განსხვავება, პირიქით, ხას უსემდა მათს ნათესაობას, მათს ერთიანობას, თანახმიერებას და პიესის კონფლიქტის გადაწყვეტას ეძიებდა არა „ოჯახურ პრობლემაში“, არამედ სხვა რაღაც უფრო რთულში, სოციალურად გამძაფრებულში, სახელდობრ „მეშინებისა“ და „არა მეშინების“ შეურიგებლობაში. და ეს იყო რეჟისორის დიდი მონაპოვარი, მარჯანიშვილს მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ გორკის პიესის გააზრების გზაზე.

ამ სპექტაკლში არსებითი ის იყო, რომ იგი სრულიად თავისთავად მივლენა იყო, განსაკუთრებით სამხატვრო თეატრის განთქმულ სპექტაკლთან შედარებით.

ირკუტსკის გაზეთები ამ თვითმყვადობას გულისტყვი-

ლით აღნიშნავდნენ. მათ არ მოეწონათ, მაგალითად, სპექტაკლში, რომ რეჟისორმა არ ისარგებლა სამხატვრო თეატრის დეკორაციების ჩანახტებით და პიესა დადგა თავისებურად, მოსოველი კოლეგებისაგან საგნებით განსხვავებული ესკიზების მიხედვით.

პრესის სიტყვები ვიდრე, როგორც საყვედური თეატრის მიმართ, მაგრამ სწორედ პირადი ინიციატივის ეს გამოვლენა განსაკუთრებით ძვირფასად აქვევს წინების პოზიციის რეჟისორისას, რომელიც, როგორც სპექტაკლის გაფორმებში, ასევე აქცენტების განაწილებაში არ წასულა გატკეპნილი გზით.

იმდროინდელი პრესა არ იყო გულსუბი სპექტაკლის გარეგნული ფორმის აღწერაში. მიუხედავად ამისა, ნაწილობრივ შესაძლებელი ხდება სპექტაკლის ცალკეული დეტალების აღდგენა. ესკიზების მიხედვით ეს იყო ჩვეულებრივი ინტერიერი, მთელის გულმოდგინებით მორთული მეშინური ყოფისათვის დამახასიათებელი დეტალებით და საერთოდ შეეფერებოდა ავტორის რემარკებს.

სეცნაზე იდგას ის განთქმული ვეება, პირქუმი კარადაც და პაინინოც, რომლის ლავიეზოზე მონიტორუნად უტკადაც მისი ტეტრერევი, იდგა სხვა ყოფითი ხარა-ხურცა — დაწყებული სხვადასხვა ჭურჭლეულით და გათავებული კედლის საათით; ყველაფერი ეს ერთად აღებულ ქმინდა მეშინური „სიმყვდროვის“ სულისშემუთავოდ ატმოსფეროს. რეცენზენტის აღწერაც ადასტურებს ამ ჩვენს ვარაუდს. იგი წერს დიდ, მახინჯ კარადაზე, რომელიც თითქმის საუკუნე დგას ერთ ადგილზე, კედლის ძველ საათზე, რომელიც ნაღვლიანად წიკწიკებს, ძველ მახინჯ ავეჯზე, რომელიც გარემოცავს ცხოვრობენ და იტანჯებიან მესვენების თუხის წვერები...

მარინე ბეალაევა — მაია მირიანთან სულელოდ შერწყმული სცენური იერსახეა. ომში წასულ მაიასაც ყოველდღე უხდება ბრძოლა მამაკაცურ გარემოცვასთან და იმ შეუჩვეველ კანონზომიერებასთან, რომ გულდი გულს მონახავს და სული სულს. ბეალაევა სცენური სხვადასხვა ქვეყნის უნარით ღრმად გაჯერებული და თანამგრძობობადაც გზდით, რომ ომის უოჯობითურ ატმოსფეროში მოხვედრილ სულიერი სიწმინდით სასე გოგონას მფარველი სჭირდება: „ყველას უნდა თითო მფარველი, ვისაც ენდობი“. ამ გრძობამ ააღებინა მას იარაღი ხელში, ამ გრძობამ მიაახლოვა მაია მირიანის გულთან, უკვდავბასთან.

როთული ამოცანის წინაშე იდგა მსახიობი ლ. ცხევა-რი იაშვილი. კაპიტან კუხნეცოვის სცენური იერსახე სტემატურის ნაკველობს ვერსად წაუვა. მიუხედავად აინისა, აეტორი და მსახიობი ორიოდ ფრაზითაც კი კოლორიტულ ფიგურად აქცევენ მას: „ჩოხატურში გავრ-

დილი რუსი ვარ, "შე აბდალო!" — პასუხობს იგი საოხუნ-ჯოდ განწყობილ ქართველ ჯარისკაცს ეზარა ჯიბუტს და ამით უმალ აცილებს შიშს, რომ კაპიტანი სამხედრო წეს-დებების ენით იმეტყველებს და პლაკატური ლოზუნგებით იმოქმედებს. არა, ეს არ მოხდა. ცხვარაპეილი ძლიერი ნებისყოფისა და აზრიანი თავმდაბლობის მეთაურის სცენ-ნურ იერსახეს ქმნის, დასამახსოვრებელსა და კეთილად მოსაგონარს. იგი არ ცდილობს ხელსაყრელ მდგომარეო-ბაში გამოჩენას. წისკელში მეთორების შესვენების სცენ-ნაში ცხვარაპეილის კაპიტანი შეუმჩნეველად ჯდება კუ-თხეში და თავისი დომილითა და აუჩქარებელი მოქმედე-ბით უფრო მეტყველსა და ადამიანურს ხდის კუნცნოვის პორტრეტს.

მსახიობი გ. ციციშვილი მზვერავ ვალიკოს როლში ხაზს უსვამს ხასიათის სიჯიუტესა და სიკერპეს და ამავე დროს იმ ვაქცაპურ აღზევებას, რომელიც სამ-შობლოს დასაცავად არის მიმართული. გ. ციციშვილის ვალიკო სხვის ბევრ სურვილს ანაცვალებს საკუთარი "მეს" სადიდებლად. შესაძლოა ცხოველური ინსტიქტების დასა-მყოფილებლადაც კი, მაგრამ არ ივიწყებს მთავარს, — მოვალეობას სამშობლოს წინაშე. სიძულვილს მტრისად-მი, იქნებ ეს მისი თანამებრძოლის მირიანის ცხოვრებით ნაკარნახევმა სიბრძნემავე განაპირობა: „ჩვენ ერთმანეთ-ში რა გვაქვს საჩხუბარი, იქაც გვეყოფა სადაც მივდი-ვართ“.

ამ ეპიზოდში ვალიკო თუმცა ძნელად, მაგრამ შინაგა-ნად მაინც თავისუფლდება პირადული „გამორჩეულობის-გან“, რაც მას თავის ტოლებში და თანამებრძოლებში კიდევ უფრო განსხვავებულს ხდის. იგი მტრის სასრბო-ბელაზე ილუბება, მაგრამ მირიანსაც და მაიასაც ერთ-ნაირად ახსოვთ და თანაურტრძობენ.

გიორგი გელოვანმა ძლიერი უშიშარი კარტი-რიოტი და სიცოცხლის მოყვარული ჯიბუტის და-სამახსოვრებელი სახე შექმნა. იგი ავტომატით დასდევს მტერს და მზიარული სიტყვით ახარებს მოყვარეს. მისი ხასიათი კოლორიტულ სურნელს აფრქვევს მთელ სექ-ტაკს, მაგრამ ისიც შესამჩნევია, რომ მსახიობის მიერ ნახტასთან შეხვედრის ეპიზოდში დრამატულ-ტრაგიკუ-ლი დინება სხვა ტალღაზე გადაიროთ. გადაურთავად კი უფრო ლოკუკურად მოქმედებდა.

მსახიობი გ. გოგუა ბუნებრივად აერთებს შალვა ცამციძის ფიზიკურ სისუსტეს და გარეგნულ სიმშვიდეს. მისი გამომსახველი ხერხები გამომდინარეობენ ერთი ფრა-ზიდან: „მე ახალი ნაავადმყოფარი ვარ“, რასაც მსახიობი უშუალოდ წარმოსთქვამს. ეს ფრაზა ქვეტექსტად გას-დევს გმირის ინტონაციას, ფართო მაზარა შემოცმული ძალაგამოლეული ტანის მოქმედებას. უყურებთ და გჯე-რათ, რომ უჭირს შალვას მისი ტარება.

ბ. გოგინავამ ახოვანი ქართველი ვაქცაყის, მაგ-რამ ბავშვური გულუბრყვილობით სავსე სავლდ რეზია-შვილის სახე შექმნა. სწორედ გულუბრყვილო სერიოზუ-ლობა იწვევს სავლემი აღშფოთებას და ფიზიკურ მოქ-მედებას ღმერთის მიმართ: „ღმერთს ვესერი, ღმერთს, მირიან, თუ სადმეა, — რას უყურებს, ცოტა ხნით მაინც რატომ არ ჩამოდის მიწაზე, ნახოს რა ჯოჯოხეთი ტრი-ალებს“. ეს არის განუზოადებული პროტესტი, მიმართული უადამიანობის წინააღმდეგ, რამაც ასე შეუბრალეულად დათრგუნა რეზიაშვილის წმინდა სული.

მსახიობი ა. ვერულიციშვილი სერგო მეწაღე-შვილის გარეგნულ გამომსახველობით მოძრაობას გმირის შინაგანი თვისებებით ძერწავს და საინტერესო პორტ-რეტს ქმნის. მსახიობი გააუტრებთ თბილისის ძველ უბანში



გ. ციციშვილი —
ვალიკო იაშვილი,
გ. შინაგა —
მირიან კობერიძე



ქ. მონიავა — მირიანი, მ. ბელავა — მაია,
მ. ბიბილიშვილი — ნასტია

ლაღად გაზრდილი ახალგაზრდის ბუნებაში, მის გემოვნებასა და ხედვაში, რომელსაც დოღზე დაკვირის მარიფათი ფორნტულ სინფლეზეზე უფრო რთული ჰგონია. „მე მე-დოღ ვარ, უფროსო, თუ დატვირდეთ გამოადგებით“. მაგრამ ომს სხვა დასჭირდა და უკვირს: „უა კაცო, სამი სუფრა გამიშვია და ასე არ დავღლიღვარ, როგორც ამ უღმერთო ომში“.

დაიხ, კოლორიტულია ვერლენიშვილი სერგოს როლში, განსაკუთრებით მათთვის, ვინც პირველად იხილა მსახიობი სცენაზე, მაგრამ გულსატკენია, რომ მსახიობს ამ როლშიც გამოჰყვა ადრეც დასამახსოვრებლად წარმოახალული დარღმანდების მოქმედების მანერა, ხმა, ბგერა, მიხრა-მოხრა. მსახიობს ადვილად შეუძლია ახალი საღებავები დაადოს თავის მომავალ სცენურ გმირებს, თუ ამას რეჟისორები დაეინებით მოსოხვენ.

მახელონიერულად და სახიერადაა დაპირისპირებული ტყუილი ძმები შიო და ამირანი. ნ. ქალაქის შიო მიაშიტი სოფლელი ბიჭია, ფიცხი, მაგრამ ტაშფანდურს შეყვარებული. იგი ჯოჯოხეთურ ომშიაც არ კარგავს ხალისსა და შინ მშვიდობით დაბრუნების იმედს. მსახიობმა თავისი გმირის სულიერ სამყაროს შესატყვისი გარეგნული იერი მონახა და (პიესის ტექსტის მიხედვით თავის ტყუპ ძმას უნდა ჰკავდეს) სრულიად საწინააღმდეგო გარეგნობისა და ხასიათის ახალგაზრდის სცენური პორტრეტი შექმნა. ამან გაუსემა ხაზი. ვ. ფირცხალი იშვილი ის მიერ დესქოტოგური ნიუანსებით წარმოსახული ამირა-

ნის იერსახის კოლორიტულობასაც. მისი გმირი „შოში“ გატაცებული ახალგაზრდაა. ლექსია მისი ჯარისკაცული ტყვილების დამაყუჩებელი და რუსთაველის სახელია სიმშვიდის მომგვრელი მაშინაც კი, როცა სიკვდილი თვალში შეცქერის.

ადამიანური გრძნობების სიძლიერით ვაკვისნა ამირანმა ტყუილი ძმის დაღუპვით ატირებული გული და ატირდა სხეც. როცა მტრის თავდასხმას გადაარჩენილგმა და სადილად ერთიმეორის გვერდით მიმჯდარმა მებრძოლებმა ვეღარ დაითვალეს ყველასათვის საყვარელი შოი. მკაფიო ფერებით დახატა ვ. კვიციანი იშვილმა ვეფხე კობახიძის იერსახე. ოპტიმისტური იუმორითა და ცოცხალი აზრით გამოირჩევა ვ. თანდილი იშვილი — ემზარ ჯიბუტა.

გრძნობიერი მამობრივი სითბოთი ადავსო მსახიობმა ი. ოსაძემ თავისი სცენური გმირი — ნიკო კულაშვილი. დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მსურველებზე მის მიერ ნაჩვენები წერილი, წლისა და ცხრა თვის ბავშვის პაწაწა თათი რომ ხატია და უნახავ მამას თავის არსებობას ახსენებს.

თამარ თეთრაძის მიერ შექმნილი ნადეჟდა ფიალკოვა სიმშვიდისა და გამძლეობის სიმბოლური სახეა. მისი დედობრივი ლოცვა გაჯერებთ, რომ ჯოჯოხეთურ წვალებაში მოხვედრილი ჯარისკაცები გაიმარჯვებენ.

მ. ბიბილიშვილს ნასტიას პორტრეტი მსუყე ფერებით და ორიგინალური მანერით აქვს შესრულებული. ნასტიას იერსახე კოლორიტულია, მაგრამ მსახიობის მოქმედებაში ჩრდება ისეთი ელემენტებიც, რაც ერთგვარად ანელებს მოვლენების ტრაგედიას და პაროდების ცდუნებისკენ ეწევა. ასეთია ჯონდოსთან ერთად აბანოში ჩასვლის ეპიზოდი.

თავისთავად ამ სურათს გარკვეული ფუნქცია აქვს. აქ ხდება მირიანის გრძნობების დაპირისპირება აბანოში ჩასულთა განწყობილებებისადმი. ვლავიკია რეჟისორის აპოკანაჟე: ნასტიასა და ჯონდოს ფლიგორულობით ერთგვარად შეამზადოს წინა სურათში მირიანსა და მაიას შორის ვალევიებული წმინდა გრძნობის თავგაუკუბულობის სახურების მოშლა და იმის უფლებების მიღება, რომ თვითონაც შეეროდნენ ჯვარდაღწერლად. ჩანაფიქრი სწორია, მანამდე ყველაფერი ლოგიკურად ვითარდებოდა. მაგრამ აბანოშიან ტანშიშველი ჯონდოს ამოსვლა ცივ წყალს ასხამს რეჟისორის ტაქტსაც და სპექტაკლის საერთო ესთეტიკურ აღქმასაც, მით უფრო, რომ ეს ეპიზოდი არც ნასტიას სულიერი არარაობის გამხსნელია და არც ამ ქალის მებრძოლ სულად გარდაქმნაში გვაჯერებს. ეს სრულიად სხვა ოპერის არიაა, რომელიც ამ მშვენიერი სპექტაკლიდან ამოვირდა.

წმინდანები ჯოჯოხეთში“ ღრმა-იდურობისა და მაღალმატრულობის პირველ მერცხლად აფრინდა შემოქმედებითი ძალებით განახლებულ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენიდან და თუ ასეთმა კარგმა დადგმებმა იმრავლეს, მასურებელი მადლიერი და არჩეუა.

«ჩვენ, მისი უდიდებულესობა»

რუსთაველის თეატრი, 1967 წლის 10 ნოემბერი
დრამატურგები — ჩიკაპა მარალიძე, სიმონ დოლიძე
რეჟისორი — გიორგი კაციაშვილი
მხატვარი — თოთა ლითინოვილი
მუსიკალური გაფორმება — იანაპო ბოზინიძე
ქორეოგრაფი — იური ზარმაია



სცენა სპექტაკლიდან «ჩვენ, მისი უდიდებულესობა»

ასეთი რევოლუციურობა კანონზომიერი გაგრძელებაა 1917 წლის რევოლუციურობისა. მუშათა კლასი 1917 წლის პოლიტიკური ბრძოლის ანაგარას წარმოადგენდა. ავანგარდია იგი 1967 წელსაც საზოგადოებრივი მოვლენების განვითარებაში, წარმოების ძველი ტექნიკური დონის შეცვლაში. აი, ამიტომ მივგაჩნია, რომ ეს სპექტაკლი პირდაპირ ეხმიანება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულსკვეთებას, რევოლუციურ მიზანდასახულებას.

თეატრის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მან ცხოვრებისეული რეალობით გამოიტანა სცენაზე ორთქლმავლის კვამლი შემარბული საწარმო, მაგრამ ეს-ოტეტურად სასიამოვნო სანახაობად აქცია იგი. სპექტაკლის შემქმნელთა დამსახურება ისიც, რომ მათ ხელა მოკიდეს ცხოვრების მრავალი კუთხით ჩვენებს, არ შეიზღუდნენ საოჯახო ინტიმურობით, არ შემოიფარგლენ საწარმოო თემატიკით, არამედ ცხოვრების ორივე მხარე — პიროვნული და საზოგადოებრივი — ერთმანეთს ბუნებრივად შეურწყეს. ხაზგასასმელია ისიც, რომ სხვა პიესებისაგან განსხვავებით, სპექტაკლის მთავარი მოქმედი გმირია არა მარტო ცალკეული პიროვნება, არამედ მთელი მასაც.

სპექტაკლის შემქმნელი მხარეზე სხვაც მტკიცედებს: იგი უძღერის შრომას, ხელმძღვანელებს, მემკვიდრეობით ხელსონობას, რაკი ბაბუა თავის საპატიო ადგილს შრომის საწყაროში სიამაყით გადასცემს შვილიშვილს. შრომის იდეალიზირება კი კეთილშობილური მოქმედებაა, რადგან მრავალიცხოვანი და მალაქვალდიცურობისა. საქართველო ახლა იმითაცა ძლიერი, რომ მისი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი უქანასუნელ ამ წელიწადში მომავლის საიდ განკურნებულ ჩაება მწარმოებლურ მოღვაწეობაში, ქმნის მატერიალურ დოვლას და ეკონომიკურად გაძლიერებულ იდეურ სამყაროსაც იფართოვებს, ესთეტკურ გემოვნებას იზრდის.

ყოველივე ეს დრამატურგული საწყისშიც დეეს, ლი-



ვენ, მისი უდიდებულესობა» — ასეთი წარწერა გამოიკიდა რუსთაველის თეატრის სარეკლამო დაფაზე, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, რომ მასში ძველი ცხოვრების, მეფის რეჟიმის დროინდელი მაღალი წოდების პერსონა იგულისხმებოდა. ჯერ პრემიერა არც იყო ნამდვიერი, რომ თბილისის თეატრალურმა საზოგადოებრივმა უკვე იცოდა რუსთაველელთა სურვილი — სცენაზე გამოეყვანათ ოქტომბრის რევოლუციის შემოქმედი პროლეტარიატის მემკვიდრე, ახალი საზოგადოების მშენებელი დღევანდელი მუშათა კლასი. არც ის უთიხავთ, თუ რა ეროვნების ადამიანებს იხილავდნენ, რადგან შრომელი მასა, მიუხედავად ნაციონალური განსხვავებულობისა, სოციალურად იმდენად ერთსახეობანია, რომ რუს მუშაში ქართველის იდეური მიზანსწრაფვა კომსუკვიციის და რუმინელი შრომელის სუნთქვავე იგრძნობა. ამით აიხსნება, რომ ჯერ თბილისელებს ნანახიც არ გვექონდა ეს სპექტაკლი, ბუქარესტის მცხოვრებლები კი მას უკვე ტაშს უკრავდნენ.

სპექტაკლის წარმატება ბიესის იდეურ-მატერულმა მხარემ განსაზღვრა. მაკურბელი ცმყოფილებით შეზღუდო რუსთაველელთა მონდომებას. ფართოდ გაედის კარი ეროვნულ დრამატურგიას, თანამედროვეობის თემატიკას. ასეთმა კურსმა კარგი ნაყოფი გამოიღო — შეიქმნა ქართულ მასალაზე აგებული შესამჩნევი ქვრეადობის სპექტაკლები.

ბიესის ავტორები რევაზ ეზრალიძე და სიკო ლიძე, აგრეთვე დადგმული რეჟისორი აქტუალურ თემას დაუყვანენ. სპექტაკლი ბუნებრივად ავხიანა საოქტომბრო-საიუბილეო ვითარებას. პრემიერა მრავალმხრივად სანერგესო, და უმთავრესად იმით, რომ კიდევ ერთხელ შეგახსენა მუშათა კლასის რევოლუციურ-პროლეტარული როლი საზოგადოებრივი მოვლენების განვითარებაში.

ავტორებმა შეგახსენეს, რომ სიტყვა «რევოლუციია» მარტო ზამირის სასახლეზე პროლეტარიატის იერიშად არ უნდა წარმოვიდგინოთ. რევოლუციურობა ვლინდება ჩვენი ცხოვრების ყოველ დიდსა და პატარა მოვლენაში. რევოლუციურობა სულისკვეთებამ მისცა ძალა ქართველ მუშებს ააგონ მოწინავე მყოფდებუ დაფუძნებული ახალი საწარმოები. რევოლუციური წინასვლისა და დაფუძნების გაბედულად მოცილების უნარმა აქცია საქართველო ერთ-ერთ ძლიერ ქვეყნად თანამედროვეობის მარტოველი მაღალი სულიერი და მატერიალური დონით.



რევისორი გიორგი გვაზდარავ



პეისის ავტორები: სოკო დოლოძე და რევაზ გვაზდარავ

ტერატურული ტექსტიდან მოედინება და ცინემატოგრაფიული ეპიზოდურობის სიჭარბის მიუხედავად პეისის ფორმაში თავსდება, რომელიც რევისორული სილაღისა და შემოქმედებითი ექსპერიმენტის საფუძველსაც იძლევა.

სპექტაკლის დამდგმელი გიორგი ქავთარაძე საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. იგი პირველად გამორჩნდა რუსთაველის თეატრის სცენაზე როგორც რევისორი და ძველი თუ ახალი თაობის მყურებელთა გასახარად და მავკერებელი შემოქმედებითი გამარჯვებაც მოიპოვა. სპექტაკლი ცხოვრებისეულია და ამავე დროს ამაღლებულიც. რევისორის შემოქმედებითი პოზიცია ნათელია — შექმნას ეროვნული იერისა და თანამედროვე ქვრადობის სპექტაკლი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ჩვენი ცხოვრების შემოქმედი ადამიანების ძარღვიანობა, თანამედროვეობის ხასიათი, ხმა და მოქმედება, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების რიტმი და ტემპი. ყოველივე ამის საჩვენებლად საჭირო იყო რევისორული წვდომის ფართო გეგმის მონახვა, სადაც ჩაეტოვდა აზრიანი სიტყვა და სიმღერაც, მეტყველი მამი და ფერიც.

რევისორი ყურადღებას ამახვილებს არა მარტო პერსონაჟთა ფსიქოლოგიური, თავისთავადი პორტრეტების გამოძიერვზე, არამედ ისეთი საერთო სცენური ატმოსფეროს შექმნაზეც, სადაც უფრო მაკაფოდ გამოვლინდება ფერადი ეპიზოდის შინაგანად გამართლებული სიძლიერე მომღერალ მოვლენებთან, სახიერად გამოიკვეთება გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და შრომობენ, გ. ქავთარაძემ რევისორული ხედვა გაამახვილა ცალკე ეპიზოდებით ასახმდ მთელ სურათებზე, რათა უფრო მდებარედ და ხატოვნად გამოეჩინა ადამიანთა განცდები, მათი სუბექტური და ობიექტური სურვილები, მისწრაფება და მოთხოვნები, სიხცდარე და სისწორე.

ასეთი მიზანდასახულების განსახორციელებლად რევისორი იყენებს სცენური გარდასახვის ყოფით და პირობით ხერხებს, რომლებიც არა მარტო განსხვავებული არიან ერთმანეთისაგან, არამედ ერთმანეთსაც ავსებენ, მეტყველ, მოქმედ და აზრობრივად საინტერესო სანახაობად იქცევიან. იგი მართებულად მიმართავს ქორეოგრაფიული და მუსიკალური თხრობის ძალასაც. ფინალურ სცენაში იურიან ზარცკის მიერ დადგმული საწარმოო შრომის ამსახველი მასობრივი პანტომიმური სცენა სპექტაკლის ორჯანულ მოთხოვნად იქცა. ამ ეპიზოდში ემოციურ ხატებათა მძაფრი დაპირისპირება ხდება თენგიზ სამხარაძის განკერძოებულ გრძობებსა და მთელი მასის შრომით ერთიანობას შორის, საკუთარ ძალაში ზედმეტად თავდაჯერებული პიროვნების დამარცხებასა და საერთო ძვირებუში დაწმენვულ მუშათა კოლექტივის გამარჯვებას შორის. რევისორმა ეს მიზერ — მეტყველი ეპიზოდი მთელი სპექტაკლის ამაღლებულობის მხატვრულად ხორცშესხმულ რედურ კრემინდოდ ააყდერა.

ასევე საინტერესოდ აქვს გადაწყვეტილი გ. ქავთარაძეს პირველი ელმავლის მაკეტის შექმნის სცენაც. ყოფილი ორთქლმავალ-სარემონტო ქარხნის მუშები ანალიზს უყეუებენ რა თვიათნ შემოქმედებო-საწარმოო უნარია-ნობას, ერთ აზრობრივ და ფიზიკურ ძალად იკვრებთან სრულიად ახალი პროდუქციის, ელმავლის თბილისური ნიშუმის გამოსაშვებად, ქარხნისა და რექტორის კაბინეტში მავიდაზე დადებულ ელმავლის მაკეტს დაპყრებენ ენთუზიასტიკ ადამიანების თვალეები. მათ სახეები არ უჩანთ, ცხედგომ მხოლოდ მეტყველ ზურგებს და ართქლილ თუთუნის ბოლს — ერთიანობისა და ერთი მიზანსწრაფვის სიმბოლურ სუნთქვას. ამ თავდახრილთა ფიგურებში იკითხება ამაღლებული ოცნება და რწმენა, ჩანაფიქრის განხორციელების სურვილი და უნარი. ფსიქოლოგიური საღე-



ბავები დაწერილი ეს ეპიზოდი კიდევ უფრო მძაფრდება და ფართოდება გულიდან მოდინილი ღღინით, რომელიც შრომითი შემართების კომპონს გადაისხ. წვლან მაგიაზე თვადახრილი მუშები ახლა წელიწადწინადღიან და ხელში აღმართული ელმავლის მაკეტის სიმბოლორად მიპაზებენ ამაღლებულ სიგრცეში, რათა მათ რევოლუციურ-მექნიკურ ჩანაფიქრის ფრთა შეესას. აქ, ამ სცენაში რეისორმა ბუნებრიობით გამოიყენა სიმღერის ენა და მუსიკალური კომენტარით კიდევ უფრო ხატოვანი გახადა ადამიანთა სიტყვიერი და პლასტიკური მოქმედების ქარგა. მუშების ერთსულოვნებისა და მიზანდასახულობის პროგრესულობის გამოსაკვეთად ფერწერულ-გრაფიკული შთამბეჭდაობის ძალაღ მთიშევიდა, სცენის სიღრმეში ჩნდება ლენინის პორტრეტი, რომელზედაც ასახულია რწენა — შემართებულობით გამოწვეული კმაყოფილების ღღინილი.

მაგრამ ამ ბრწყინვალე სცენას წინ უძღვის ორთქლ-მაგალ-შემკეთებელი ქარხნის დაკეტული უკმაყოფილო და აღფრთოვნილი მუშების შემოსვლა, რაც ჩვენის აზრით, დრამატურგიულადაც მყარად არის ჩაფიქრებული და რეისორულადაც გაზვიადებულადა გამოხატული. ყალბად გვეჩვენება ქართული მუშების ასე აფორიაქებულიად წარმოდგენა. ისინი მხოლოდ იმას გრძნობენ, რომ იხურება ძველი საწარმო. მაგრამ აბსოლუტურად ვერ ხედავენ ქარხნეკეტვას. თვითული მათგანი წინააღმდეგობა ძველი ქარხნის დახურვისა მხოლოდ იმიტომ, რომ „აქ დაიბადა და აქ უნდა მოკვდეს“ ან „აქ მუშაობით მოძერა ჭობა“. ასეთი პრიმიტიული კონფლიქტი, ჩვენის აზრით, ხილოვნურადა გამოგონილი. არც ისაა გამართლებული, რომ მუშები უაზრო, მექანიკურად აღფრთოვნულ მასადა გამოყვანილი, რომელთა შორის მხოლოდ ერთი, ძველი მუშა სერგო სამხარაძე გამოირჩევა აზრგანსილობითა და წადილის ჩამოყალიბების უნარით. ყველა დანარჩენი კი ან „რვა ნომრის ღღინის“ არგუმენტებით ასაბუთებს თავის მოთხოვნას, ან მთელ თავის ტემპერამენტს გულში მუშტის დარტყმით ავლენს. თბილისის ელმავალ-გამომშვები ქარხნის პრობლემა ათიოდე წლის წინანდელი ამბავია და იმ პერიოდის მუშათა მასა სრულიად არ გავს იმას, რაც სცენაზეა ნაჩვენები. პირიქით, რამდენადაც ცნობილია, სწორედ მუშების ერთობლივი მოთხოვნითა და განჭვრეტით გადაწყდა ელმავლების გამოშვების საკითხი და არა მარტო რომელიმე ერთი დღადა შეგნებული მუშის გამორჩეულობით. რეისორის სჯობდა შეეცევა ამ სცენის დრამატურგიული მასალის გაზვიადებულობა და ეჩვენებინა მუშების შეგნებული როლი პროგრესული მოვლენების გარკვევაში.

იქნებ მუშებმა მართლაც არ იციან, რომ შესაძლებელია ძველი ორთქლმავლების შეკეთების მაგიერ ახალი ელმავლების გამოშვება და ამიტომ ძველის ინერციით ახალს ეურჩებიან? არა, ეს ასე არაა. მუშა მამედოვი, რომლის პორტრეტსაც სანტიერსოდ ქმნის ს. ისნელაი, საყვედურითაც კი მიმართავს ქარხნის მთავარ ინჟინერს: მთელი თვე რაღას მამუშავე ელმავლის მაკეტის გაკეთებაზე თუ

არა გჯეროდა მისი განხორციელებისაო. იციან ეს სიმამრ-მაკ, რადგან ამაზე დაფიქრებ ქარხნის დირექცია და სამმართველო. ცალკე მოწინავე მუშები და კონსერვატორული მოხელეები. იციან ყველამ, რადგან მათი გულისსერი ერთმანეთისაკენა მიყრობილი და ცალცალკე მყოფი ერთობლივ საქმეზე ბჭობენ და ზრუნავენ. ასეთი შეგნებულობა თავს იჩენს სპექტაკლის ბოლოში, მაგრამ რატომ არ ჩანს იგი დასაწყისშიც?

ამის გამოსწორება არც ახლაა გვიან, რადგან მასის აღფრთოვნილების გაზვიადების მოცლება და ხელოვნურად აყვირებული მუშების შეცვლა მათვე დეფინიტული მოქმედებით, ოღნავადაც არ მოითხოვს გ. ქავთარაძისაკენ სპექტაკლის რეისორული ინტერპრეტაციის შეცვლასაც.

გაუმართლებელი დეტალიზირებად მიგვეჩვენა სამხარაძეების ოჯახში სადილობისა და ჩაის სმის ეპიზოდებს ხაზგასმულად ჩვენებდა. თავისთავად ეს ხერხი, შესაძლოა, ბუნებრივად აღიქვა კინოფილმში. სპექტაკლში კი სახიფათოა, ზოგჯერ არა ესთეტიკურიც, რადგან მაყურებელი ვითრება მოქმედების არს. მან იცის, რომ სადილს ვერ მოამზადებდნენ სპეციალურად სპექტაკლისათვის. იგი ირონიულად იუბრებს მსახიობის მოქმედებას და თან კითხვას სვამს: — „რას მიირთმევს“? მსახიობიც უხერხულ მდგომარეობაშია, რადგან ცდილობს მართალი სურათი შექმნას, მაგრამ ყველა ხედავს, რომ ცერობს, ხელოვნურობს. სპექტაკლ „წმინდანები ჯოჯოხეთშიც“ ვხვდებით ასეთ ეპიზოდს, მაგრამ იქ მსახიობები და რეისორი ხაზს უსვამენ სასიკვდილოდ განწირულთა ადამიანურ შიმშილს, — ჭამენ ჯარისკაცის კოვზით, რათა ჩაყლაპონ მეგობრის დაღუპვის ამბის გაგებით ყელში მოჭყენილი ნალღველი.

გ. ქავთარაძის სპექტაკლში კი სადილობა — ვახშობა

სცენა სპექტაკლთან





ბის ეპიზოდებს ამგვარი „აზრობრივი გემო“ არ გააჩნიათ და ამიტომ მსახობი „უგემურად“ მიერთმებს და მაყურებელიც დაუკმაყოფილებელი რჩება. ჩვენთვის ვასაკებია, რომ რეჟისორის ასეთი სცენური მოქმედება სჭირდება ოჯახის წევრთა ცივი დამოკიდებულების გამოსახატავად, მაგრამ შეძლებოდა უფრო უზნაბრი და თანაც ესთეტიკური სხვა რაიმე მიზანსაცენის აღება.

სექტაკლის ნათელ და ოპტიმისტურ განწყობას მნიშვნელოვან ძალას მატებს იაკობ ბობოხიძის მიერ გააზრებულად შერჩეული მუსიკალური ნაწყვეტები, რომლებიც არა მარტო სცენურ გმირთა ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და მოქმედი მოვლენების სხვახორივი კომენტირებას, არამედ მთელი სექტაკლის ხასიათსაც ავლენს და ამასთან სახვითად მინიშნების ფუნქციასაც ასრულებს. აზრობრივი დანიშნულების მატარებელია თენგიზისა და ლიას ტელეფონით საუბრის დროს მუსიკალური თანხლება. რეჟისორი და კომპოზიტორი ამ ეპიზოდის დასრულების შემდეგ გვასმენინებენ მუსიკალურ ნაწყვეტს, რომლის გრაციოზული, მორთოლვარე მელიოდა გამომსახველად და მკუთარეულურად მიგვანიშნებს თენგიზისა და ლიას მსუბუქ ვატაკებაზე, ზედაპირულ დამოკიდებულებაზე.

სახვითად წარმოგვესახა ლენინგრადის სადგურში მატარებლის უხილველად შესვლის ეპიზოდიც. ისმის რუსეთის სადგურებთან მიახლოებისას გაკონილი რუსული პარაურული სიმღერა, რომელშიც მატარებლის სწრაფვაცა და ვაკონის ფანჯრიდან ახლობულის პერონზე დანახვის მოთუშენელი წყურვილიც. სიმღერა განსაკუთრებით ნიშანდობლივად გვაგონებს რუსეთის სადგურის მუშაკებისათვის დამახასიათებელ სწრაფვას — შექმნან მხიარული განწყობა მეზავერებში. ამ რკინიგზულმა მელიოდიამ საუკეთესოდ გვაგრძნობინა ლენინგრადის ატმოსფეროში სერგო სამხარაძის მოხვედრა.

მატარები ოთარ ლითანი იშვილი ზოგჯერ მცირე, ხან კი გრანდიოზული მასშტაბების სიერცობრივ-ნივთობრივობით მოსავეს სექტაკლს და ყველა ვითარებაში დამაჯერებელ გამართლებას პოულობს. პირველი სურათი

ე. მაღალაშვილი — თენგიზი, ი. ჩინჩიბაძე — პავლე, ე. აფხაძე — დარბაზობი



გაკეთებულია ყოფითი რეალურობით, ბოლო კინოაქტის მსგავსი მონუმენტურობით. მხატვარმა უკანა და გვერდითი კულისების ფარდების ჩამოხსნა — გამოშვლებით კიდევ უფრო მეტად შემოსა სცენა. მაყურებელს შეეძენა გიგანტური ქარხნის ჭერმაღალი სააქტროს ინტერიერის შთაბეჭდილება, მისთვის დამახასიათებელი კედლის ფაქტურითა და პაეროვნებით. ო. ლითანიშვილმა დისკოზე დააბრუნა სხვადასხვა განწყობილებების, დროისა და ატმოსფეროს შემქმნელი სცენურ-ნივთობრივი მოედნები. საამქროები, საცხოვრებელი ოთახი, საქარხნი და სამინისტროს კაბინეტები. რეჟისორი და მხატვარი სცენური დისკოს ბრუნვას და მსახობთა მოძრაობას ერთობლივი რიტმული მოქმედებით კრავენ და მთელ სექტაკლს ფერწერულ-სკულპტურული ვალსტიკურობით ამტკაცებენ.

შთაბეჭდავია თევზაობის სცენაში ბებერი ჩავლილი წყალის მხანველი, ბებერ ფეხებზე დაბჯენილი ხე, რომელიც მხატვრული ვალსტავადებით ცხოვრების მოუღრღნელ და ფეხებმოდურგველი ბერი კაცის აუეროიარას წარმოადგენს. მხატვარი და რეჟისორი ამ განზოგადებული დეკორაციული ელემენტით კიდევ უფრო მკაფიოდ აჩენენ ბიესის მთავარი გმირის — სერგო სამხარაძის ფსიქოლოგიურ თვითმყოფადობას და ფიზიკურ წაუქცევლობას.

ღიას, სწორედ ასეთი, ცხოვრებაში ღრმად ფესვავადებული, ღონიერი და პატიოსანი მუშის სცენური იერსახე შექმნა სერგო ჯეკარაძემ. მისი პორტრეტი საოუარო მკაფიოზობაა ნაძერწად და არაჭეულებრივი სითბოთი ნახავი. მსახობმა ვეჩიგენა კეთილშობილი ბუნების ძველი მოდგმის მუშა, რომელიც ახალი თაობის ხალხისთვის არის სასვე, იგი თავისი რწმენით ძველებურად ძლიერია, მაგრამ ჯანღონით უკვე მოტეხილია როგორც ის ბებერი ხე.

მსახობი ოსტატურად არებს მოხუცი გმირის გარეგნულ სიმშვიდეს ახალგაზრდულ სულიერ დაუღვრომლობას. ზაქარაძე-სამხარაძე საკუთარი სიყოფის მიზანს ხედავს მარად განახლებადი და ესაა სათავე მისი ბრძოლისწარაინიშნობა და კეთილშობილური გარჯისა.

სექტაკლი სამხარაძის ავადმყოფობით იწყება. მისი გული ვადაიქანცა ისე, როგორც ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის სხეულიც. მეგობარი მუშები ყოველ საღამოს მოდიან, ავადმყოფი ოსტატის სანახავად, ისეთივე სითბო-ნივთობრივით, როგორითაც მიდიან ყოველ დილას დაბერებულ ქარხანაში. რაღაც საერთო და სიმოლოურია მომეხულ ქარხანასა და დაბერებულ მუშაკებს შორის. საერთოა იმაშიც, რომ ქარხანა ანახლებს მოქმედებას და მოხუცი ოსტატიც აგრძელებს ცხოვრებას საკუთარი შვილიშვილის მხარაში ამოყენებით.

ფსიქოლოგიური სახეების სიმრავლითაა გამორჩეული სამხარაძის ლენინგრადიდან დაბრუნების სცენა, რომელშიც საზოგადოებრივი საქმის წარმატებით გამოწვეული აღტაცება სახიერად შეუპირისპირდა ოჯახური უსიამოვნებით წარმოშობილ გულგატეხილობას. ზაქარაძე ამ რთულ

განწყობას დიდი ექსპრესიითა და დრამატურობით ავლენს. აქტიური მაღალი ოსტატობით ატარებს შვილთან საუბრის სცენასაც, როცა დიალოგის მახვილი ცხოვრების ფილოსოფიურ განსჯაზე გადატანილი: მამა საზოგადოებრივი მოვალეობისაკენ მოუწოდებს. შვილი კი პირადული იზღუდება. ამ ეპიზოდში გზედვით ზაქარიაძის სამხარაძეს მამად და მეგობრად, ვისაც სურს ღრმად გაეჩვენოს შვილის გართულებულ ცხოვრებაში, მის დაბნეულობაში, შშობლის გზიდან გადაცდენის მიზეზში. თავისთავთან განმარტოებულად დარჩენილი ძველი ოსტატი და მოხუცი მამა ერთი წუთით ღრმა ფიქრებს მიეცა და თითქოს რაღაცას ჩასწევდა კიდევ, მაგრამ საზოგადოების ხმა მარტოდ არა სტოვებს და კვლავაც თავისკენ უხმობს: „წამოდი, ნახე, ფოლადი რამოვიდაო“!..

— დამაცალეთ, დამასვენეთ.... თქვე უღმერთოებო, დამაცალეთ აღარ შემიძლია მეტი — გულიდან უნებლილი მოგარდნილი მღვდვარებით უსაყვედურებს საიადლებს მოძალებულ ხმას. ამ მომენტში მსახიობი დროის ძალზე მცირე მონაკვეთში მოუხელებელი ფსიქოლოგიური ნიუანსებით ოსტატურად გვაგრძნობინებს თავისი გმირის არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ დაღლასაც. მაგრამ როცა მის წინ ცოცხალ კაცს დაინახავს, მარტობას გამოეთიშება და ისევ საზოგადოებრივი საქმისაკენ, ცხელი ქურთასკენ გაიწევს. მისი ცხოვრება იქ დაიწყო და იქ უნდა დამთავრდეს.

ს. ზაქარიაძის მიერ შექმნილ ამ დიდად მეტყველ სცენურ იერსახეს გვერდში ამოვლდა ძვირად მფლავარად, მაგრამ ისიც არაჩვეულებრივად მეტყველი ბესო, რომელსაც ბრწყინვალედ წარმოსახავს ბ ა დ რ ი კ ო ბ ა ხ ი ძ ე. კობახიძის — ბესო აბსოლუტურად სხვა ბუნებაა და აქტიორული გამომსახველობითი ზერხებითაც სრულიად სხვაგვარად გახსნილი. მსახიობმა თავისი სცენური გმირის სულიერი სიღამაზე გვიჩვენა ფსიქოლოგიური თვითანალიზით, ცხოვრების მოვლენებთან ფარულ კონტაქტში. იგი ბესოს იერსახეს ძერწავს ფაქიზი შტრიხებით და პატარა სიჩუმით დიდ ხმას წარმოშობს. ბ. კობახიძის მიერ მოძენილი რბილ მოძრაობებში მკაფიოდ ეკითხება გმირის ბუნებისთვის დამახასიათებელი ოცნება და მისი განხორციელების ეჭვი. ბესოზე ფიქრისას მისი პორტფელის მეტყველება ესაზღვრება: იგი მოცულებე პიროვნებაა და თავის ჩანაფიქრს უკარგეობით თვორიულ ჰიპოთეზად თვლის. პორტფელში აიხუნებს იმას, რაც ქარხნის კოლექტივს უნდა მიაწველოს, მაგრამ მუდამ დაქვემდებოლი ნელ-ნელა იცრებს შინაგანი პროტესტის ძალას და სხვების უნდობლობით ამოძრავებული ბოლოს მაინც ძლიერად იფეთქებს. თავდაპირველად გაუბედავი იდეებით სავსე პორტფელს ხელში, ცხარე ფარულად დაკავშირდება. შემდეგ კი როცა მისი სკოლის ამხანაგი, ახლა კი უფროსი, თენგიზ ბესოს პორტფელს იატაკზე ისვრის, — ინერტიული ხასიათის მოთავარი ინჟინერი პროტესტის ძალა იფეთქებს, ოლიმპიური სიმშვიდე ქრება და უმოქმედობა შემართებად იქცევა.



ს. ზაქარიაძე — სამხარაძე, ლ. ლამბაძე — მარიაში, ტ. ყველაძე — დათო, გ. გუბუნია — თამარო.

ბადრი კობახიძე ამ ეპიზოდს ძლიერი შინაგანი უშუალობითა და აქტიორული ოსტატობით ატარებს ისე, როგორც მთლიანად მთელ როლს და შთამბეჭდავ სცენურ იერსახედ იკვეთება, და არა მარტო აქ, ამ სექტაკლში, — მთელს თავის შემოქმედებაშიც.

კოლორიტული იერსახე შექმნა ლ ე ლ ა ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე მ. მისი გარნიში მოხუცი ოსტატის ენადადმუხბული მეუღლეა, რომლისთვისაც წყევლა აღერსად გადაქცეულა. მსახიობი მხატვრული ტაქტით მოქმედებს და მთავარ დრამატურგიულ მოვლენებს ხან მუხტავს, ხან კი განწუხტავს. სერგო სამხარაძე მთელ ქარხნის სულია, მიაჩნ სამხარაძე კი ქარხნის სათაყვანო ოსტატის ენაქილია გული, რომელიც თითქოსდა მუხრან მაჭავარიანის „მამილის“ დაუზოგავობით იწყველება:

„მამია ვინმეს დაზოგავს ანა? ფილაქვასაეთი იფეთქებს ბოლში, „მეწას აურის“ და „მარხას“ მთელ სოფელს (განსაკუთრებით ახლო მეზობლებს), მაგრამ არაინც კვდება“.

ლამბაძის მიაჩნე წყევლის და მარხავს, მაგრამ ყველა კარვად გრძნობს თავს. მსახიობი ისეთი ნიუანსირებით წარმოთქვამს ამ სიტყვებს, რომ ქვეტექსტად ყოველთვის უზომო სიყვარული გამოსჭვივებს. ლამბაძის მარიაში ასეთი მოქმედებით მხოლოდ აფხიზლებს და ახარებს ახლობლებს, მათ შორის თვით ზაქარიაძის სამხარაძესაც, რომელიც არ იციწყებს ანხლი მეგობრის სიყვით სავსე გულს, მასთან გატარებულ ახალგაზრდობის წუთებს იხსენებს და უშერის. მღვდვარე და წარუშლელია ეს ინტიმური დუეტო, რომელსაც შვილიშვილი დათო გიტარაზე დაკვირბი იწყებს და ბებია-ბაბუს ლამაზი წარსულის უკვე ჩავლილ სიმღერად იქცევა.

ახლა კი ტ რ ი ს ტ ა ნ ყ ვ ე ლ ა ი ძ ე მის განსახიერებულად დათომ უნდა ააწყოს საკუთარი სიმღერა, ცხოვრებაში სამოღვაწეოდ შესული ახალი თაობის ადამიანის ჰმნი, რომელსაც წინ ბაბუსავით დიდების გზა



უდევს. იგი წინაპრის ნაკვალევს იმედინად ვაყვება და ბებიას „წყველაც“ არ დაეიწყებდა — თვალს არ მოახუჭინებდა. ყველაძის დათო მამით ობოს და დედისაგან მიტოვებულ. ძლიერი და ლამაზი სულის ახალგაზრდის იერსახეს ქმნის. დათოს სცენური მოქმედება დრამატურ-გიული დინების შუავალდებულ მოექცა და მსახიობს შემოქმედებითი გამარჯვება მოუტანს.

ე დ ი შ ე რ მ ა ლ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს თენგიზი ისეთი დრამატურული ფუნქციის მატარებელია, რომელმაც ყველამოტივების და საზოგადოებრივი წმინდა მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე უნდა გამოიყვანოს სხეფი. — მამა და ძმისწული. ბუნებრივია, ეს ამოცანა ფსიქოლოგიურად წამებულ მოზობივლებლის აკუთვნებს როლს. მიუხედავად აქტივობის ცდისა, რომ მისი თენგიზიც იყოს ისეთივე, როგორც მამაა. დაიხ. ასეც არის: მაღალაშვილის თენგიზი უფრო ნაწარსულია, ვიდრე უწყველი მამა, მაგრამ სწორად მის სიბრძენსა მოკლებული. იგი უფრო სუფთად გაპარსულია, მაგრამ ჩამოუბერტყავი სულიერი მტკივნეული სავსე. მსახიობი დადებითი და უარყოფითი სცენური გმირის ორსახეობას შუა მიმწყვედელი და არ შიძლება ითქვას, რომ დრამატურების მიერ განმარტებულ-მა მისმა ცხოვრებისეულმა ფილოსოფიამ რაიმე გამოსარჩევი მორალთი ადავსო იგი. ამით აიხსნება, რომ როლის ფსიქოლოგიის საჩვენებლად მსახიობი მიმართავს მხვედრულ-მოძრაობებს, ხისტ ფერებს, ზოგჯერ კი უკვე ნახ-მარ ბერებს, ნაცნობ მიმოკურ პლასტიკურობას და სამწებროდ სხვა როლებიდანაც ვამოყოფილ ვარტენულობასაც.

თენგიზის პორტრეტის სიცივემ ერთგვარად განაპირობა გურანდა გაბუნიას მიერ კარგად მიგზნებული თამარის სულიერი წინააღმდეგობებით სავსე სცენური გმირის მრავალმეტყველება. დრამატურგებმაც მისცეს ღრმა სუთთქვის და სცენურ მოვლენებში შუქრის საშუალება. რეჟისორის გუმანმაც ვაიყვანა თამარი მომგებიათ მოზივიანე, მაგრამ, როგორც სჩანს, თვითონაც არ დააკლ ნიჭი და ისტატობა სცენური ამოცანის ვადსაჰრულად. გ. გაბუნის ბედნიერი თამარის იერსახე ნელ-ნელა განწირულების იერს იღებს და ეს აღვირებს დრამატუზმის ვანვითარების შომაგუვდობას, მისი ცხოვრების სინანულით აღქმას, სამხარაძეების ოჯახისა და სამხარაძეების საზოგადოებრივი გამორჩეულობის ერთმანეთისაგან დაცილების მკაფიოდ დანახვას.

ვერ დავთახანხებთ კახი კაცისაძის მიერ ელ-მავლის მემანქანის პორტრეტის შექმნის ხერხებს. თუნდაც რომ იგი რეჟისორული კარნახის ზუსტ შესრულებას წარმოადგენდეს. ამ ნიჭიერ მსახიობს მკაფიო სავლდაგებიათა და პლასტიკური ხაზებით გამოხატვის დიდი ძალა გააჩნია. იგი შინაგანად მოქმედი ლაკონური და კლასიკური იერსახეების შემქმნელია. ვაგინენით თუნდაც „ჰინტრაქა“, „ღვთაბერგი კომედია“ ან „სიბრძნელ სიყრუისა“. აქ კი იგი ვარტენული, ფორმალური და ციხე სულიერი აღ-შფოთებით მოქმედებს, თავისი ეფექტური მაღალი ფიკუ-

როთა და გრძელი, ყოველთვის მეტყველი მკვლევარის ხელ-მეტად აფორიაქებულობით აზრის დინებას წინ უსწრებს. კაცისაძის მემანქანე ძალზე ბევრ ორთქლს უშვებს და მხურეუბნი არ ყოფნის დრამატურული მოვლენების დინებაში ნაძალადევად ჩართული ტემპერამენტის შესაოკებლად. ყვირილის შესანებლად.

ამ თვალსაზრისით უფრო მომგებიათ მდგომარეობაში აღმოჩნდა რ. ბარამიძის — თუშოვილი, შინაგანად კაცისაძის მემანქანესაგან მველვარე და ძლიერი, მაგრამ მარტო კუნთებსა და გულადობაზე დაყრდნობილი კი არა. — წინდახედულიც, სხვისი მომსმენი და გამსჭვალცი.

დრამატურგების მიერ არც თუ მხატვრულად დიდად გამდიდრებული პავლის იერსახე ანსამბლი სწორად ჩასწერა ი. ჯინჯიბაძემ. ძველისა და ახლის ღრმად შემცნობი ხელმძღვანელის იერსახე შექმნა ემანუელ აფხაძემ. მსახიობი თავშეკვებული იუმორით და ვარემოზე ზემოქმედი კაცის ლაკონური, მეტყველი მოქმედებით აცოცხლებს მმართველის პორტრეტს. კარგი შობაგუ-დილება დასტოვა მიხეილ ჩიხლაძემ მიხის როლის სიგრძე-სიმაღლის მოზომვით და ვაზარებით. სცენურ-პორტრეტზე შემოქმედებითი მუშაობით და ახალი საღებავების გამოყენებით გამოირჩა ნოდარ მარგველაშვილი ნოდარის წარმოსახვისას, რომელიც საქმესაც და სხა-გამასაც, ვაჭირებსაც და დალხინებასაც ერთნაირი პატიოსანი მონდომებით ეკიდება.

დრამატურგიული კონფლიქტის გამძაფრების ეპიზოდური ფუნქცია ითავა სახალხო მეურნეობის საშუალო თავ-მჯდომარის მოადგილის როლში სალომე ყანჩელმა, რომლის სწორმა და კვლუცა აქტიორულმა ინტერ-პრეტაციამ ძველი მემანქანის საყვედურს ქალის „უფრო-სობაზე“ პეკული იუმორის იერი მისცა.

ლაკონური მინიშნებით დახატა გურამ სალარაძემ სავეგმო კომისიის თავმჯდომარის იერსახე. აქტიორული სხვადაქცევის ნიჭიერება მაშინაც მინისტიის მდივნის როლში თამარ თარხნიშვილმა. კარგია გიორგი სალარაძის მიერ წარმოსახული პროფესორის პორტრეტი.

დასამახსოვრებელი იერსახეები შექმნეს მერაბ გეგეჭკორმა (საფინანსო განყოფილების გამგე), გ. თალაკვაძემ (გეოლოგი), ელდარ სახლთხეიციშვილმა (ელდარი), გ. ჭიჭინაძემ (ჭიჭო), გ. გოგავამ (ინგანოვი), თ. გაბუნიაშვილი (თეო), შ. ევსუქიანი, თ. სისაურმა, დ. ჩხიკვაძემ და ე. ჭავჭავაძემ.

ორმოქმედებიათ სპექტაკლი „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“ ორ აზრს არ იწვევს. — იგი რუსთაველის თეატრის მიერ ბლოკ წლებში ქართულ თემაზე შექმნილ საუკეთესო დავამათა რიცხვებს შავს. სასიხარულოა და მისალიცი, რომ ქართულ მასალაზე ვაკეთებულ კარგ სპექტაკლებს — რ. სტურუას „შინა დაშენ“, გ. ჟორდანიას „ხოვანი მინდიას“ და მ. თუმანიშვილის „გვალი ბიკვას“ გიორგი ქავთარაძის „უდიდებულესობაც“ ამაღლებს.



კარბე მოღვებამ თავის გოგონა ჭეიხინით



კეტე კოლვიცი დასაფხვი მარცვალ არ უნდა დაიფუქას...

მხატვარი კეტე კოლვიცი და ჯარისკაცი ქეთევან პოლუხაიკი

მედია აფრიდონიძე



ნობელი გერმანელი მხატვარი ჰალი კეტე კოლვიცი 1927 წელს საბჭოთა კავშირში ოქტომბრის დღესასწაულზე იყო მოწვეული. რუსეთმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მხატვარზე. გერმანიაში დაბრუნებული სწუხდა, რომ კავკასიას ვერ ეწვია, რადგან იმ დროს მისი ქართველი მეგობრები საზღვარგარეთ იყვნენ მივლინებულნი.

კეტე კოლვიცი კენიგსბერგში დაიბადა. ხელოვნების სკოლა ვეროპის საუკეთესო ოსტატებთან გაიარა. იმთავითვე მხატვრის შემოქმედებითი მიზანი იყო სოციალური უსამართლობის მხილება; ადამიანთა სახეებს ასახავდა სიმართლით, შეუღამავებლად, გვირგვინებდა მათ, ცხოვრების მიმე პირობებით დაჩაგრულთ. მხატვარი ჰალი ბოლომდე ერთგული იყო მშრომელი ადამიანების თემისა, რომელზედაც იგი მუდამ სიყვარულით მუშაობდა.

კეტე კოლვიცი XIX საუკუნის ბოლოს ქმნის ეპიკურ სერიას „მქსოველთა აჯანყება“, რომელზეც ყოფილი სურათებია აღბეჭდილი. ამას მოსდევს სერია „გლეხთა ომის“ თემაზე. ფურცელზე „აფეთქება“ აჯანყებული ხალხის მივინჯარებაა გადმოცემული კომპოზიციაში, რომელიც ხანჯლის წვერს მიაგავს. ეს ფურცელი 1905 წელს საქართველოში, ჭიათურაში მოხვდა. ჭიათურის პროლეტარიატი ერთ-ერთმა ბელადმა კარბე მოღვებამ საიდუმლო თათბირზე აკაკი წერეთლის ფელეტონი „ახალი ამბები“ წაიკითხა. მეტერბურგელმა კომუნისტმა კარბეს კეტე კოლვიცის სურათი „აფეთქება“ აჩუქა, რომლის იდეა საერთო-საკაცობრიოა და მოუწოდა ჭიათურულ მუშებს: „უქაბლოტატორთა ყელთან მიზევნილ ხანჯალს დაემსგავსეთ“.

ასე შეხვდნენ პირველად კოლვიცი და მოღვებამ. 1905 წლის აჯანყების დროს მოღვებამ ციმბირში გადაასახლეს. კოლვიცი ბერლინში თავის ეპიკურ ციკლს „ბრძოლის ველს“ აგრძელებს. მისი ყველა ნაწარმოები, ტრაგიკულიც კი, აღსავსეა იმედითა და ბედნიერების წყურვილით. უნდა აღინიშნოს ერთი დამახასიათებელი ნიშანი: მხატვარი მხოლოდ მშრომელი ხალხის ასახვით არის გატაცებული; გაბატონებულ კლასს მის ხელოვნებაში ადგილი არ ეთმობა. პირველი მსოფლიო ომი კოლვიცმა აღიქვა როგორც საშინელი საზოგადოებრივი და პირადი ტრაგედია. იგი აქტიური პროტესტით გადმოიღის სისხლისღვრის წინააღმდეგ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით გერმანიაში უდიდესი რევოლუციური აღმავლობა დაიწყო, რაც 1918 წლის ნოემბრის რევო-

ლუკით დაგვირგვინდა.

კონტრრევოლუციურმა ძალებმა გერმანიის პროლეტარიატის ბელადი კარლ ლინკენბერ სივოცხელს გამოასალმეს. კ. კოლელი ამ თემაზე ემოციურ გრაზიურას უკმნის. მშრომელთა შკაკრი სახეები უღრვე ნებისყოფას გამოხატავენ. ტილო პეროკული ხასიათისაა.

რევოლუციურად განწყობილი კარვე მოღვაძე, რომელიც ციმბირიდან ახალი დაბრუნებული იყო, მენშევიკურმა თეორიამ კვლავ დააპატიმრა. საბოლოოდ სამჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა იგი. კ. მოღვაძე განსაკუთრებული დედალებით ხშირად მიემგზავრებოდა სახლდარგარეთ. ერთ-ერთი მოგზაურისთვის დროს შეხვდა იგი კეტე კოლუმბს.

ამ პერიოდისთვის კოლვიცი სამხატვრო აკადემიის პროფესორია; იგი გატაცებულია პლაკატებით, რომლებიც მიუღი მსოფლიოსკენა მიმართული: „პური“, „გერმანელი ბავშვები შიმშილით“ — მოწოდებასავეთ განხიანდა.

1927 წელს კეტე კოლვიცი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა და გული დაწყდა, რომ მისი ქართული მეგობარი კვლავ სახლდარგარეთ იყო წასული.

1931 წელს კოლვიცი ლითოგრაფია „დემონსტრაციაზე“ მუშაობს. მან აღბეჭდა თავისი დუშალო შთაბეჭდილებები იმდროინდელი გერმანიის პოლიტიკური ცხოვრებიდან. მამის მხრებზე შემჯდარი პატარა ბიჭუნას სიხარულით გაბრწყინებული სახე ცხოვრებისეულ ოპტიმიზმს გამოხატავს.

ქეთევან მოღვაძე



ამ დროს კარვე მოღვაძე ბერლინში იმყოფება. მას სამკურნალოდ ქავეს წაყვანილი უმცროსი ქალიშვილი ქეთევანი. კოლვიცი მოფფერა ბავშვს და გოეთეს სიტყვებით მიმართა: ქეთო, შენ იმ ქვეყნიდან ხარ, სადაც ცირკუსები ჰყავის! ...გერმანულად შენ კეტე ხარ. ესე იგი — ორი კეტე ვართ. ჩვენ შვედნით სტილს ვეკვს; და ხატავს სასაცილო სურათს: ქეთონი ლიმონის პირამიდებზე ზის. გოონა აღტაცებულია მხატვარი ქალით; ძალიან შეუვია მას. ხშირად ბავშვი თბილისიდან ჩამოვიდნით ფოტოებს აწვენებდა ხოლმე, იგი გადაღებული იყო დედასთან და თავის ორ დასთან ერთად. გერმანელი „ბებია“ კეტე ვფერება თავის ქართველ ოქროსიმიან შვილიშვილს ქეთოს და თან ამბობს: ოქროსიფრთხიანი გოგონა, ოქროს მარცვალი... სათესლე მარცვალი არ უნდა დაიფქვას.

დავით ვლადიმერის ძე ლომბაძე, რომელიც კოლვიციის მეგობარი და პარტიული ამხანაგი იყო, აღნიშნავს, რომ კოლვიციის მოღვაძესთან მრავალი წლის მეგობრობა და პარტიული საქმიანობა აკავშირებდა. მხატვარმა მოღვაძემ მიწვივა „დემონსტრაციაზე“ მუშაობის დროს და სთხოვა პოზირება. მარგამ კოლვიცმა გადასწყვიტა შეეყმნა ზოგადი სახე, გათრეული ერთგული ნიშანდებებით. მხატვარმა შეუღო ბრწყინვალედ მოეცა კ. მოღვაძის ფსიქოლოგიური და ემოციური ხასიათი. მიუხედავად ამისა, რევოლუციონერის ერთუზაში უკიდურესობამდე ძუნდა არის გამოსატული ვარეგნულად. მხატვარმა ამ პორტრეტში თითქოს მიუღი ქართველი ხალხის მებრძოლი სულისკვეთება განასახიერა.

ფაშისმის ბატონობის დროს კოლვიცი პროფესორი აღარ არის. მას აგრძალებული აქვს თავისი ნაწარმოებების გამოცემა, გესტპო დევნის, მხატვარს ვიფილთვის თან დააქვს საწამლაო.

1937 წელს კარვე მოღვაძე და მისი შეუღლე დაიღუპნენ.

1941 წელს პიტლური ვერაგულად თავს ესხმის საბჭოთა კავშირს.

ქეთევან მოღვაძე თრთოლვით შეკყურებს კოლვიციის ადრინდელ ნამუშევარს „ხნული“. ორი გუნები მიწამდე დაბრლია, ფეხებს ძლივს მიათრევენ, გუთანს ძლივს ეწვეიან. ერთი კვენის, მეორის თავი უღონოდ ჩაუქინდრავს. ქეთევანს მიფერაგება იტანს.

გერმანელები საქართველოს მოუახლოვდნენ. ფონ კლაისტი ბაქოს ნავთისავე და საქართველოს მარგავეისაკენ მოისწრაფვის.

ქეთევან მოღვაძე სამხედრო კომისიარიაკვან „ომობს“:



დავით ლომაძე

— მერე რა, რომ ჯერ არა ვარ ჩვიდმეტის? ბერლინში მინდა ჩავიდე, ჩემს სულიერ დედას შევხვედე!

მსვერავი კ. მოღვაძე თავდადებით იბრძვის ფრონტზე... გმირ ქალზე თხზავენ სიმღერებს, ლექსებს. ქეთევანის განხურული თანამგზავრია კეტე კოლვიციის ნახატების ალბომი... ფრონტის სულ უფრო შორს მიდის დასავლეთისაკენ...

არც კოლვიცი სდუმს. იგი, ასე ვთქვათ, მეორე ფრონტს ხსნის: ასრულებს თავის გაბეჭდულ ლითოგრაფია-ანდერმს: სათესლე მარცვალი არ უნდა დაიფქვას. სამ შვილის შემოხვევია დედის ნახი და მშლავრი ხელები. მშობლის მარცხნა იდავეის ქვეშ ცელცი გოგონას სახე იმხირება. ეს ქეთო მოღვაძეა. ქალის სახე მრისხანე გადაწყვეტილებას გამოხატავს. დედად ბედნიერებისათვის გაზარდა შვილები და არა სასაკლასათის...

1944 წლის მაისში ქეთო მოღვაძემ გმირულად წაყვანა მებრძოლები შეტევაზე... ფაშისტთა ტყვეობა დაცხრილეს ცხრამეტი წლის ქეთევანი...

გადაფეჭა თვისისათვის გამაზღებელი მარცვალი...

იმ ადგლას, სადაც კეტე კოლვიციის სახელი იდგა (დაბომვის დროს დაინერა), აღმართულია მხატვრის ნამუშევარი — სივოცხლის დამამკვიდრებელი სკულპტურა, რომელიც უმცროს დედობის სიღამებს და მისი შემქმნელის უკვდავებს.

ქეთო მოღვაძემ თავისი ნორჩი სივოცხლე დამობ, რათა ბერლინში კოლვიციის ქანდაკება დამკვიდრებულიყო.



ალექსანდრე შალუტაშვილი



არაა ხნის შემდეგ ვ. გუნიას სახელობის ფოთის დრამატული თეატრი კვლავ ეწევა საგასტროლოდ საქართველოს დედაქალაქს. თეატრი ყველან ხელოვნების ქემპარიტ ტაძარს უნდა წარმოადგენდეს და მის მაღალ დანიშნულებას რასახობდეს. მხატვრულის მალაღი დონე ერთნაირად სავალდებულოა ყველა თეატრისათვის. ხოლო თუ სიტყვა სინდელეებს შეეხება, რა დასამალია და ეს სინდელეები მართლაც მეტია სხვაგან, ვიდრე დედაქალაქში. მიუხედავად ამისა, დღეს მთელი რიგი პერიფერიული თეატრები როდი ჩამორჩებიან დედაქალაქის საუკეთესო კოლექტივებს, დიდი დამაპულობის შედეგად ძლიერ სინდელეებს, მაქსიმალურად იყენებენ საუთარ რესურსებს, შესაძლებლობებს, განხრებლად ზრდიან და აძლიერებენ თავიანთ პქტიორულ-სამემსრულებლო და სადადგმო-სარეჟისორო ხელოვნებას.

საქართველოს თეატრების ცხოვრებაში ავკარად შეიმჩნევა ამკარი ტენდენცია. ზრდისა და განვითარების ამ გზაზეა შემდგარი მთლის თეატრიც. იგი ისწრაფვის შექმნას პროფესიული, ფოლკლორ რეალისტური სპექტაკლები და აღწევს კიდევ სასურველ შედეგებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია თეატრის ამასწარმადელი სახაფხულო გასტროლები რესპუბლიკის დედაქალაქში.

ერთ კვირაზე მეტხანს გრძელდებოდა ეს გასტროლები მარჯანიშვილის თეატრის შენობაში. მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც, თეატრის ყველა სპექტაკლს მოწონება ხვდა. ამის უტყუარ და დასტურება გახლავთ ის უშუალო რეაქციები და აპლდისჩნებები, რომელიც დარბაზში გაისმოდა.

მაყურებელი გმყოფიღი დარჩა თეატრის „ვიზიტით“. რა იყო ამის მიზეზი, რამ განაპირობა თეატრის წარმატება?

აქაც ისე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, წარმატების საწინდარი იყო რეჟერტურა. თეატრმა შეასწო, როგორც თეატრულად, ისე ვანრულად მრავალფეროვანი პიესების შერჩევა. მან ალღო აუღო მაყურებლის, გაითვალისწინა მისი მოთხოვნები, მისწრაფებები, სურვილები. თეატრის ხელმძღვანელმა სარეჟერტურო პოლიტიკას ქართულ დრამატურულ წარმოდებაზე აგებს. სწამს, რომ მას ალღულებს და აინტერესებს ეროვნული დრამატურგია, ეროვნული პრობლემები, რომლებიც თანამედროვეობის ბევრ საჭირობოროტ საკითხს მოიცავს. ეს არის მისი მუშაობის საფუძველი, ასე ესმის კოლექტივის თანამედროვე თეატრის დანიშნულება, მისი უმთავრესი ამოცანა.

საგასტროლო რეჟერტურის უბრალო დასახელებაა კი (ნ. დუმაისი, გ. ლორთქიფანიძის) — „მე ვხვდებ მუსსა“, (ნ. ქიქოძის — „ტარიელ გოლაუა“, ი. ვაკეშვილი — „აბრაკუნი“, რ. ქორჭიას — „ნიკო ნიკოლაძე“, ფიციერდოს „ეპოპე“) მიგაინიშნებს თუ რისკენ მიისწრაფვის თეატრი, რა სურს უფროს მაყურებელს. აქვე მღვადნდება თეატრის იდეურ-მხატვრული პოზიცია, მიტაქტეობრივი მიზანდასახულობა.

ერთია რეჟერტურა და მეორეა მისი მხატვრული განხორციელება, აქტიორული და სარეჟისორო ხელოვნების ხანისხი.

თეატრმა წარმატება მოიპოვა იმიტომაც, რომ იგი ტრადიციულად, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ტრადიციული

იმიტომ, რომ შეგნებულად მიმართავს და იყენებს ქართული თეატრის შიდა რეჟერტრობას, აქტიორული და სარეჟისორო ხელოვნების გამოცდილებებს, არ არის აყლილი მოდურ ცდუნებებს და არ შორდება ქართული თეატრის განვითარების მაგისტრალურ ხაზს. თავის სათქმელად და ჩანაფიქრს თეატრი მაყურებლის გადასცემს ემოიური დამოკიდებულების გზით. იგი ესწრაფვის სახიერ და მღვლეარე თეატრალურ ფორმებში მოაქციოს თვითონა სპექტაკლი, მეტი გასაქანი მისცეს ტენკამანტს, ემოციას, როგორც აზრის გამომხატველ უმთავრეს ფორმას. მაყურებელზე ზემოქმედების უმთავრეს ძალას.

თეატრმა წარმატება მიაღწია მაშინაც, როდესაც ყველა თაობის ნიჭიერ წარმომადგენლებს თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა და მთელი შესაძლებლობის წარმოადგინა ისინი თბილისელი მაყურებლების წინაშე.

ასეთია უმთავრესი მიზეზები, რომლებმაც განსაზღვრეს თეატრის წარმატება დედაქალაქის მაყურებელთან პირისპირ შეხვედრისას.

საგასტროლო რეჟერტურა პირობითად შეიძლება ასე დასათარღოს — ქართული დრამატული მწერლობა 20-იანი წლებიდან დღემდე. დღევანდელს და უახლესს ამ შემთხვევაში ნ. დუმაისის „მე ვხვდებ მუსსა“ წარმოადგენს. თეატრმა ამ წარმოდებით დაიწყო გასტროლები.

ეს სპექტაკლი ფოთის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმებია. მასში გამოვლინდა მთელი დასის ძლიერი მხარები, აქტიორული და სარეჟისორო ხელოვნების მეტად სასურველი და საინტერესო შესაძლებლობები, კომედიური და სახასიათო როლები ნიჭიერი მემსრულებლები, შესრულების იმპროვიზაციულობა და სხვა.

თეატრი პიესის სცენურ განხორციელებაში ორიგინალური და თავისთავად აღმოჩნდა. იგი არ გაყოლია სხვა თეატრების გზას და პიესის საკუთარი სცენური მოტივტი შეთავაზა მაყურებელს.

„მე ვხვდებ მუსსა“ თან დაკყვა მოთხრობის ინსცენირებისათვის ნიშანდობლივი თვისებები: ფრაგმენტულობა, მრავალთემიანობა, მოქმედების ერთიანი ხაზის უკონოება და სხვ. იგი თავისებური ვარსის ნაწარმობია. ხალას, ლალ იუმორს, კომედიურ სიტუაციას მოულოდნელად ცვლის ფსიქოლოგიურად ღრმა, ზოგჯერ სულის შემკრული დრამატული სურათები. ასეთ პიესაში დაკავებული თითოეული მსახიობი ერთნაირი ოსტატობით უნდა ეუფლებოდეს როგორც კომედიურ-სახასიათო, ისე დრამატულ-სამემსრულებლო ხელოვნებას, უნდა იყოს მომადლებული მოულოდნელი გარდასახვის, სხვადაცქვეის ნიჭიერობით.

გარდა ამისა, მოქმედი პირების დიდი უმრავლესობა ერთ სურათში, ერთ ეპიზოდში მოწარმოვლეს. მსახიობმა უნდა შესძლოს მეტად მცირე დროში მოქცეული თავისი გმირის სცენური ცხოვრება მთელი სისტრებით წარმოსახოს მაყურებელთა წინაშე, წარმოდგენაში ბეჭედითი ჩასვას და ჩახატვის კომიკური თუ სახასიათო პორტრეტი. ტპი, ხასიათი, და თანაც ისე, რომ ეს იყოს რეალური, მართალი, ცხოვრებისეული, ფსიქოლოგიური სმართლობა აღსაქვე.

კომედიურის შეცვლა დრამატულით, ხასიათის მოულოდ-

ნარჩენი მასში შემავალი შენაკადებია, რომლებიც უფრო აძლიერებენ და ამძაფრებენ ამ ძირითადს, იქ გამოხატულ იდეას, ნაწარმოების კონცეპციას.

მხატვარი ავ. რამიშვილი ქმნის ქართული რელიგიისათვის ტიპურ და ამავე დროს ძირითადი თემის შესაფერვან დახადვას. გარემოს ეთნოგრაფიული სისუსტე და კონკრეტულად შეგნებულად მოხსნილია. იგი დაცულია მხოლოდ კოსტუმებსა და სხვა დანარჩენ თეატრალურ აქსესუარებში.

მხატვრის ნამუშევარს ამ სახით თითქოს სიმბოლური მნიშვნელობაც ენიჭება. ქართული სინამდვილის კონკრეტულ გამოხატულებაში რელიგიის ზოგადი სახე — ახეთია რეჟისორისა და მხატვრის ერთობლივი ჩანაფიქრი.

გ. ებრაელიძე ტარიელ გოლუას სახეში ხედავს ძლიერი პიროვნების თემას. მას როლში შეაქვს რაღაც იმდაგვარი, რაც ა. ყაზბეგის გმირებს, კერძოდ კი ხევისბერ გოჩას ახასიათებს. აქედან იღებს სათავეს მსახიობის შესრულებაში რიტმი, ერის თავკაცობის მანიშნებელი სიღრმავალს, სიღრმეც. ეს არის როლის განსახიერების ძირითადი ტონი და განწყობილება, რასაც უტყუარი ალთოთი აგნებს მსახიობი. ტარიელ გოლუას როლის სიუვეტური ხასი — ეს არის ქართველი გლეხკაცის რველუცისთან მისვლის პროცესი. ამის ჩვენება გაცილებით მნიშვნელობაა, ვიდრე შედეგებისა. მსახიობს მეტი ყურადღება მართებს ამ მხრივ. ეს შენიშვნა როლის პირველ ნაწილს ეხება. შემდეგ კი, როდესაც იოჯახური ტრაგედია დატრიალდება (თინას შემოჭრა სცენაზე და მისი შეძახილი — მამა, ლევნა საფრთხე ელის), მსახიობს როლი მიჰყავს მღელვარე რიტმში, დიდი მინაგანი დაძაბულობით. განწყობილება მოიცავს სპექტაკლის სხვა დანარჩენ შემსრულებლებს. მოქმედებაც ვითარდება მძაფრად, ექსპრესიულად.

თავადური გულზვიადობა და სიამაყე, დაუფარავი ზიზღი მდამბოთა მიმართ, გარეგნულად მოხდენილი, მაგრამ საშიში, ვერავი, დაუნდობელი მტერი, — ყოველივე ეს თაემოყრილია დავითის სახეში, რომელსაც ალ. შონია ახასიურებს.

ლევანის სახეს (მსახ. რ. ქინქლაძე) სპექტაკლში დიდი იდეური დატვირთვა აკისრია, მაგრამ ეს როლი საკმაო სქემატურობით ხასიათდება. მისი ხორცშესხმა აგრერივად იოლი როლია. მიუხედავად ამისა მსახიობმა მაინც შესძლო რველუციითა და თავადის ქალის სიყვარულით გატაცებული ახალგაზრდა კაცის მომხიბვლელი სახის შექმნა. მან თავისი გმირისადმი სიმპათიითა და თანაგრძნობით განაწყო მყურებელი და უსმოდ დაამწუნრა, როდესაც გულგანგმირული დაცვა ბრძოლის ველზე.

სულ სხვაა გაიოზ გადალენდიას სახე. ეს როლი ერთ-ერთი საუკეთესოა და შემსრულებელიც შესაფერი აღმოჩნდა. მსახიობმა გ. ყურაშვილმა გაიოზ გადალენდიას სახეს არაფერი დააკო, ჩრად იმ შმაგი ვენიანობისა, რომელსაც ის უსაუთოდ უნდა იჩენდეს თინასთან სასიყვარულო აღსარებაში.

უიზოფური სახეა ძიძა, მაგრამ მსახიობი მ. ურუშიაძე ახერხებს ცოცხლად ამოხატოს იგი, დიდი სითბო ჩააქოვოს. მსახიობ მ. ქუთათელაძის მასწარის უფროსმა და ნაწილობრივ ავ. დობოჯგინიძის მიერ შექმნილმა მამასახლისის სახეში ქართულ თეატრში შემჩნეული ერთი უაყყოფითი ტენდენცია გაგახსენა, რომელსაც კარიკატურული პუბლიცისტიკა შეიძლება ეწოდოს.

სცენაზე დამკვიდრდა ვერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების, მამასახლისების, ბოქალუების, ჩაფრების, პოლისმენების და სხვა მაგვართა სატირული პლაკატის ვანრში განსახიერების ცუდი ტრადიცია. მას, შესაძლოა, ქონდა გამართლება ადრე, როდესაც სოციალურად საშიში მტრების მხილებისას მიმართავდნენ ტენდენციურობას, — რათა უფრო გაეჭმსსარებისა ცარიზმის დამჭამები ხალხის თვალში. ამჟამად კი, როცა ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ საშიშ ძალას



„მე ვხედავ მუეს“.

და კარგახანია წარსულს ჩაბარდნენ, მათი განსახიერება აქტიორული შტამების არსენალად იქცა.

ქართულ თეატრში შეიმჩნევა მეორე უარყოფითი ტენდენციაც, რომლის რეცედივით ასევე ვეჭო არ არის სხვა თეატრებისათვისაც. მე აქ ვგულისხმობ მსახიობთა განსახიერებაში შემჩნეულ დუოკებულ სურვილს — რაღაც არ უნდა დაუკადეთ გააციონო მყურებელი, მიიქიონო მათი ყურადღება და მოიპოვონ „იბიველი სურბაკი“ მდგომარეობა. ასეთ დროს

„მე ვხედავ მუეს“





ირღვევა სცენური ატმოსფერო, პარტნიორთან ურთიერთობის ლოდიკა. ამგვარ ცდუნებებს ზოგჯერ აყოლობენ არანა ნიჭიერი მსახიობებიც.

მსახიობი ა. ურიდია „მე ვხედავ მზეში“ მხოლოდ სპექტაკლის ეპილოგში ჩნდება. იგი აედევნება სკოლისაკენ მიმავალ ქეთოს და, როგორც ეს პროვინციულ არმიის სწვევია, სიტყვას დაადევნებს თავისი „გულის რჩევას“. ეს სიტყვაც და ეპიზოდის მივლი ბიოგრაფიაც მსახიობის ფანტაზიის ნაყოფია. აქ იგი თამამ კომედიურ შტრიხებს მიმართავს და ამავე დროს მხატვრულ ტაქტსა და ზომიერებას იჩენს, ერთ-გული რჩება რეჟისორის ჩანაფიქრისა. მაგრამ იგივე მსახიობი სხვა სპექტაკლში („ნიკო ნიკოლაძე“, „პარაკაშვილი“) დღა-ტრბის ჩანაფიქრს, როცა გარკვეულ ზომიერებას და უფრო მეტ დატვირთვას აძლევს თავის პერსონაჟს, ვიდრე ამას ეპიზოდური სახე იტანს.

ფოთის თეატრი პირველი იყო, რომელიც დაინტერესდა რ. ქორჭიას პიესის „ნიკო ნიკოლაძის“ დადგმით. ამ პიესაზე მუშაობა თეატრისა და დრამატურგის ურთიერთთანამშრომლობის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს.

თეატრმა მივაღწეა მიჩინა თავი ნიკო ნიკოლაძის შესახებ სცენიდან მოეთხორო მაყურებლისათვის. მან ამ საქმისათვის არ დაიმურა არც დრო, არც ენერჯია და დიდის მოხდომებით განახორციელა ფოთის აღმშენებლის, დიდი მამულიმწიფლისა და ქუზნაისის ნიკო ნიკოლაძის ცხოვრების მიხედვით ნაწარმოები.

პიესა ეხება ნიკოლაძის მოღვაწეობის ფოთის პერიოდს. იგი საკმარისი აღმოჩნდა, რათა მაყურებელს გარკვეული წარმოდგენა შეეძინებოდა ქართველი ხალხის ამ დიდ მოაზრებულ და მოჭრინახალულზე.

ისტორიული პიროვნების სცენური განხორციელება ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. თეატრმა წარამტებით

დაძლია ისინი. ისტორიული პიროვნების თემას „ფანტაზია“ გასდევს რეჟოლუცია. ეს ფონი აქტიურია, იმდენად სპექტაკლში, რომ მწიფე გასარჩევი ხდება, რომელია ძირითადი.

ნიკო ნიკოლაძე და რეჟოლუცია — ასე შეიძლება ვუწოდოთ ამ სპექტაკლს, რომელიც რეჟისორულად შესანიშნავად გაიზარა და გადაწყვიტა ხელოვნების დამახინჯებელმა მოღვაწემ ს. კალანდარიშვილმა.

გასული საუკუნის საუკეთესო მამულიმწიფოთა თვისებები თავს იყრის ნიკო ნიკოლაძის პიროვნებაში. წარმოსადგევი, დარბაზისელი, ერთ მოჭრინახულე და ხალხის ქომაგი — ყოველივე ამას ილიასელი ქვია ხალხის წარმოდგენაში. ამ თვისებებს სწევს მსახიობიც. ე.ბრალოდ წინა პლანზე, როგორც ტიპიურს და არსებობს ნიკო ნიკოლაძის პიროვნების დასახასიათებლად. ასეთია ამ სახის ზოგადი და კონკრეტული შინაარსი აქტიორის განახლებებით. შემსრულებლის ყოფის შინაგანი სიმათლე და მომხიბვლობა, რათა სახე გახადოს დამაჯერებელი და მართალი. მსახიობი მეტ ყურადღებას, და საესტეტიკ სამართლიანად, აქვეყნებს განსახიზრებული პიროვნების ინტელექტუალურ მხარეს, როგორც არსებობს და მისი ბუნების წარმმართველ თვისებას.

მსახიობი ბ. ქუთათელაძის გამოჩენას ტაშით შეხვდა დარბაზი. ეს იყო მომხიბვლოელი და სათით კაცის — სოლომონის როლიც მსახიობის თამაშის ყველაზე კარგი შეფასება.

